

4
79



ISSN 0132-599 X
የኢትዮጵያ ጥናትና ጥራት ጥናት

ጥናትና ጥራት ጥናት

114

3

73
1979



გეოგრაფიკა

საქართველოს
საბჭოთაო
კავშირების
კავშირების

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კოლმეცნიერული ცენტრის

წელიწადი 56-ე

№ 3

მარტი, 1979 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

მტბა იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. ვაგრჟალება	3
რევაზ მუხომბაძე — მოთხრობები	38
ია მამუკაშვილი — ლექსები	50
მანია სასტავი — ლექსები	52
გელა შალვაშვილი — ლექსები	55
ნანა ღვინეშვილი — ლექსები	56
ქეთევან ბილაშვილი — ფიქციონალი. მოთხრობა	58
მანანა აბრამიშვილი — ლექსები	61
თორბეგ მინდიაშვილი — ლექსები	61
მამუკა მონათხრობი — ლექსები	63
თამარ ჯანაშვილი — ლექსები	64
თორბეგ ჯანაშვილი — ლექსები	65
ნატო შვაციანი — ლექსები	66
მარიამ ქავთარაძე — წიგნები. ლექსი	67
გულნარა მონათხრობი — აბტარ ტირიფი. ლექსი	68
ქრისტინე მინდიაშვილი — ლექსები	68
ლალი ჯანაშვილი — ლექსები. ლექსი	69
ოზა ჯანაშვილი — ორი ლექსი	70
მანანა მამუკაშვილი — მოთხრობები	71
ზურაბ მამუკაშვილი — ორი ლექსი	75
გიორგი მამუკაშვილი — მოთხრობი ციკლი. თავები რომანიდან. დასასრული	76
ჯემალ მამუკაშვილი — შარბანდელი ჯანაშვილი. ნარკვევა	110

კრიტიკა და კვლევითი

მედიკალიზაცია — კოლმეცნიერების მონათხრობი თეორიის კრიტიკა	121
მინდიაშვილი — ფიქციონალი ნიშნის სიმბოლე	131
ლევან მამუკაშვილი — რუსთაველი დანახს საზოგადოებრივი	153
მედიკალიზაცია — გამოცხადების ხარისხი ნიშნის მონათხრობის კრიტიკა.	
დასასრული	157
ლევან მამუკაშვილი — კოლმეცნიერების მონათხრობი	169
ბაბი ბელაშვილი — 1000 წელი მართი მართალი მონათხრობი	179



ელგუჯა მირაბინვილი — კრიტიკის თვალსაზრისი 26
ს. ხუციშვილი — „სინტონიკის მომავალი“ 26

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამავალი (პრ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუღაძე, თ. ვიხინვილი, ა. კალაძე, მ. ლეხანიძე, ლ. მკალაშვილი, ბ. სულავერი, ა. ქუთათელი, ს. უანუიანი, დ. უანუიანი, ნ. წულუკიანი, ვ. წულუკიანი, თ. ზინაძე, ა. ხარაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტიქრედაქტორი რ. ჩაჩუბაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მე. მდივნის — 98-55-13, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადეცა ასაწეობად 7/11-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/111-79 წ., ანაწეობის ზომა 7¹/₄ X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-სავაჭომეცმლო თაბაში 16,58.

უც 07940. ტირაჟი 15.250. შეკვ. 391.
საქ. კბ ც-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

შავი და ცისფერი მზინარა

რომანო

წიგნი მეორე

ნაწილი პირველი

თბილისის სადგურში კონსერვის კოლოფს რომ თავს მოხდი, ასე თევზებით გადმოცვივდა ხალხი ვაგონებიდან და ზეთივით გადმოიღვარა მთელი ღამის ორთქლით, კვამლით, ოფლით გაზინებული და შედედებული ჰაერი.

ვაგონიდან გადმოვარდნილმა ხალხის ტალღამ ღამით გაძარცული დედაკაციც ჩამოიტანა, თოვლით წაფარულ, აჩირხალეულ ბაჭანზე მიატოვა.

— დაჭრილი შვილის ამხანაგის სახანავად ჩამოვედი! შენმა დედამ არ ვნახა ჩემო გამძარცველო!.. — მოთქვამდა კისერთან მუქ-ლურჯ თავსაფარგანასკვეული, პირში ორ ლოჭშერჩენილი დედაბერი და ცისკენ შიშველ ხელებასვერილა ბრუნავდა, აქაურობის ვერაფერი გეგო, აღმოსავლეთი ვერ მოეწამენინა, რომ ღმერთთან შეეჩვენებინა თავისი მძარცველი და ცას ოთხივე მხარეს შედადადებდა:

— გამწარებული დედა ვარ, დედა ღეთისავე! მოსტეხე კისერი ჩემს გამმწარებელს!

ფარნა დათოვლილ ძელსკამთან შეჩერდა და სული მოითქვა.

— შვილის ამხანაგის მისამართიც წაიღო!.. უმისამართოდ და უგზო-უკვლოდ გააქვრე იესო ქრისტე მაცხოვარო!..

ხალხი უკანა ვაგონებიდანაც მოედინებოდა და დედაბრის მხოლოდ მაღლა აწეული ხელები ჩანდა.

— ოთხი შვილის დედა ვიყავი... კაცი აღარაა ჩემს ბარობაზე... კაცის ჭირი შეტყარე და არა წამალი არ არგო, წმინდა ბარბარე! სნეულთა მკურნალო!

ხალხი შეთხელდა. ზოგჯერ დედაბრის მიწამდე ათრეული შავი, ნაოჭებსასხმული კაბაც კი გამოკრთებოდა.

— შავოსანი, თვალატირებული დედა გევედრები მიქელ-გაბრიელ მთავარ ანგელოზო! შავი ცელით მოთიბე ჩემი მპარავი!.. დედის ცრემლი და ძაძა არ აღირსო!..

დედაბრის ირგვლივ ვიდაცეები შეყოვნდნენ.

— დაჭრილი შვილის ამბავი მინდოდა გამეგო, შვილს და მომავალს არ მო-

ასწრო დღეთისმშობელო, ვინც მე უკა-
პეიკოდ დამტოვა!..

— ე რა ამბავია, დედი! — მიაძახა
ვიდაცამ.

— დედა ვერ ეცნოს, ისე დაშრეტო-
დეს თვალის სინათლე... —

— სიონში წადი და იქ ილოცე!..

— სიონის მფარველი ღმერთი და ან-
გელოზი რისხავდეს ჩემს გამამწარე-
ბელს!

— გზა, გზა! — მიაძახა ზურგზე ტო-
ზარამოგდებულმა შავწყვეროსანმა ქუ-
რთმა და ზედ მიაწყდა.

— გზა ეკლად უქცეო მამა-ზეციე-
რო, წყალი სისხლად, პური ბაღდად! —
ფარნას გააზრიალა და ჩანთის სახე-
ლურებში მკლავი გაუყარა.

— აქ რას უდგას ნეტავ, თავის გზით
ვერ წავა? — ეს ის ხმა იყო, პირვე-
ლად რომ ჰკითხა, „ე რა ამბავია, დე-
დი“.

— მე აქ გზა-კვალი არ ვიციოდე, არ
აქოღინო ცათა მპყრობელო დღის
ნათელი! მზე, დედის შავ მანდილად
უქცეო, მთვარე — შეილზე მგლოვიარე
მამის მოშვეტულ თეთრ წვერად! ვარს-
კვლავები თვალ-ატირებულ დედამაი-
შვილებად!..

„აო, ვინ შექმნა თურმე „მზე დედაა
ჩემი, მთვარე მამაჩემი, წვრილ-წვრი-
ლი ვარსკვლავები, და და ძმია ჩემი... —

— უჰ, რაა ადამიანის გონება, რა არ
გაგვიღოს თავში. დიდი ძალა აქვს. სი-
ტყვას. ამას რომ ისმენდეს ის ქურდი
და მამაშალო...“ — ფარნას ფიქრი გა-
უწყვიტა ისევ იმ ხმამ.

— ნეტავ ცას რად მიშტერებია, ძირს
ვერ დაიხედავს?

ფარნა შეთხელებულ ხალხში შეიკ-
რა, მაგრამ იქ მოხუცის გარდა არავინ
იდგა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ. დე-
დაბერი კი მის ფეხებთან დაგდებულ,
შავ, გამოკონილ ჩვარს დასჩერებოდა,
დახრას და აღებას ვერ ბედავდა, ალბათ
ეგონა, გაქრებოდა... —

„საოცრად შეზღუდულია ქურდის,
აგზავის და კახის გონება, — თავი
ჩაქ და ფარნამ და იქაურობას გაეცალა,

— თითქოს ღმერთიც სწამს, მტკნარ
ჯვარს იკიდებს და ღვთის ყველა მცნე-
ბას კი ანიორწყლებს.

„არა იპარო! — ეუბნება ღმერთი,
რომელიც სწამს, და იპარავს... არა იმ-
რუშო! — არიგებს, და მრუშობს... არა
გული ვითქუმიდეს ცოლისათვის მოყვა-
სისა შენისა! — და გული უთქუმიდეს კი
არა, სულს ხდის მოყვასს თავისას...“

III

— ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი,
ფარნა სამსონოვინი! — განათლების
კომისრის მოადგილემ მარცხენა ხელი
მთელ სიგრძეზე გაჭიბა, კოტიტა თი-
თები მძიმე მაგიდის კიდეს ჩაავლო, მა-
რჯვენათი მარმარილოს საქანელა საშ-
რობი ახლოს მიიჩოჩა, ზედ მუშტით
დაეყრდნო და მუშტს ნიკაძი დააბჯინა.
ამაღლობელს ჰკრიტა, ფარისველური
თვალეებით ამოხედა. — ახალს ვერა-
ფერს ვერ მეტყვი! სკოლა... სკოლა მე
თუ არ ვიცი... დაებერდი ამ სისტემა-
ში... შენ კი არ გეწყინოს, ჩვენ თითქ-
მის ერთი ხნისანი ვართ, დაებერდი
ჰქვია... მართალია, ჰყავს კომისარს პი-
რველი მოადგილე... ეჰ, მოვეშვათ ამე-
ებს. კომისარმა მე მკითხა, მართლა თა-
ნამედროვეობაზე ზომ არაა საქმე. ამას
გარდა, ჩემი სოფელია... ჩემი ქვეია,
შენი და ჩემი სოფელი რამ გაყო, ერთი
ლობე ჩამოღის მათ დახრამულ გორებს
შორის. რამდენი მე და შენ იქ ხარ-
ძროხა გვიმწყემსია... ეჰ, გარბის დრო
ჩემო ფარნა, გარბის... უარი არ უთხ-
რა, თუ ჩვენი მეგობრობა და მეზობ-
ლობა რაიმედ გიღირს, არაა ცუდი კა-
ცი პანტელეიმონ დავიდიჩი, ყოველნა-
ირად მხარს დაგიჭერს და რად ვინდა
შენ კომისარი ან ვინმე, მე აგერ არა
ვარ?

საეპიტელში ჩაკარგულ მოადგი-
ლეს ეს ნიკაძევე ამოდებული მუშტი
ლაპარაკს უშლიდა და ზოგჯერ გაუ-
გებრად ჩლიფინებდა, მაგრამ ფარნას
მისი უთქმელი, გუნებაში რომ ედო,
ისიც ესმოდა. მართლაც და დღეს კი არ
გაუცენია, მაგრამ ამჯერად ვერ მიმზ-



ვდარეყო ამოდენა თანამდებობების პირებში, ამ ომიანობისა და გაწამაწის დროს, ან რატომ გამოიძახეს და ან ახლო რატომ ჰკარგავდნენ ამდენ ძვირფას დროს.

— თუ ჩემს აზრს... — დაიწყო ფარნამ, მაგრამ ვინ აცალა.

— როგორ არა, როგორ არა! შენ აზრს და მდგომარეობას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, აბა ასე, სამხედროშიც არ ხდება... ჩვენ ვიცოდით...

ფარნას ცალი თვალი დაუვიწროვდა; რაც ძველ მეგობრებს არ გამოპარვია.

— ვიცოდით ჰქვია... ყოველ შემთხვევაში, მე ვიცოდი, და ვიცი, შენ დიდ საქმეს ხარ მოქიდებული. მე რომ მკითხოს კაცმა, იქ, სადაც შენ გიხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, უტოპიად მიჩვენებდა. შენ მაშინვე აქეთ უნდა წამოსულიყავი... შენისთანა კაცს, მართალი გითხრა, აქაც გაგიჭირდებოდა...

— არც მართო ამისთვის...

— ვიცი, ფარნა. მეც ხომ ვიცი, შენ კისერზეა შენი და შენი ძმის, ლუკას ოჯახი. ეპ, რაღა ტყუილა დაღუპეს ის კაცი!.. დედაშენიც ხომ... ჰო მართლ... ისე შენი უმცროსი ძმისშვილები თქვენთანაა ხომ?

— კი.

— ა კაცო ესეც კი ვიცი. არც ის მეშლება, მასწავლებლის ხელფასით რას გაწვდები, ახლა ხომ მით უმეტეს, ჯამაგირით ერთ ფუთ ფქვილს ვერ იყიდო... მოახერხე ისე, რომ ის შენი ძმისშვილები შენს კმაყოფაზე დაიწერე და პურის ტალონი... თუ სოფლად ფქვილად იძლევიან მგონი...

— ბავშვები დედაჩემთანაა...

— ვიცი და იმიტომ ვითხარი, მაგრამ, ფარნა ჩემო, უარის თქმა მაინც არ გამოვა. სკოლა ნახევარი წელიწადია უდირექტოროდა, მაინც შენა ხარ იქ ყველაფერი.

— მე, რისი დროც და საშუალებაც შექნება...

— ახლა თუ კაცი ხარ — მოადგილემ ნიკაპი მუშტს მოაცილა, — ის არ გაუხსენო პანტელეიმონ დავიდიჩს, იქ

რომ ის ახალგაზრდა, უფროსად ჰქვია, თავზე დაგასვით, მაგრამ ჯერ ერთი, რა არ ხდება, კადრების შერჩევაში ჩვენ კი არა, ხან მთავრობაც კი ცდება და ამას გარდა, შენ არც მაშინ... არასდროს საკითხი არ დაგიყენებია.

— მე არც ახლა „ვაყენებ“...

— ვიცი, არა ხარ შენ ამ... — მაგიდის მინას გაშლილი ხელი დაუტყაპუნა — ამეების კაცი, მაგრამ ახლა საქმე მოითხოვს, აქცევა ქვეყანა, მხოლოდნა გამოგატყდე გვიჭირს, გვიჭირს და გიწვდით ხელს... არაა ისეთი სკოლა ერთი და ორი კი არა, ხუთი და ათი მასწავლებელი რომ არ აკლდეს, ვინ გვყავს...

— გაეცინა, — ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს ახვედრებდაო, შენზე უკეთესად ვინ იცის... და რაც მთავარია... — აპოლონ ახალაქემ ხმას იმდენად დაუწია, კარზე ყურმიდებულსაც რომ არ გაეგონა, რუსულის მასწავლებელი გიშოვნეთ... გიშოვნეთ, ჰქვია... ამის თაობაზე თვითონ კომისარი გეტყვის, მას ჯერ შენი გაცნობა უნდა... მე ეს არ უნდა მეთქვა, მაგრამ ვი-ომ არაფერი იცი...

კომისარი მაგრად დაგმანულ, ნახევრად ფარდადაწეულ ფანჯარასთან იდგა, როცა ფარნა და აპოლონი მდივანი ქალის საეჭვო მზერას ვაცდნენ და შავი მუშამბაგადაკრული კარი ახალაქემ მაგრად მიხურა.

— აპოლონბელი აპ? — თქვა კომისარმა შემოუბრუნებლად, ვითომ აპოლონბელი გარეთ ფანჯრის მიღმა დენახოს.

— დიხ, დიხ, პანტელეიმონ დავიდიჩ, დიდებული კაცი, მეცნიერი, სანაქებო, ოჯახის მამა, სამი ვაჟი ჰყავს ფრონტზე, ერთი აქაა და... ფარნა, რაღა კარგი ამბები მესმის, მეტი არ დამის ქალიშვილი შეურთავს?

— მარგალიტა... — იკითხა კომისარმა.

— დი-იხ, მარგალიტა ალხაზიშვილის... კარგი ოჯახია აპ? პანტელეიმონ

ქ. შირქისის სახ. ნაქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა

დავიდნი. კარგი ბინები ჩაიგდო ხელში თავის დროზე არდაქმე.

— ჰო მართლა, დაბრძანდით! — მობრუნდა კომისარი და თავი დააქნია, — ო, სასიამოვნოა, სასიამოვნოა... — თქვენი გაცნობა — ჩამოსვლა და ამისთანები არ უხსენებია.

ფარნამ გრძელი მაგიდის თავში სკამი გამოსწია, თუ აქ მხოლოდ ჩემი გადირექტორების თაობაზე ვარ დაძახებული, ამაზე ახლოს საწერ მაგიდასთან არავინ მიმიწვევსო, მაგრამ ჯერ იყო და აპოლონმა არ აცალა დაჯდომა, მერე კომისარმაც სცადა გაეშინაურებინა.

— ახლოს, უფრო ახლოს!

ფარნა საწერ და მიდგმულ მაგიდების კუთხეში დაჯდა და კომისარის სავარძლის თავზე ვეებერთელა, ზეთის საღებავით შესრულებულ სტალინის ფერად სურათს ახედა.

ღუმელი ჩამოწვა.

ახალაქე გასაქცევად იყო შეწყობული, მაგრამ რაღაცას უტეხდა. კომისარს კი ეტყობოდა იმდენად ენოთირებოდა მის ასე უბრალო ხელქვეითთან შინაურ თუ თავის პირად საქმეზე საუბრის წამოწყება, დაავიწყდა მოადგილის დასაქმება, რომ სოფლის მასწავლებლის და განათლების კომისარის ერთად დატოვება „ბუნებრივი“ გამოსულიყო.

— ზომ არ აჯობებდა... — შეახსენა მოადგილემ თავი.

— აჯობებდა, აჯობებდა... — დაეთანხმა კომისარი და ახალაქემ ორი ნაბიჯი მარჯვდ გადადგა, მაგრამ რა აჯობებდა, არცერთს არ უთქვამს და როგორც ჯერ არს, ისევ მოადგილემ მარჯვა.

— აგერ, ჩვენი ფარნას... ეს კაცი როგორც ჩემი ძმა... მივლინების ამბებიც... ორივეს?

— ალბათ ორივეს? — კომისარმა ფარნას გამოხედა.

— ორი, ორი მივლინება პანტელეიმონ დავიდიანი!

— კარგი, კარგი, თუ ასე ჯობია.

— ფარნა სამსონი, ჩემთან შემოი-

ვლი — ახალაქემ კარი გახსნა და გვიანად გაიხურა, როგორც შემოსვლისას მიხურა.

კომისარი სავარძელში ჩაეშვა. პაპიროსის გადაშლილი კოლოფი იმდენზე წამოაჩონია, ფარნაც მიწვდენოდა. დიდი პირი და თეთრ გარსზე ვარდისფერმოვლებული თვალები ჰქონდა, ლაბარაკის დროს ტუჩების მოძრაობას ერიდებოდა, ეზარებოდა, თუ ისედაც მორღვეული პირის მოღებას არ აპირებდა. ეშმაკი კაცი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გრძობდა, მოქნილობის აუცილებლობას და თავის სიდონდლოესა და შესაძენ ცბიერებას შორის დაბნეულიყო.

ფარნა ხედებოდა, თვითონ უნდა შეეწყო ხელი, გაეშინაურებოდა. ერთგულება შეეფიცა, თუ რაღაც ამგვარი, მაგრამ რასაც აპოლონი მოახერხებდა, ფარნას გაუჭირდებოდა. ახალაქე რამდენადაც ენდობოდა ამდღობელის კაცობას, იმდენად იცნობდა მის არა ქლესა ბუნებას და უთუოდ ამან შეუშალა ხელი, რომ ხეირიანად ვერ დამოძღვრა.

— მე გისმენთ, ბატონო კომისარო! „ამხანაგოს“ „ბატონომ“ აჯობა ყინულს ბზარი გაუჩნდა.

— დიახ, ამხანაგო ამდღობელო...

— მართალია, კომისარი „ამხანაგოს“ ვერ შეელია, მაგრამ ამ „ამხანაგოში“, „ჩემოც“ ერია და ფარნას იმედი მოეცა, ბოლოს და ბოლოს იტყოდა ალბათ რაღაცას „რუსულის მასწავლებლის“ და „ორი მივლინების“ თაობაზე.

ამ დროს, მართალია, ფრთხილად, მაგრამ კარი შინც გაიღო. კიკიმელიას თავი და ხის ყურები გამოჩნდა. ფარნა პირველ მოადგილეს შორიდან იცნობდა, სამი წლის წინ მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციას ესწრებოდა, პირველ დღეს.

— ზომ გითხრეს... — კომისარს გულიდან გადავარდა, რომ პირი დიდზე არ უნდა მოელო, — თუ მანდ არ ზის?!

კიკიმელიამ თავი უკან გაჰყო, ვითომ ისე გულუბრყვილო ვარ, მდივანი ქა-

ლი აქ იქდა თუ არა, ყურადღება არ მიმიქცევიაო.

— გასულა, დავიდინი! — თავი შემოკყო და ამჯერად ფარნას დაამტერდა: ვინ ვყავს მანდ ასეთი და რა საიდუმლო სერობა გაქვს, — მე — კომისარის პირველ მოადგილეს რომ არ შემომესვლებაო.

— სხვა დროს!.. — კომისარმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი, გულუბრყვილოდ წამოცდინილ სიტყვას მერე მიხვდა, — ახლავე, ამხანაგო გრიშა. აგერ, ერთი უპატრონო სკოლის საქმე გააქვს გადასაწყვეტი.

პირველმა მოადგილემ მხრები ხმელ ყურებამდე აიტანა, თუ ასეთი საქმით ხარ დაკავებული, უჩემობა მით უმეტეს, გაგონილაო?! მაგრამ კარი მაინც გაიხურა, — თუშეა არა ისე ბეჭითად, როგორც ამას ახალაძე აკეთებდა.

— ორ სიტყვას ვერ დაილაპარაკებ... — უქმურ გუნებაზე დადგა კომისარი, — მე მშურს თქვენი, — ფარნას თავი დაუქნია, — თქვენ ვიკვირთ და ეს ასეა.

ფარნას მაინცდამაინც დიდი გაკვირვება არ გამოუხატავს. კაცმა რომ თქვას სულ არ გააკვირვებია და რა გამოეხატა. ეს უსათუოდ კომისარს, სხვებისაგან ჩვეულმა გაოცებამ ათქმევინა.

— დედას ვფიცავარ, მშურს... — ეს „დედას ვფიცავარ“, ყინულის ვახეთქვა იყო და კომისარმაც აიწყვიტა, — ზიხართ თქვენთვის სოფლის თბილ ბუხართან, გიჭირავთ ხელში წიგნი, კეთილი ანგელოზი ბავშვები პირში შემოგჩერებინა, მამასავით გიყურებენ, ყოველი შენი სიტყვა მათთვის ცის გახსნაა და ელოგისასავით ნამცეცი რომ არ დაეკარგოთ ისე ყლაპავენ.

— „ეტყობა მღვდლის შვილი უნდა იყოს, — გაიფიქრა ფარნამ, — და მასწავლებლის საქმისა კი არაფერი ვაგებმა“.

— აქ გარედან ეველაფერი ისე ჩანს... მაგრამ თვითონ ხედავ, ვითომ საიდუმლო სერობას ვმართავდე, ყური კარზე

აქვთ მოდებული... არა მგონია ვინმე მგობარზე ვერ ვიტყვი, მაგრამ აქ ხომ იმოდენა შტატია, ბევრს არც იცნობ. მდივანი ქალი რომ მდივანი ქალია...

„ამ კაცს რომ ნება მისცენ, „ამოდენა შტატს“ უთუოდ გამარგლავდა“.

— რა თქმა უნდა, ძნელია! — წაახალისა ფარნამ და „ზიარ“ პაპიროსის კოლოფს მიწვდა: აი, ხომ ხედავ, გავიგე და გავიშინაურდი. თქვე ბარემ, სანამ კიკიმელის ისევე კარი არ შემოუხერევიო.

— ჰოდა ყველას ვერ ენდობი... — ალბათ...

— არა, გგონია რაიმე ისეთი... ან მასახურებრივი? წმინდა, წესიერი... მაგრამ მაინც სანდო ადამიანია საჭირო, აი, თქვენ სკოლის დირექტორი ხართ...

— კომისარი შეჩერდა, ალბათ ფარნას აცალა შეეცნო: ასე ერთი სიტყვით შემიძლია კაცის გადირექტორება და თუ „სანდო“ არ იქნები, ასევე ერთი სიტყვით გაქრობაო.

ფარნამ პაპიროსს მოუყიდა და თავი დაუქნია: ყველაფერი გავიგე და გავაიციეო.

— ნახევარი წელიწადია გვირდებათ მასწავლებლები. ამჯერად მოვიხერხებთ რუსულის მცოდნე... ორი კურსი აქვს დამთავრებული...

— ქალია?
— ქალი.
— მესამეზე რამ შეუშალა ხელი?
— ხომ იცი, ახალგაზრდობა... ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები...

— რა თქმა უნდა.
— გადაყვა ვიღაცას...
— ეს როგორ, გათხოვდა?
— გათხოვდასავით.

— მერე და ძალიან კარგი, ოჯახი თუ შექმნა და...

— აი, აქაა დამარხული ძაღლის თავი — გაშიშვლდა კომისარი, — არ გამოვიდა ოჯახი და ის წმინდა ამბები, ჩვენ რომ გვინდოდა... „ის“ რომ კაცი ყოფილიყო, ჩემთვის არ უნდა ეკადრებია. — გადააქნია კომისარმა შეტრაცხყოფილი თავი.

— ესეც ზღემა... გაეყრებოდა.

— მაშინვე, იმ რამდენიმე თვეში.

— მერე, თქვენ აქ სამსახური და ბინა არ გაგიჭირდებოდათ...

— სამსახური კი, აქაც ასწავლის, მაგრამ... ხომ იცო, ნაქმარევი ქალია აგერ ოცდაათს გადასცილდა... ორჯერ-სამჯერ დამიწერეს... „მსუბუქი ყოფილიყვესია, სკოლაში კი არა, ქუჩაში არ გაიშვებო, მაგრამ კომისრის ნათესავია და მფარველობსო, ხომ იცი, ბოროტი ენები...“

„წასულა ხელიდან“... — თვალები დაუვიწროვდა ფარნას.

— მინდოდა განათლებას ჩამოშორებოდა, ათასნაირი საქმეა ამ ქვეყნად. მაგრამ ბავშვები უყვარს, თვითონ რომ უშვილოდ რჩება... ქალის ამბავი სხვაა... არა და აქაური სკოლა ხომ იცი... ჩვენ თვითონ ვამოწმებთ და მოვითხოვთ... სოფელი მაინც სხვაა, პატროსანია... ამას გარდა, თვითონაც უნდა სადმე სვანეთში ან აჭარაში გამიშვიო... მაგრამ მოგეხსენება, მკვიდრი დეიდაშვილი კი არა, სვანეთში და აჭარაში ინსტიტუტებიდან განაწილებით რომ ვუშვებდი, გული მეთუთებოდა...

— იქაც ხომ ცხოვრობს ხალხი...

— ცხოვრობს ამხანაგო...

— ფარნა...

— კაცო, ფარნაოზ, ფარნაოზი... რა მიქნა იმ შენმა მეგობარმა...

ფარნას თვითონ რომ გეძახის, მეც ასევე...

— სულ ერთია, სულ ერთი, ბატონო პანტელეიმონ.

„ბატონმა პანტელეიმონმა“ ხომ მთლად წაშალა „მათ შორის თუ რაიმე“ „ზღვარი“ იყო.

— აბა, შენთვის ჩამიბარებია სკოლა და ჩემი დეიდაშვილი... დედამისს ჩემთან გადავიყვან...

სიტყვა გაუწყდა. კიკიმელიამ კარი შემოაღო და ერთმანეთზე სქლად დაწყობილი ქალაღები შემოიძლო, ასე თუ ვილაც ვიგინდარებთან ჩაიკეტე და პირველი მოადგილე კართან აყურყუტე, რესპუბლიკის განათლების საქ-

მეს ან თავი დაანებე და აგერა... ან, სანამ აქედან ფეხს აგიდგამდე, საქმეს მიხედო.

— შეიარეთ იქ, ამხანაგო ამალობელიო! — მიაძახა კართან მისულ ფარნას კომისარმა და მაგიდაზე დახრილ კიკიმელიას ნამალავად ხელი აუწია, იმედი მაქვს და აბა შენ იციო.

ფარნა კაბინეტიდან ორჭოფული დიმილით გამოვიდა. თვალეში შემოფეცებული მდივანი ქალი ცნობისმოყვარეობით კინაღამ დადნა.

IV

ფარნას ახალაქე კაბინეტში არ დაუხვდა. კედლის საათი ზანტად აქანავებდა თითბრის პრიალა ქანქარას. თერთმეტი იყო დაწყებული. რაკი აქ გაირკვა, რატომ გამოიძახეს, ერთი ჭირი მაინც მოიშორა. თვით რაიონის განათლების განყოფილების გამგემაც კი არაფერი იცოდა და ასჯერ გააფრთხილა ფარნა, პირველ რიგში, დილით, სახალხო კომისარიატში შეეველო. იცოდა, ამალობელს შვილი, რძალი და სარძლო თბილისში ჰყავდა, სადმე არ შეუზვიოსო, იმის დარდი ჰკლავდა. ექვად იცოდა, შეიძლებოდა დირექტორად ამტკიცებენო, მაგრამ რაკი მის ვაჟს კომისარის, თუ ნაკომისარლის ქალიშვილი შეერთო, ომია, ყველაფერი ზღემა, არ აიღონ და ჩემს ადგილზე არ გამოამწესონო. იმედი ჰქონდა, ფარნა დიდი, დიდი დირექტორობაზე დაეყოლიებინათ. სოფლიდან ოთხ-ხუთ კილომეტრზე ყოველდღე გზაზე ფეხით ვადგომა, მისი მძიმე ოჯახური მდგომარეობის კაცს არ მოუხერხდებოდა, მაგრამ შიშს დიდი თვალეები აქვს. ორი-სამი დღის შემდეგ თვითონაც აპირებდა ჩამოსვლას და მის მფარველ ახალადის სტუმრობას. ამალობელსაც ასე დააბარა: იმ კვირაში მეც იქ ვიქნები, კადრების განყოფილებაში მაქვს საქმე, აპოლონს გადაეციო.

ფარნას სკოლის ხელმძღვანელობაზე უარის თქმა არ შეეძლო. ახლა, ამ გა-



განია ომის დროს კი არა, სხვა დროსაც. თუ ამდენხანს განზე იდგა და სინდისი არ ამძიმებდა, ჩოხის კალთა არავის ჩამოუხევია, გინდა თუ არა, საქმეზე გული შენ სხვაზე მეტად შეგტკივავ და შენვე უპატრონეო. მით უმეტეს ახლა როცა ყველა ბავშვის მამა უღვთოდ იეღობებოდა, აქ, მათ შვილებს ისეთი ვინმე უნდა ჰყოლოდა პატრონად და ჰქუთის მასწავლებლად, ვისაც მართო მოვალეობის, თუნდაც ეთილსინდისიერი მოხდა არ დააკმაყოფილებდა. მეცნიერული კვლევისა, ისტორიის ჩიჩქნისა და ჩხრეკის დროს ახლა მართლაც არ იყო. ქართული დაწვერლობა ჩვენს ერამდე მესამე საუკუნეში გამოცხადდა სახელმწიფო ენად, თუ მერვე ან მეთექვსმეტე საუკუნეში ქვეყანა როცა ქვეყნად დარჩებოდა, ამაზე მერე უნდა ემტერია თავი. თუ ამ შეახნის კაცს, წლების მერე ძალა და ენერჯია აღარ ეყოფოდა შვილებს და მოწაფეები მოკიდებდნენ ხელს. დღეს მთავარი იყო ამ შრიფტის სწავლება, ენისა და ისტორიის სიყვარულის ჩანერგვა, რომ თუ ქვეყანას მშვიდობა ელირსებოდა, მეცნიერებას და ხელოვნებას პატრონი ჰყოლოდა.

მაგრამ ფარნას სახალხო კომისრის კაბინეტიდან უსიამო ხინჯი გამოჰყვა. თითქოს ამიტომ კი არავე ამტკიცებდა დირექტორად, რომ უშენობა შეუძლებელიაო, მაღლობელი კი არ იყენენ, უპატრონო სკოლას პატრონი გავუჩინეთო, მისგან რალაც „ქრთამს“ მოითხოვდნენ — „აი, შენ დღეიდან დირექტორი ხარ“... ბრძანა კომისარმა და პაუზა გააკეთა, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, თუ შენი მწყალობლის რეპუტაციას გაუფრთხილდები, თუ მის უახლოეს ნათესავს შენთან შეშასავით შეინახავ, თან ამ გახურებული ომის დროს დააბურებ... „იქნებ შენი ძმისშვილები შენს კმაყოფაზე დაგეწერათ“, — ახალაქემ რომ ბრძანა, ამას ხომ არ ნიშნავდა? — ამით შენს ბელგულს მაინც არაფერი მოაკლდება, იმ ქალს სოფელში შეინახავ და რაც მთავა-

რია, კომისრის მტრებს საჭრისა და სხვა ვრები და დასასმენი აღარ ექნებათ“.

მაგრამ როგორ იქნებოდა ასეთი ამორალური ქალი გულზოდელი ბავშვებისათვის კარგი მასწავლებელი, თუ აქ მართო თავის თავს კი არა, კომისრის ღონიერ კარიერასაც ჩრდილს აყენებდა?

მართლა კომისრის მკვიდრი დეიდაშვილია?..

ვითომ კომისრის სკამი ისე მოხჯღრეულია, ერთ გაჭირვებულ, თავის თავის უბედურ ქალს შეუძლია წააქციოს?

იქნებ აქ სხვა, პირადი, უფრო რთული და ბინძური რაიმე იმალება?

ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ ფარნა რატომ ჰგონია ახალაქეს ასე გულდამწვარი დირექტორობაზე, რომ კისერზე ამ ბინძურ ტვირთს გადაიკიდებს, თუ მას გულის წადლის აღზენენ?

ვითომ ახალაქემ იმდენად გონიერია იცის, ფარნა ხელს ვერ ჰკრავს თავის მოვალეობას და აღზრდის საქმეს, თუნდაც ასეთი „ქრთამი“ რომ დააკისრონ?

ტელეფონის გაბმულმა ზარმა ფიქრი გააწყვეტინა და მოავონა, ამის გარდაც მას უამრავი საფიქრებელი და თავში ხელის საცემი რომ ჰქონდა. ზარი როგორც კი ჩაჩუმდა, ყურმილი აიტაცა და ნომერი აკრიფა.

— სახანძრო რაზმის მებრძოლი პაპიაშვილი გისმენთ! — მოესმა მამინვე და ისიც კი გაიგონა, ფეხზე წამოვარდნილ პაპიაშვილს სკამი როგორ წააქცია და გახრიგინდა.

— მე, ივლითი ამალაობელი-დურმიშიძის ძმა ვარ.

— ვიცი ივლითის ძმა...

ფარნა გაჩუმდა.

— ჰო, დიახ, ივლითი გინდობათ არა? მიხვდა სახანძრო რაზმის მებრძოლი.

— რა თქმა უნდა.

— დღენ იყო სწორედ შორიგე. დარეკა, ერთი საათით დამაგვიანდებოდა აგერ, მესამე საათია, არ ჩანს.

— რა მოხდა, ხომ არაფერი იცით?

— რაც მოხდა, არა უშავს, აგერ ვარ მე... — გაჩუმდა, სკამი მოიჩონა და ალბათ დაჯდა, რაკი მიხვდა, ამას კი არ ეკითხებოდნენ. პაპიაშვილი შეეღმუნა და რომ იცოდა, რომ არ წუხდა, არამედ იმის გაგება უნდოდით რა მოხდა, რატომ არ გამოცხადდა თავისი საქმის ერთგული და ზუსტი, თადარიგის ივლითი, — ჰო, ისა...

— იცით რაიმე?

— მგონი ისა... რალაც ამბავიო... ძმისშვილისა... თქვენ?

— რა ამბავი! — ფარნას მუხლი მოეკეთა.

— რალაცა... ქალაქში ვაგერბივარო...

— უბედურებაა რაიმე?

— კარგიაო, კარგიაო, აბა რა ვიცით...

— მომისმინე, — შეელმერთა ფარნა — რაც იცით, ავი თუ კარგი, ორი სიტყვაც რომ იყოს, მითხარიო!

— არა უფროსო, არა... ივლითის ძმავ...

— ფარნა, ფარნაოზ...

— ხომ ვიცი, კაცო... ისაო, წერილიაო, ძმისშვილისა...

— რომელი?.. ვისი?..

— ეგ აღარ ვიცი მაგრამ თავისი კი არა...

— როგორ, თავისი კი არა?

— ესე იგი, ძმისშვილისა კი არა...

— ამხანავის, ან მეთაურის? ნაწილის თუ...

— ჰო, რალაც ასეთი... ივლითმაც: დამავიანდება ერთი საათითაო... მერე კიდევ ცეცხლი მოკიდებია მაგ სახანძროსაო, სანამ რამეს არ შევიტყობო... კაცო, სახანძროს ხანძრის გაჩენა ვაგონილა?

ფარნას ახალაძე ღერეფანში შეეფეთა, შემოსცინა:

— დამავიანდა ხომ?

— არა, რა ვიცი აპოლონ...

— მოიცა კაცო, საით?

— ა-ახლა არა, სხვა დროს, სხვა დროს!

— რა გითხრა ასეთი?!

— არაფერი... ჰო, მითხრა... მაგრამ სხვა, სხვა რალაც...

— რა იყო, კაცო, მე ვინაა ვი... აედევნა ახალაძე.

— არც მე ვიცი და რა გითხრა... რალაც წერილიაო, ალბათ მაშუკას...

— მერე, მაგას რა ჯობია?

— არა, არც მისი, ვილაცის... იქნებ... არ ვიცი, არაფერი არ ვიცი...

— იმის, იმის შესახებ შეთანხმდით ხომ?

— აჰ ჰო, ჰო...

— აბა, გელოდები... გაიგე ამბავი თუ კაცი ხარ და შემოიარე, ხომ იცი მეც ვკლებზე ვზივარ.

— კი, კი, თუ მშვიდობა იქნა...

V

ფარნა ქუჩაში ისე გამოვიდა, კარისკაცთან მიბარებული თავმოკერილი ნარმის ჩანთაც არ მოჰგონებია. თვითონ კარისკაცმა იცნო, რაკი დილით ფარნაზე გაბრაზდა, და აუხსნა: აქ ბარგის შემნახველი საკანი კი არაა სახალხო კომისარიატიაო. ამ სოფელელმა ბოდიში მერც არ მოიხადა, აიკმუნხა ცხვირის ცალი მხარე და ცალი თვალი მოკუტა. ახლა კიდევ დარეტიანებული, ბიჭვით ჩამოგლიჯინდა კიბეზე...

— არა, არა! — ჩანთა როგორც კი ხელში დაიჭირა, მაშინვე მივიწყდა და თავის თავს გვერდით ადევნებულ მოსაუბრესავით დაუწყო მტკიცება, — არა, არა, უბედურება რომ იყოს, „იმ ვოგოს“ არ მიწერდნენ სამხედრო ნაწილიდან ან შტაბიდან? მოიწერდნენ საბუთებში ნაჩვენებ მისამართზე, — სახლში... „იმ ვოგოს“ მოსწერდა ვინმე ახლო მეგობარი. „ჩემთან კარგი ბიჭები არიან, არაფერს გამიჭირებენო“, ხომ იწერებოდა. ასეთ ვოგოებზე, მეგობრებმა უფრო მეტი იციან, ვინემ ძმებმა. — დედ-მამა ხომ ყველაზე ბოლოს გაიგებს, როცა მთელმა ქვეყანამ იცის...

ივლითი ქალაქგარეთ ცხოვრობს. იქამდე ორმოცი წუთის სავალია. ორმოცი წუთი ტრამვაიში დამდგარი ან დამჯდარი რა გაძლებს, მერე და შინ

დაგვდებთ? ვატუტი ალბათ სამსახურშია ჰოსპიტლის მთავარი ექიმის მოადგილეა ჯერ ინსტიტუტიც არ დაუმთავრებია. შენ მერე ნახე, დაილომს რომ ჯიბეში ჩაიდებს... ჯანდაბას... მაგრამ სადაა ეს ჰოსპიტალი, რომ არ იცის. მე შენ გეტყვი, ახლა ერთი და ორია ასეთი დაწესებულება. არდაძებებს ქორწილზე არ მიდგომია კარზე, ვატუტის მხრიდან დედა, ბიცოლა და მამიდა ესწრებოდნენ... ახლა არც ამას დაეძებდა, მიადგებოდა, მაგრამ ის ნაკომისრალი არდაძე და საქვეყნოდ განთქმული მომღერალი შინ დაუხვდებოდნენ? და ფარნას მოლოდინში შინაც რომ მსხდარიყვნენ, ასეთი უმნიშვნელო რამ ეტოდინებოდათ, როგორც ქადაგიძის გოგოს მისამართია?

ფარნა კი გარბოდა ქუჩაში, მაგრამ საით, ვისთან, რა მხარეს, რისთვის, არაფერი იცოდა. ერთი რამ იყო მისთვის გასაგები, რომ ხაღმე, ოთხ კედელში ჯდომა, ან ქუჩაში დგომა არ შეეძლო... ჩქარი სიარული, აი, რა იყო ახლა ერთადერთი ხსნა, და ფიქრი, ვართულები, ვარიანტები... ერთი, ორი, ოთხი, ასი და იქიდან უკეთესის გამოჩენვა — აბურდული ძაფის ასი წვერი, უამრავი მრული და მართალი და იქიდან ქეშმარიტის მიკვლევა.

„მეგობრებმა ისიც ხომ იციან, რომ მამუკას მშობლები ჰყავს. ჯარისკაცს იქვე აქვს სამისამართო გილზი, თუ გაწყრა ღმერთი და ენა აღარა აქვს. თუ ცუდ ამბავს მშობლებს ვერ აცნობებენ, მით უმეტეს ვერც საყვარელ ქალიშვილს. მეგობრისათვის „ის“ ხომ უფრო „ნაცნობი“ და „ახლობელია“. გოგოებზე ისინი ხომ მუდამ ლაპარაკობენ, დედაზე კი მაშინ წამოიყვირებენ, როცა რაიმეს იტყენენ...“

„მაგრამ თუ მაინც „გოგოს“ მისწერენ, უნდა მისწერონ კარგი ამბავი, ბერიანი რაღაცა მაინც. კარგი ამბის მიწერას რა ჯობია. მაგრამ ამით ხომ მშობლებიც შეგიძლია გაახარო.“

„მტერსა და ავს, ხელები აღარა აქვს და წერილს სხვა უწერს? ეს მაინც არ

ნიშნავს იმას, რომ სხვა გზავნის წერილს, სხვა წერს, მაგრამ ის „სხვა“ აქ არაფერ შუაშია...“

„რაც არ უნდა იყოს ცუდ ამბავს მაინც მშობლებს აცნობებენ, კარგს — საყვარელ გოგოებს.“

„ან ჩემთან იყო ამა და ამ დროს, მერე აღარაფერი ვიცი და სადაა და როგორააო“, რაკი იცის, დედ-მამას რომ ხმა არ მიაწვდინოს, „თავის გოგოს“ როგორმე თუ სული უდგას, რაღაცას აცნობებს. მშობლები მშობლებია. ისინი არსად გაგეჰქცევიან. „გოგო“ კი, თუ იმედი გადაეწურა, თვალებს ვერ დაითხრის... ცრემლი? ცრემლი ყველაზე მუხანათი და გაუტანელია... გამოუტყობელი და გულმოულობელი უფრო დიდხანს გახსოვს, ვინემ გამოტყობელი და გამოგლოვილი. ცრემლი ვალის მოხდასავითაა.“

ფარნა შეჩერდა და მიიხედ-მიიხედდა.

„რა ჯანდაბა მინდა აქეთ... მოიცა მოიცა, აქეთ სადღაც ანაპო აღვიშვილი ხომ არ ცხოვრობს? რა მითხრა ვატუტიმ? თუ ვინ იყო... ამდენხანს ივდიოთანაც მივიდოდი, მაგრამ ვინ იცის, შინ დაბრუნდა? ახალაქსთან რომ მივბრუნდე და დაფრეკო, ან აქ სადმე შევარდე, სულ ერთია სად დავუკავშირდე?..“

რა დამემართა ეს, ასე რატომ ავირდავირიე... ჰო, ჰო, ანაპო სადღაც აქეთაა, ქუჩა თითქოს ესაა, ნომერი? წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ იქვეა, მოედანთან, ახლოსო. კარგი საცხოვრებელი სახლი. ქუჩას გავყვები და ვიკითხავ... ვერ მივაგნებ და მერე დავრეკავ...“

VI

კარზე მიკრულ, ოვალურ თეთრად მომინანქრებულ ფირფიტაზე შავი, კუთხოვანი შრიფტით ეწერა „ა. აღვიშვილი“, მაგრამ ზარის ღილზე ხელის დაქერას ჩამიჩუმიც არ მოჰყოლია. არც პირველ: დაკაჟუნებაზე გაუღია ხმა ვინმეს, მეორე, უფრო ხანგრძლივად

ბრახტუნზე ყრულ მოისმა „და, და!“ მაგრამ კარგა ხანს არც ამის მერე მოსულა ვინმე კართან. ის „და, და“-ც წამოცდენილს უფრო ჰგავდა, ვინემ სტუმრიანობით გახარებულ მასპინძლის შეძახილს.

ფარნა იდგა და ელოდა მაგრამ წამები იმდენად გაგრძელდა, ეგონა, მთელი საათი გავიდა, სანამ კართან ყავარჩნების და ფეხწადგმული, ქუსლჩათელილი ჭლანის ჩლატუნე მოესმა.

— ვინ არის? — იკითხეს შიგნიდან, ისე, რომ გასაღებისათვის ხელი არ უხელიათ.

ეს ანაპოს ხმა არ იყო და ფარნა დაიბნა, როგორ აეხსნა, ვინ იყო და რა დავიღარაბამ მოიყვანა.

— თუ შეიძლება...

— ვინ ბრძანდებით? — იმდენად ზრდილობიანად და მოკრძალებითაც კი იკითხა შიგნიდან უმოძრაოდ ატუზულმა, რამდენადაც თუ მოსულის ვინაობას არ გაიგებდა კარის გაღებას არ აპირებდა.

— შე ანაპოს ნათესავი ვარ.

— ანაპო არ გახლავთ შინ.

— მეუღლე?

— მეუღლე... მაინც ვინ ბრძანდებით?

— ამალობელი ვარ, ანაპოს...

— ვიცი, ვიცი! — გაეხარდა კართან მოღარაჯებულს და გასაღებს ეცა, მაგრამ სანამ ჭერ ერთ საკეტს გააღებდა და მერე მეორეს, ისევ დააზუსტა, ფარნა ბიძია ვატუტის მამა...

— დიახ, დიახ! — დაეთანხმა და მკვედ გაეღიმა: უკვე ჩემიანებიც ვატუტის მამად მიცნობენო.

ზღურბლზე ზორბა, მოსული, მსუქანი თეთრი მრგვალი პირისხის, ილღებით ყავარჩნებზე დაყრდნობილი ახალგაზრდა იდგა, ფუმფულა, განიერ, საშინაო, შავად ცუდად შეღებულ პიჯამოში და ბალიშზე ცუდად ნადები ლოყა და ყური ასწითლებოდა.

— მობრძანდით ბიძია, მობრძანდით, მამა... რომელი საათია?

ფარნას ისევ წაეცა ხელი და შეეხებოდა იხედდა.

— ვერ გიტყვი... ალბათ თერთმეტი, მეთორმეტი.

— თორმეტი საათისათვის მამა შინ იქნება.

— შენ მალხაზი, არა?

— კი, — თავი დააქნია მალხაზმა და ის, ბალიშზე ცუდად ნადები მხარე გაუწიოდა.

— ჰო, ასე მორიდებული ბიჭები მახსოვს, — მოიგონა ფარნამ ანაპოს ოჯახთან წლების წინანდელი შეხვედრა. მალხაზმა კარი ისევ საგულდაგულოდ ჩარაზა და პატარა დერეფანში დადგა, დაელოდა, სანამ სტუმარი მოზრდილა ოთახში გავიდოდა.

ფარნამ კერად აკიდებული ჩანთა იჭვე, მეორე, უძრავად ჩაკეტილი კარის ძირში მიღო და ოთახში შევიდა, მაგიდის წინ სკამზე თავდახრილი დაჯდა.

— დედა? — იკითხა ფარნამ ხმადაუწვევლად, რაკი მალხაზი რომ სკამზე დაეშვა, ყავარჩნები ისე მონდომებით, ფრთხილად, უხმაუროდ მიაყუდა კედელს, ეტყობოდა, ასე ატყულებული რომ არ ყოფილიყო დიდი სიჩუმე ამის გამკეთებელი არ იყო.

— დედა სამი თვეა ლოგინადაა ჩავარდნილი... — ამოიკვნესა მასპინძელმა და თვალი ტიხარის კედელს მიაპყრო, ვითომ იქ გვიწევს ავადმყოფო.

სტუმარს უთუოდ თავისი მძიმე დარდი მოჰყვა და იმწამსვე ვერ შენიშნა ოჯახში დატრიალებული უბედურება, ახლა კი ერთბაშად დაინახა შავი ფარდები და დაეცხლა: დაქვეშა ანაპოს ოჯახი!

კედელზე ბიჭის გადიდებული სურათები: ერთი, მეორე, პორტრეტი, მთელი ტანით, შავი როიალის თავზე დადგმული, ჰერამდე აღმართული... სურათები, სურათების ზედახორა, სამუდამოდ დადუმებულ როიალზე მოფენილი.

— სამი თვის წინ?

— სამი...

ფარნამ ტიხრის კედელს შეხედა.

— სულ არ მოიკეთა?

— ცალი ხელის თითებს ანძრევს და ამით ვგაგებინებს...

— ენა წართმეული აქვს?

— რა თქმა უნდა...

— დამბლა დასცემია.

— სისხლი ჩაექცა...

ფარნა მთელი კედლის სიმაღლეზე გაჭიმულ სურათს მიუბრუნდა.

— რა იცით, რომ დაიღუპა?

— დეპეშა... — მალხაზმა სქელი კისერი წაიგრძელა და როიალის თავს გახედა: ვითომ, ისიც იქ დევსო.

— დეპეშა... — უნდოდა ეთქვა, ის რაც ყველას პირზე ეკერა დაღუპულთა ოჯახების სანუგეშოდ: რა იცი, დეპეშას ყური არ უგდოთო, მაგრამ, ამას ხომ ჩემამდეც ეტყოდნენ და შინ დაკრძალი თუთუნით სავსე ქისა ამოიღო, გაზეთის ქალაქში შეახვია.

— დედამ ხომ არ იცოდა, ომში რომ იყო, — სკამიდან გადმოიხარა მალხაზი და მოსაუბრის გაკვირება-გაოცებას რომ მოინდომებ, ისეთი საიდუმლო ხმით აჩურჩულდა, — დედას ეგონა მივლინებაში იყო ბაქოში. იცოდა ომის დაწყების წინ უნდა წასულიყო და იოლად დაიჭერა. მერე, მეორე თვით გაუგრძელესო, ვატყუებდით. დეპეშებს მამაჩემი ფოსტაში აბეჭდინებდა და ფოსტალიონს ატანდა. მერე, იქ მუშაობა დაიწყო ქარხანაშიო, „გვიდებეშა“, წუთი დრო არა მაქვს ორი სიტყვა მოგწეროთო... მივატოვებდი და წამოვიდოდი, მაგრამ აქ დაჯავშნული ვარ, ჭკრჭკრობით ფეხს ვერ მოვიცვლიო. ფოსტალიონი გაფრთხილებული ჰყავდა მამას. მაგრამ ერთ დღეს ისიც არმიაში გაუწვევიათ, მერე ვიღაც შიზოფრენიანი ქალი დაუნიშნავთ და დედას დაღუპვის დეპეშა ხელში ჩააბარა...

ანაპოს ფეხის ხმა ქვედა სართულის კიბიდან მოისმა, მაგრამ რამდენი თავის ბინის კარს მიუახლოვდა იმდენი ჩაჩუმდა, თითქოს კი არ ახლოვდებოდა, იქაურობას შორდებოდა.

— ფარნა ხარ, შე უღმერთო?! — დახშული, საცობგადაყლაპულის ხმით შემოიძახა და სტუმრისკენ არ წამოსულა, კედელზე აყუდებულ სურათზე გაჯგვიმულ შვილის ფეხებთან თავი როიალის კედელს დაეხო.

— მამა! — მოიძახა მალხაზმა და წამოხტა, ორი ნაბიჯი რომ გადმოდგა, ყავარჯნები მერე მოაგონდა, უკან მიბრუნდა, ისევ დაჯდა.

— ამოვწყედი კაცი ფარნა, შე უღმერთო და უხატო! — სურათს მოსცილდა, ფარნას მოაშურა და თავი ახლა მის მკერდს ახალა, — დავიღუპე ბიჭო, დამაქცია და დამამხო ომმა... ცოლიან-შვილიანად ამომწყვეტა!

— მამა, მამა!.. — იძახდა უკვე ყავარჯნებზე იდაყვებით დაყრდნობილი მალხაზი, მზაზრე ხელს უთათუნებდა.

— ვიცი, შეილო, ვიცი! მაცალე ამას მაინც ვუთხრა ჩემი გაკირვება ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემს ჭივარს და ჭილაგს...

— ესმის მამა, ხომ იცი, რომ ყველაფერი ესმის.

— შენ რავე ხარ, ბიჭო? — ანაპომ თავი აიღო და ფარნას თვალებში შეაჩერდა. — შენი ბიჭების რა ამბავია?

— ერთის...

— უფროსის ხომ ვიცი, ვატუტიმ მითხრა, არც ავი არც კარგია?..

— არაფერი.

— კარგია, მაინც იმედია. მეორეს წერილები ქე მოდის...

— მოდის ათასში ერთხელ ორი სიტყვა.

— რად გინდა მტერი... უმცროსის, ეს ერთი ხანია...

— ერთი ხანია კი არა...

— ჰო, კარგა ხანია...

— ზაფხულის აქეთ.

— არაფერი არ ისმის, ხომ?

— რა ვიცი, რაღაც დღეს იედითან დაღურეკიათ სამსახურში...

— აჰ, გლახა ხომ არაფერია, ბიჭო?!

— ტუნზე თიჯი მიიღო. — ჩუუ...

— აქეთ წამოსულა... — კიდევ უფ-

რო დაწვია დაწეულ ხმას ფარნამ, —
 ვერაფერი ვერ გავიგე...

— სად, ვისთან, კომისარიატში? და-
 ვერცავე ახლავე.

— არა... ალბათ არა, — ფარნა დაიბ-
 ნა, — ვილაცა რომ ჰყავდა მამუქას მე-
 გობჯრი...

— ვიცი, კარგი გოგოა.. ვიცნობ,
 შე უღმერთო... მარგალიტას ეცოდინ-
 ება... ჰო, შენს მძახალს... რატომ არ
 იყავი ქორწილზე? რუსუდანი კი იყო...
 არა, კი არ გამტყუნებ, მაგრამ რაკი
 მოხდა, მოხდა. მარგალიტას ეცოდინება,
 მაგის შვილი იყო შენს... ჩვენ მამუქას-
 თან. ის დიდი ხანია გმირულად დაიღუ-
 პა მაგრამ ხომ იცი დედის გული... მარ-
 გალიტა რომ ნახო, ვერ იცნობ, სოფ-
 ლის დედაბერს დაემგვანა. მაგ ქალმა
 თუ დარდი იცოდა, იფიქრებდი?

— მე არც მანამდე ვიცნობდი...

— ჰო, შენ არ იცნობ. — მოაგონდა
 ანაპოს, — აბა, შვილო მალხაზ, გაინ-
 ძერი, რაფერ დვახარ, დაურეკე!

— რაა, მამა?

— რა და დაურეკე მარგალიტას,
 ყოველდღე იმ.. რა გვარისაა?

— ქადაგიძე უნდა იყოს, — მიაშ-
 ველა ფარნამ.

— იმ ქადაგიძის გოგოსთან დადის.
 ეს ბიჭები ერთად იყვნენ, ორივეს ერ-
 თად ეძინათ და ეღვიძათ... თუ რაიმე
 ამბავია, ეცოდინება... მაგრამ რა ამბა-
 ვიაო მინც?

— რაღაცაა მოსული, მაგრამ ამხა-
 ნავის, თუ...

— მისამართი გვითხრას მარგალი-
 ტამ, მისამართი, არ გავკეთდით, ბიჭო,
 თუ რაიმე კარგი ამბავია?

ფარნას მწარედ გაეღიმა.

— კარგი ამბავი და... ნაწერი რომ
 სხვისი ხელით არის?

— კაცო, შენ გაღაირე?! ხელებს და
 ფეხებს დაეძებ?... რას შვრები, ბიჭო,
 შენ, გადაავდე მაგ დასაწავიე ჯოხები
 და ეცი ტელეფონს!

მალხაზმა მამას ამოხედა და ორივე
 ლოყაზე ცეცხლი შემოეწითა.

— ფარნა ბიჭო ეს შენი ენაა...

ლეკილი მეზობლები ხომ არ გგონია!

— ჰო კარგი, კარგი... მალხაზმა
 პირი მიბარუნა, ყავარჯენები ისევ
 ფრთხილად მიაყუდა და თაბაშირში ჩა-
 სმულ კოქს და წვივს თავისუფლად და-
 ენდა.

— ელბო, კაცო, იმ უბედურების
 დღეებში... ახლა, ამდენხანს კი არ გა-
 მოყვებოდა, მაგრამ ცოტა... რა ვქნა,
 აბა! ვატუტი მომეხმარა... კარგი ბი-
 ჭია, რომ იცოდე შენ, ფარნა და ტუი-
 ლა ემღერო...

— მამა, არ პასუხობს! — ყურზე
 ყურმილმიჭირებული მალხაზი მობრუ-
 ნდა, დაელოდა, რას მეტყვიო.

— არ მოეშვე, არ მოეშვე, შვილო,
 იქნებ იქვეა გასული, ხომ იცი მაგათი
 ოთახები, ცხენი გაქენდება... კარგ ბედ-
 ში ჩავარდა ფარნა, ვატუტი, რომ იცო-
 დე შენ!

— მაგის ბედ-იღბალს დავეძებ?

— კაცო, ახლა შენ ანგელოზების
 ქვეყანა გინდა და მაგი მიწაზე არ ზერ-
 ხდება... აგერ, ამ ბიჭს ვერ ვუშვებ... რა
 ვქნა, ერთი გავუშვი და შევწირე...

— აბა, ასე სახლში დასვამ?

— ბიჭო, სანამ მომიხერხდება, აბა
 რა ვქნა... დედამისი არ იტიროს? ცრე-
 მლებმა მოუსწრო და ხმა მთლად ჩა-
 ეხრინწა, — რა დედა ჰყავდათ მერე
 ფარნა, არ იცი?... სამი თვე და ერთი
 კვირა სრულდება ხვალ... არც მოკვდა,
 არც მოარჩია... დამარხავს და წავა, რავა,
 ამ ერთ და ორ თვეში თავდება ომი
 თუ? ჭერ აქეთ მოდის ის კაცი.

— შეჩერდა, შეჩერეს.

— მაცალე, ბიჭო, დავმარხავთ ამ უბ-
 ედურ ღედას და წავა, მე არ დავეძებ...
 ჩავძალღებდი უპატრონოდ... რომ ავ-
 ყროლდები, ვინმე გადამათრევს ან
 ძალი შემქამს...

— მამა, მარგალიტაა, რა ვუთხრა?
 მოუბრუნდა მამას ყურმილზე ხელდა-
 კერილი შვილი.

— რა უნდა უთხრა, არ ვუთხარი შე
 საცოდავო?

— ჰო, ისა... ქადაგიძის... — მიბ-
 რუნდა და უბრუნდა ისევ ბედ-იღბ-

რილმა ჩასძახა, — ქალბატონო მარგალიტა, ქალბატონო მარგალიტა!

— ხელი ხელი აუშვი, შე უბედურო! — პო, მართლამ — ისევ გაწითლდა ზოზროხა, უნდელი ბიჭი.

— რა უნდა, კაცო, ამას ომში? — შეაჩერდა ფარნას, თვალეზში ანაპო, — ამან, თუ არ გინდა, რომ იცოცხლოს, გაიყვანე და დახვრიტე... რად გინდა აქედან იქამდე ათრიო და აწვალო.

მარგალიტამ თითქმის ყველაფერი იცოდა — მეგობრის წერილი მოსულა თეკლასთან. იწერება, მძიმედ დაჭრილი გამოიყვანეთ ცეცხლის ხაზიდან, ზურგში ვაგვზავნეთ, მერენდელი არაფერი ვიცი და მაცნობეთო. იმის გვირგიც კი დაასახელა, ვინც იწერებოდა — ბოკერია უნდა იყოსო.

VII

სადგურის წინა მოედანზე იმდღეაზრდელ ვაცრეცილ მზეს და მგზავრებს თოვლი პირწმინდად აედნოთ და მშრალ ქარს ასფალტი წაეშრო. დამით თხელი, წერილი თოვლი ისევ წამოვიდა. მაგრამ მოთბო ბორიო იმდენხანს ატრიალებდა ჰაერში, ფიფქები მიწამდე არც აღწევდნენ. ღრუბლებით დაფარული მთვარე იმდენს მაინც ახერხებდა, მოახლოებული ადამიანი გაგვიჩია და სულ ახლოს მოსული იქნებ გეცნო კიდევ.

წერილი, ჰაერში მორიალვე თოვლი რომ წამოვიდა, ფარნას ცოტა გულს მოეშვა, ამ ჩაბნელებულ ქალაქს და ვაგზლის მოედანზე უცნობისმოყვარეო, ბნელ გამვლელებს შორის ეს ერთადერთი ფიფქები იყვნენ თეთრი და ნაცნობი.

ძალიან ადრე მოუვიდა გამოსვლა სადგურზე. კი არ მოუვიდა ადრე წამოვიდა. არც იმის გამო, რომ აქ მასწავლებელ ქალს უნდა შეხვედროდა, არც იმიტომ, რომ დის პატივმოყვარული, გადაკრული საუბარი, სიძის დუმილი და სასმელზე მიციციანებული. შემუშავ-

ბული მზერა ვერ აიტანა, ან დედის ერთა დისშვილის — კარგი თოთხმეტი წლის მუტრუკის, უსაქციელობა: ამოდენა, ჩათუნთულებული ბიჭი დედას რომ კალთაში უჯდებოდა და ქვეყნის უზნეობაზე მოწუწუნე გამკილავ ივლითს არ აგონდებოდა, ერთ, დიდი ხნის ნანატრ, ვაჟსაც ჰქუა ისე მოეთხოვება, როგორც ათ შვილს.

„სიძის — სახანძრო რაზმის ოცეულის უფროსის „ნაწყენი“ ლულულული: დავლით რაიმე, მხოლოდ ლაპარაკი გვეყოფა?! და ამაზე მემკვიდრის შეტლიყინება: ფარნა ბიძია შენსავით ლოთი ხომ არ გგონია! პასუხად მამის ყოვლის მომტეველი ღიმილი და დედის თავში სათუთი წაბუბუნება... ალბათ ამიტომ იყო, მამუკა აქ ვერ ძლებდა და ვერც ვამტყუნებდი...“

რა თქმა უნდა, სხვა დროს ფარნასთვის ძნელი ასატანი იქნებოდა, მაგრამ დღეს არც ამათ გამოქცევა.

გამოექცა ყველაფერს: განათლების კომისარიატს ანაპო ადგილშვილის ოჯახის ტრაგედიას, ქადაგიძის გოგოს, ფილტვებდაღრღნილი დედამისი ლუკას ამბავს რომ ეკითხებოდა, ვითომ სიყრმის მეგობრები ყოფილიყვნენ, ან დედაშვილ-მამიდაშვილი გამოექცა თეკლას ბებიას, რომელიც ღვთის მადლობელი იყო მხოლოდ იმისათვის, რომ შვილსა და შვილიშვილს პირში სული ედგათ, მეტი რომ მართლაც აღარაფერი აზადიათ და რასაც დღე-დღეზე მისი ქალიშვილი უნდა გამოეხალმოს...

როგორი მადლობელი დარჩა ფარნა, კობეშვიძის ქვრივის გამოტანებული თავმოკერილი ნარმის ჩანთა, თავმოყვარე კაცი რომ ამ ვაგანი ომის დროსაც ხელში არ დაიჭერდა, თან ჰქონდა.

დაბნეულობისაგან, სამამამთილოს წინაშე რიდიტა და უმწეობით გამოლენჩებულ „სარძლოს“ ფარნასთვის სუფრაზე მისატანი ავთანდილ ბოკერიას წერილის მეტი არაფერი გააჩნდა.

ამ დროს ფარნას ეს „ქირად“ აკიდებული ჩანთა, იქვე, კართან რომ მზავ-

დო. მოგონდა და თეკლას, გაცრეცილ, მჭადა სოკოსავით ტუნების ზედა ჩარბს რომ მოკმას უპირებდა, სიყრმის მეგობარივით თვალი ჩაუკრა, ჩანათზე ანიშნა: ჩვენი ქონება რამ გაყო, აგერ გვაქვს რალაც და დედაშენ-ბებიაშენს ვუმასპინძლოთო. თეკლას ერთი წუთით ის ხალისი დაუბრუნდა, რაც ფარნას ახსოვდა და რისიღ არავითარი ნიშანწყალიც აღარ გააჩნდა.

სუფრაზე გაჩნდა: მსხალი და ვაშლი, ხმელი ხილი და ჩურჩხელები, თაფლი და არაყი...

ფარნა კითხულობდა ბოკერიას გაკრული ხელით ნაწერ ფარაჩინა ფურცელს და თავს კმაყოფილებით იქნევდა. თვითონ უნუგეშო მამა იმედს უჩენდა ვიღაც-ვიღაცებს, მაგრამ აქ ასე მოიქცეოდა თვით კაცის ხორცის მკამელიც. მოხუცი, რომელიც ერთ დროს მკვიცხლი, ახლა კი ჩაღამებული თვალებით მისჩერებოდა შვილს და შვილიშვილს, ქალიშვილი — ჩალუჩაყბულ უბებში სიკვდილჩანთებული თვალებით დედასა და შვილს მიგებებული და საცოდავი, დარდითა და უმწეობით გამოყუთებული გოგო, რომელსაც მოგიზგიზე დიდრონი თვალები დაბინდოდა და ნაპერწკალს მაშინ გამოსცემდა, როცა ვიღაც ბოკერიას მოწერილ ორსიტყვიან ბარათს დაინახავდა.

ფარნა გამოექცა ყველა და ყველაფერს. ამ ვაგზლის ბნელ მოედანზე როგორც იქნა, თავი დაიმარტოხელა.

„ომის ქარცეცხლიდან რომ მძიმედ დაჭრილი გამოიყვანეს და მას აქეთია ნახევარი წელი მაინც გავიდა, ეს ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი კარგადაა? შვილის დაღუბვით გამწარებულმა ანაპომ ლეონზე თქვა: თუ არაფერი არ ისმის, მაინც იმედიანო. რაკი იმას, რაც იცის არცოდნა ურჩევნია...“

რა თქმა უნდა, ფარნას სრული უიმედობის საფუძველი არა აქვს და არც თვითონაა იმისთანა სასოწარკვეთილი კაცი, სისხლისღვრიდან გამოყვანილ, დაჭრილ შვილზე თავში ხელი წაიშინოს. პირიქით, მტრისას იყოს, და ანა-

პოს დღეშიც რომ ჩაეარდნენ, შვილიშვილებს იმედი გაიჩინოს, რაკი ომსა და ქვეყნის გადაბრუნებას აქვს უამრავი შემთხვევითობა და გამონაკლისი მაგრამ ეს შეიძლება ერთ-ერთზე, ერთ რომელიმეზე გაიჩინო იმედი. სამი შვილი რომ ტყვიის წვიმაში გვეგულება, ძნელია სამივეს ბედი შემთხვევითობას და გამონაკლისებს მიანდო.“

ფარნა ზუსტად სადგურის შენობის დასაწყისთან მობრუნდა და ისევ შენობის გასათავარისკენ გაემართა.

„ეს რუსუდანს შეუძლია ულოგიკო, რალაც სასწაულის ჭეროდეს. ამ ომში უნდა გაანადგუროს ნახევარი, სულ ცოტა ერთი მესამედი...“

ფარნას თავის ქალა შიგნიდან ასტკივდა და ნაბიჯს აუჩქარა. უნდოდა ამ ტყვილზე ეფიქრა, ეს ქადაგიძეებისას დაღუულმა, კობეშავიძის ქვრივის მაგარმა არაყმა უქნა, თუ ივლითის დაუწმენდავმა, მღვრიე ლეონომ.

მართალია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველად უწესრიგო და უთავებოლო ომი ჭარისკაცებს რიგში ჩააყენებს და ყოველ მეორეს, ან მესამეს სიცოცხლეს გამოასალმებს... ქუთაისის მახლობლად მთელი გარნიზონი დგას და ჭერ თოფი არ გაუსვრიათ. სამხრეთის საზღვარზე ვინ იცის, რამდენი პოლკი და დივიზიაა განლაგებული, და ფრონტი მხოლოდ რუქით თუ იციან რა მხარესაა. იქნებ ლეონიც სადმე, ასე დგას და ჭერჭერობით არ იცის, გერმანელს რა ფერის მახარა და ჭუბაც აცვია, მაგრამ წერილი?.. ერთ ნახევ ქაღალდს რა უდგას წინ?..“

რაო ქუთაისის სახმედრო კომისარმა? კომისარმა კი არა, ნაწილის გამგემ: კომისარს მადლობა უთხარი, რომ შენი შვილი ტრიბუნალს არ გადასცა და არმიაში გაგზავნათო. „ცოლი მყავს და არსადაც არ მივდივარო“... თბილისიდანაც კინალამ გამოგვექციაო... როგორ, ლეონმა გამოქცევა მოინდომა? ნუთუ ფარნა ვერ იცნობს თავის შვილებს, თუ აღამიანი ისეთი რთული მანქანაა, სად, რა მდგომარეობაში რას ჩა-

იღენს, წინასწარ ძნელი სათქმელია? ასე რომ არ იყოს, თვითონ ლეონს რომ სცოდნოდა როგორ მოიქცეოდა, როცა ცოლი და შვილი ეღუპებოდა და ომში მიჰყავდათ, მაშინ მამასაც ეცოდინებოდა. ეტყობა, გული უგრძობობდა, რომ მკვლარი ბავშვის დაბადებას წორაც კინაღამ გადაყვებოდა.

არის წინათგრძნობა, არის სიზმარი და არის რაღაც, ჩვენში ჩვენგანვე მიუგნებელი და თვალმოუწყვდენელი.

ფარნა ისევ იქ, შენობის დასაწყისში მობრუნდა და ზუსტად იმ გზას დაადგარაც ერთი ათჯერ თუ ოცჯერ უკვე გაიარა.

„აი, აქედან ვაგზლის გასათავარამდე ორასი ნაბიჯი იქნება? — გაჩერდა, თვითონვე დაალო პირი ასეთ კითხვაზე, — საიდან სად, ან რა მნიშვნელობა აქვს... არა, მაგრამ მაინც... ზუსტად ეს შენობა. იქეთ საპირფარეშოა, თუ საწყობები, ის სათვალავში ჩასაგდები არაა... ლეონი ოცდახუთი წლისაა, ვატუტი... ვატუტი არა, ვატუტი ზის ახლა არდაძებების უკიდვანო ოთახებში... ბაკური ოცდაორის და მამუკა ცხრაშეტის, სამივე ერთად სამოცდაექვსის... ექვსი და ექვსი, კარგია... — აღვიღებ დასობილმა მხრები იაჩეჩა, მიიხედ-მოიხედა, არავინ მიყურებდეს და რას ვანგარიშობ, არ მიმიხედესო. ვიღაცეები კანტი-კუნტად მიდი-მოდიოდნენ, მაგრამ აქეთ, შენობის საწყისს და იქით, გასათავარს, მაინც და მაინც არავინ ეტანებოდა. მატარებლებიც თითო-ორ-ოლა გადიოდნენ და ამჯერად პირველი და მეორე ლიანდაგი ცარიელი იყო. საღდაც ნაძალადევისაკენ კი რახუნობდნენ ვავონები და ორთქლმავალიც ქშინავდა მაგრამ ეს ფარნას თავის იდუმალ ვარაუდებსა და მისნობაში ხელს არ უშლიდა.

შენობის გვერდს გახედა, კედლის გასწვრივ თუ ზუსტად ვდგავარო და იანგარიშა:

„თუ სამჯერ სამოცდაექვსი ფეხის ნაბიჯი გამოვა მთელი ვაგზლის სიგრძე... — ნაბიჯის გადადგმა დააბირა,

მაგრამ შეშინდა და ფეხი ვეუკლებოდა. თვალით გაზომა. წინდაწინ ძნელი დასადგენი იყო. ასე ზუსტად ღამით კი არა, დღისითაც ვერ გამოითვლიდა. თუ ორასი ნაბიჯი იქნებოდა... ორასი ასო-თხმოცდათვრამეტს — სამი შელოს წლების სამჯერ ნამრავლს თითქმის ემთხვეოდა... რატომ გამოვიდა მამუკასა და ბაკურის წლების ქამი ორმოცდაერთი, ან უმცროსიდან რატომ დავიწყე შეკრება? უფროსიდან უნდა დამეწყყო... არა, ეს არაა კარგი. სამივეს ქამი რომ სამოცდაექვსისაა კარგია, მაგრამ, ეს შეგ-ბნელი ორმოცდაერთი არ ვარგა, ახლა თუ ეს მთელი შენობის სიგრძე სამოცდაექვსის სამზე ნამრავლს არ დემთხვა... ათ ნაბიჯში არ დემთხვა?.. — გაასწორა მაშინვე, თითქოს ვინმე მის ნათქვამს იწერდა და მერე გადაკეთება არ მოხერხდებოდა. ამ სავარაუდო ათმა ნაბიჯმა მხნეობა შემატა და გვერდზე ერთხელ კიდევ მოიხედა. კედლის გასწვრივ ვდგავარ, თუ არა, აქ უკვე ყოველ ნაკლებ ან ზედმეტ გოჯს თითქოს ყოფნა-არყოფნის მნიშვნელობა ჰქონდა.

წაიწია ნაბიჯის გადასადგმელად და თითის წვერებზე შედგა. კინაღამ ჩვეულებრივ მარცხენა გადადგა, არა უშავს, მხოლოდ ქუსლი ააცოლა მიწას, მარჯვენაით დაიწყო...

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... — პირველ ფანჯარას გაუსწორდა.. — ექვსი, შვიდი, რვა ცხრა, ათი... კარები, აქ რესტორნის შესასვლელი იყო ომამდე...

ასი ფეხის ნაბიჯზე გზა უნდა განახევრებულყო, შუაგზა რომელ კართან ან ფანჯარასთან იყო, ვინ იცოდა, ან საათი ფსადის შუაზე ეკიდა?.. უნ უკეთესიც იყო, რომ სცოდნოდა შენობის სიგრძის ნახევარი სად იყო, მაშინ შეიძლებოდა მეორე ნახევარი ისე გველო, როგორც მას „აწყობდა“.

ას ნაბიჯზე შენობის დასაწყისი და დასასრული თითქმის ერთნაირი მანძილით იყო დაშორებული და მესაერთე გაბედულად გადადგა.

ქ. შარქის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო არსებობა

— მოითმინეთ, თქვენ ხართ ამალ-
 ლობელი? — მოისმა თეთრ საყელოში
 ჩამძვრალი ქალის ღიმილშეკავებული,
 ქირღვაშეპარული ხმა.

„ის კახბაა“, — მოაგონდა ფარნას
 და გულისპირზე დაიხედა, ახალაქემ
 რომ დაარბია „დეიდაშვილს კომისარი
 ვერ გამოაცილებს, მე კიდევ, ვინ მკი-
 თხავს... ვაგზალში ალბათ მარტო გა-
 მოვა და მაშინვე რომ გიცნოს“... იქ-
 ვე ჟურნალს წაუსვა ხელი და მიაწო-
 და — „გაკეცილი გულისპირში ჩაი-
 დეო“. ფარნას გაეღიმა, ეს რა ჯაშუ-
 შური პირობითი ნიშნები მოიგონა კო-
 მისარის მოადგილემო, მაგრამ ახლა მი-
 ხედა, პრაქტიკულმა ახალაქემ იცოდა,
 რასაც ამბობდა და აკეთებდა.

— დიახ დიახ! — გაეპასუხა ფარნა
 მორჩილა ქალს, მაგრამ ადგილიდან
 ფეხი ვერ მოიცივლა.

ქალს გაუკვირდა საკმაოდ ვნებიანი
 ტუჩები დაბრცია და სახე მიიბრუნა,
 თვალთ სხვას დაუწყო ძებნა.

— იქნებ თქვენ ის ამალლობელი
 არა ხართ? ან სულაც არა ხართ ამალ-
 ლობელი... — ახლა უფრო გაკაპასება
 ემჩნეოდა მის ხმას, ვინემ წელანდე-
 ლი შეგუბებული ღიმილი და ფარული
 ქირღვა.

— აი, იქ, მელოდებიან და ახლა-
 ვე... — ფარნა გზას დაადგა.

— მაგრამ ვინა ხართ, მოთხარით...

— ის, ის ამალლობელი ვარ, ახლა-
 ვე...

— კი მაგრამ მეც წამოვალ. აქ რო-
 გორ დავდგე ბნელში, ათასი გარეწარი
 და თავზე ხელაღებული დაძრწის.

ფარნას დილანდელი დედაბერი გა-
 ახსენდა სწორედ სადღაც აქ იდგა და
 იწყევლებოდა... ქალის უკან, კართან
 ვიღაც მოეჩვენა.

— მაშინ, გამომეყვით, აი, აქვე... ას-
 ხეთი...

— კი მაგრამ, ჩანთები და ჩემოდა-
 ნი?...

„აბა, აქამდე მოაცილეს და მერე ხე-
 ლქვეითებთან არ გამოჩნდნენ“ — მიხ-
 ეოდა ფარნა. იქნებ კარის მინაში რომ

ილანდება თვით კომისარია, ან ახალა-
 ძე.

ფარნა მობრუნდა და ქალს მიუბ-
 ლოვდა.

„არა, მაინც, არაყი და ღვინო არ
 უნდა ამერია. მე სასმელს ჯერ ისედაც
 ვერ ვიტან და მერე, ის ღვინო, ღვინო
 იყო?“

ქალი ხადარბაზოს ვანიერი კარის
 წირთხლის ძირში მიწყობილ ჩანთებს
 დაწვდა. ფარნას ორი მოზრდილა ჩე-
 მოდანი და თეთრი ჩანთა დაუტოვა.

— კი მაგრამ, საით ქალბატონო? —
 ფარნას სწორედ ის ღიმილშეკავებული
 და ქირღვაშეპარული ხმა გაუჩნდა,
 რითაც ამ ქალმა მასთან ნაცნობობა
 დაიწყო.

— დედას გეფიცები... — გაკვირვე-
 ბისაგან მძლლა წამოწყულ თეთრ სა-
 ყელოში კინაღამ მთლად ჩაძვრა ისე-
 დაც ტანმორჩილი არსება — იქეთ,
 სადღაც მელოდებიანო, მე ვთქვი თუ
 თქვენ?!

— ჰოო, ვინუშრე...

— ნეტავ მაკოდინა, ეს რა ხუმრო-
 ბაა, თქვენ ის „უალრესად სერიოზუ-
 ლი ამალლობელი“ ხართ? თუ საერ-
 თოდ გიყვართ ჟურნალ-გაზეთები? დე-
 დას გეფიცები... — ქალმა პირი ისევ
 გვერდზე მიიბრუნა.

— მართლა ვერაფერი ხუმრობაა, მა-
 გრამ მე მაინც ეს „უალრესად სერიო-
 ზული“ ვარ, ჟურნალ-გაზეთები კი თვა-
 ლით არ დამენახებდა.

— მძღობა ღმერთს... ეს კაცი ისე
 დამიხატეს, მეგონა მამაჩემი და ბაბუა-
 ჩემი გაცოცხლდნენ-მეთქი... — ქალმა
 ოდნავ ამოჰყო ბეწვის საყელოში ჩა-
 მალული თავი და სახეც აღარ მიუბრუ-
 ნებია.

— ავი მამა გყავდათ? — იკითხა
 ფარნამ განათლების კომისარიატის და-
 ვალებსავეთ, რაკი ალბათ რაღაცაზე
 უნდა ელაპარაკათ.

— არ ვიცი, არც მახსოვს... — ისევ
 ჩამალა თავი საყელოში, ნეტავ ეს ჩემი
 ბიოგრაფია ამ სადგურის წინ უნდა
 ჩაიკალო თუ ცოტას მოითმენდითო.

ვეებერთელა ცივი დარბაზის თავსა და ბოლოში ორი, მეტი ლურჯი ნათურა ერთი და შესვლისთანავე ქალის თეთრი საყელო და ფარნას ხელში დაკერილი ჩანთა ცისფერი ვახდა. დარბაზში ერთი ორად აცივდა. ძელსკამზე მიმოზნეული, აბუზული მგზავრებიც ლურჯ ბინდში ისე ჩანდნენ, თითქოს ნისლიდან სულეები ილანდებიანო.

ქალმა ჩანთები იმ ძელსკამის ბოლოში მიყარა, სადაც ფარნამ ჩემოდნები შემოდგა. პალტოს სახელოებიდან გაცრეცილ ხელთათმანებიანი ხელები გამოაძვრინა, საყელო გადაიკეცა და თავზე მოხვეული, თმისაგვით შავი თავსაფარი მოიხსნა, რომელიც ალბათ დედამ ძალის ძალათი მოახვია და აწუხებდა, როგორც არა თავისი, მიუჩვეველი და უცხო. ხელთათმანს თვალი ჰქონდა ჩაფარდნილი და სალოკი თითის სახსართან მოგრძო, ცისფერი ხელის კანი შავ ქსოვილში ჩაფლულ ფირუზის კრიალა თვალივით გამოკრთოდა.

„ამ ქალმა კარგი ამოკეცვა და დიასახლისობა რომ იცოდეს, ასეთ სამკაულს დაკარგავდა...“

დარბაზში, წითელქუდიანმა ახალგაზრდა მორიგემ გაიარა და თავი ისე ყინაღ ეჭირა, ცისფერ საყელოზე ამოყრილი შავი თმის მოწესრიგებით გართულმა ქალმა თვალი გადადევნა და ჩაიფხუყუნა, მაგრამ პირზე ღიმილი შეაშრა და ფარნასკენ სხარტად მოტრიალდა. უეცრად თვალებს რაღაცა არ დაუჭერა და თმაზეც ხელი ნაზად და დაყვივებით გადაისვა. მანამდე ისე იქცეოდა, აქ ჩემს მეტი არავინააო, ახლა კი თითქოს დარბაზი მამაკაცებით ავსებულეყოს. დაბურცულ ტუჩებზეც ისევ მოადგა გაუფრთხილებელი სათქმელი: თქვენ ხართ ამალღობელი? მაგრამ ამჭერად ხმა არ გაუღია.

„ამ მიმჭრალ ცისფერში ეს ქალი ბევრად ახალგაზრდა ჩანს — ვაიფიქრა ფარნამ, — ალბათ მეც ერთი ვინმე, მიხრწნალი „ბიძა“ ვეგონე“.

— ქალბატონო, ნუ გიკვამლავთ, გააფრთხილეთ „ბიძამ“.

— სწორედ რომ მიკვირს... დედის გეფიცებით... მაგრამ თქვენ რა იცით?

— დღეს, მზეს, დაელოდეთ...

„ამ ქალისთვის რომ ეთქვათ, ამალღობელი ახალგაზრდა ჰაბუკაიო, უთუოდ ამ სინათლეშიც მოხუცად მოგვიჩვენებოდი, მაგრამ რაკი პირიქით დაუხატავთ, მის თვალში ერთი თხუთმეტი წლით მაინც გამახალგაზრდავს“...

— ხომ არ გეწყინებათ, ერთი რაიმე რომ გკითხოთ? — მოკრძალებულად. მაგრამ გაუმეღავენებელი ქალური სიკეკლუცით იკითხა შეორჭოფებულმა ქალმა.

— მკითხეთ, საწყენიც რომ იყოს, მაინც მკითხეთ, აბა აქ, მატარებლის მოლოდინში სხვა რა ვაკეთოთ.

— თქვენ... ფარნაოზი, ხომ? ბატონო...

— შეგიძლიათ უბრალოდ ფარნაოზი, ან თუ გნებავთ, ფარნა...

— ჰო, ფარნაოზი რაღაც ისეთია, ენის მობრუნება გიჭირს, არა, გამოსათქმელად კი არაა, ძნელი, თვითონ რაღაც ისეთია...

— ისტორიული, მძიმე, სოლიდური... თითქოს დამთრგუნველი...

— დიახ, დიახ! — ქალი თავის ქნევას მოჰყვა ალტაცებული, რომ მე არ მათქმევენ ეს საჩოთირო „დამთრგუნველი“ და, ამას გარდა, ამ სიტყვას ამ წუთას ვიპოვიდი კიო?

— დიახ, ბატონო ფარნა.

— ეს ბატონოც.

— აბა, ამხანაგიც ხომ...

— იგივე დამთრგუნველი იქნება, მაგრამ უბრალოდ... პატრისციკმა ჩვეულებრივ სახელის წარმოთქმავიაც შეიძლება, თუ რა თქმა უნდა, ამის აუცილებლობაა.

— კი მაგრამ, ჩვენი ქართული „ბატონო“ სულაც არაა იმ მნიშვნელობის, რასაც მას აბრალებენ. აი, თქვენ „ქალბატონო“ მოთხარით, იქნებ ეს...

— არა, არა, მე... უბრალოდ ასეთი ჩვეულება მაქვს... ან როგორ შეიძლე-

ბა მანდილოსანს, ისიც ასეთ ცისფერ სამყაროში მიამახო: ეი, შენ...

— სწორედ რომ... დედას გეფიცებთ!

— რა გინდობდათ, რომ გეკითხათ?

ქალი ცოტა შეცბუნდა, ეტყობოდა, ამ კითხვისათვის ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუძვრა და ახლა უფრო „სერიოზულ“ ვითარებაში ეჩიათირა.

— ასე ძალიან საწყენია?

— საწყენი, როგორ ვითხრათ... თქვენზე თქვეს, სამი შეილი ჰყავს ომშიო.

— ძლივს ერთი სიმაართლე უთქვამთ.

ქალმა უადგილობისა და შეუფერგბელი განწყობილების გამო მოკლედ და ჩუმად ჩაიციხა.

— სამივე თქვენია?... — მაგრამ უტყუარად წამოსროლილ სიტყვებზე ენას კბილი დაჰჭრა და ტუჩები ღიად დარჩა, ცისფერ კბილებში მოქცეული დაბინდული შინდისფერი ენის წვერი კინალამ წაიკვეთა.

ფარნას გაელმებულ მზერას რომ წააწყდა, ცალთვამოუტუტული რომ უცქერდა, მოეჩვენა, ჩემს იქით კედელს ხელავსო, მაშინვე სცადა იმის უფრო სწორად თქმა, რასაც აპირებდა და თავდაყირა კი გამოუვიდა.

— ის მინდოდა შეთქვა, ამოდენა შეილები მამა ხართ-მეთქი?

— კი. — ფარნამ ქალს თვალი აარიდა. — მე ოთხი ვაჟიშვილის მამა ვარ. სამი ფრონტზეა — თავის დაქვევით, დინჯად აუხსნა, ფარნამ, — წელან გამელიმა და ალბათ ამიტომ ვერ დაიფერეთ, არა? ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. ცოცხალი აღამანი, ცხედრის წინაც ვაიცინებს, მაგრამ ეს სიცილი არაა... მკონი მატარებელი ჩამოაყენეს? თქვენ ახალგაზრდა ხართ, და თვალი ვიჭრით!..

— დიას, დიას! — თანაგრძნობით დაუქნია თავი და ჩანაუბს დაწვდა.

„რატომ თქვეს, რომ ასე წყალწაღებული და ქარავშტააო? თუ ზევიდან ჩვენ უფლანაიამოცუფლ მოსახრების, ინსტიტუტებს ნაფრილდით...“ — ფარა ვართ,

რომელთაც მწყემსის მუცლისგან მწყემსსა ლეურეობა გვჭირდება?“

ცისფერი ბინიდან „სულები“ აიშალნენ და კარებისაკენ წალასლასდნენ.

VIII

ორი ღამის ზეზეურა მგზავრობამ, გუშინდელმა თბილისმა და ამდღიანდელმა ქარშიშხათიანმა წვიმამ, ვილაციის ბარგმა და თვით ამ „ვილაციის“, რუსულის მასწავლებლის საბაბით რალაც საჩოთირო, სხვისი ვირის საბალნესავით ზურგზე მოკიდებამ, ფარნა ამაღლობელი დიდალა.

მას ქვეყნად გაჩენის დღიდან, ამ დღიამდე მუდამ იმდენი თავსატეხი და სადავიდარაბო ჰქონდა, ერთი „რკინისმკენეტელი“ კაცის თავზეც რომ არაფრად დაეტეოდა. აქამდე თითქოს უძლებდა და იტანდა ყოველგვარ სიმძიმეს, სულიერსა და ფიზიკურს, იმედით, რომ დღე-ღამეზე შეილები ამოუდგებოდნენ მხარში და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი, ცხოვრების მეორე ნახევარს თავის გუნებისად გაატარებდა. თავისი გუნებისად გაატარება არ ნიშნავდა იმას, რომ დაქდებოდა, ფეხს ფეხზე გადაიდებდა და ვინმეს ხელებში შეაჩერდებოდა, მაგრამ გააკეთებდა იმას, რასაც ის „თავის საქმედ“ თვლიდა და თუ ეს „თავის საქმე“ ქვეყნის ყურადსაღები არ იქნებოდა, ბოლოსდაბოლოს ხომ ჰქონდა უფლება კაცს, რომელმაც ერთი უბრალო მოკვდავის მისია შეასრულა, ქვა ესროლა და თავი შეეშვრა. ყოველ შემთხვევაში თვით მისი შეცდომაც კი სხვისთვის გაკეთილი იქნებოდა. ვრდაცას (თუ თავის შეილებს, კიდევ უკეთესი), ერთი ნაბიჯით წინ წასწევდა და თუ სხვა სასიკეთო არაფერი, შთამომავლობას ის მაინც ეცოდინებოდა, როგორ არ უნდა წარემართა კვლევა და პეშმარტიების გზას თავიდანვე დადგომოდა.

წარსული ქმნის მომავალს. არ შეიძლებოდა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილიყო იმ ქვეყანაში, სადაც სხვისი

ანბანით სწერენ და ბაიათი ლექსი ჰგონიათ. ამოდენა ისტორიულ მოვლენას და გონებრივ აღორძინებას ათასწლიანი გონებრივი წრთობა და შემოქმედებითი რესტავრაციის ჯოჯოხეთური შრომა სჭირდებოდა. სულაც არაა ძნელი, მხოლოდ ეს ერთადერთი ძველიც რომ დარჩენილიყო, დაახლოებით გვევარაუდდა, რა სულიერი საგანძური ჩაიყარა მის ღრმა საძირკველში. მისი ყოველი სიტყვა წიგნია. როგორც მისხალი ოქროსთვის მთა უნდა მოანგრეთ, ქვა და ღორღი უნდა გადაყარო, სილა გაცრა, გარეცხო, მერე ქურაში გამოაღწიო და ბოლოს დიდი ოქრომკედლის ხელით გამოაჩუქროთ. ოქრო რომ ქვიშასავით ეყაროს, მისი ფასი ქვიშა იქნებოდა. მისხალი ოქრო ფასობს იმ ათას ფუთ მთად, რაც დაინგრა, გადაიყარა, რაც წყალმა და ქარმა წაიღო, წალეკა და ისტორიის ზღვაში ჩააყარა...

ფარნა და ფარნასთანები ოქრომკედლები არ არიან. ოქრომკედლის დალოცვილ მარჯვენას, მზა, ბაჭალო ოქრო სჭირდება, რომელიც „შავმა მუშამ“ უნდა დაამზადოს შავი პურის საფასურად, ან მთლად უფასოდ, მონური შრომით... ამ „მონებს“ საუკუნეები დღეღისას ქმნიან, როგორც ზღვა ქვიშას, მაგრამ მარგალიტებს კი არა. მარგალიტიც ზღვაში იბადება, მაგრამ ობლად, ერთადერთი და უუღიშვიათესია.

ფარნას დღემდე თავისი ცხოვრება წყლის ნაყვად, ან უკეთეს შემთხვევაში, წყლის მდინარებზე მიიჩნდა. ბრმა თხუნელაც ახერხებს სოროს გაკეთებას; შეილებს შობს, ზრდის და უყვარს ყველაზე მძინვარე, ბოროტ მტაცებელსაც. შექმნა და შობა კანონზომიერი ჯაჭვია, რომელშიც ჩარევა და ხელყოფა, დანაშაულია, მაგრამ მისი ბუნებრივი მსვლელობა — მდინარის დინებაა. აბა დააჩქარონ დედებმა ცხრა თვეზე ადრე შობა, დააგვიანონ, ან გონებრივად და ფიზიკურად მოამწიფონ იმაზე ადრე, რაც ადამიანისათვის საჭიროა... მაშინ რა ხარ შენ? შენი ხელით აკეთებს ბუნება თავის საქმეს...

მაშ სად იწყები და სად მთავრდები შენ?

„შენ“ იწყებ იქიდან, როცა ადამიანს აძლევ იმაზე მეტს, რისი მიცემაც მის შემქმნელ ბუნებას შეეძლო. აი, თუნდაც ის კაცი, რომელსაც შეეძლო ფიქრი, და მისცა ადამიანს ის, რაც ბუნებამ ვერ მისცა — ჯოხზე დაკრული ქვა. არაა შეუძლებელი, რომ ვინც ამდენს ფიქრობდა, სხვაზე სუსტი იყო და თავდასაცავდაც დასჭირდა, რომ თავცარიელ, მსუქანი ხორცი მუცელ-ამოყორილ მოძალადისგან სიცოცხლე გადაერჩინა, ეფიქრა, ისევ იმ მაძრისათვის — „ლოცვა მოძულეთა ჩვენთათვის“ და სხვა დროს გამოეგონებინა ბორბალი.

აღბათ იმავე კაცმა მისცა დასაბამი „ბიბლიას“, როგორც პირველ ქართულ წიგნს იმ პირველმა ქართველმა, ვინც ბატის ფრთა აწლის მელანში ჩააწო...

ახლა, ამ ნახევარი საუკუნის კაცს ეს იმი, უგზოუკვლოდ გადაკარგული შვილები, ხელჩაქნეული ცოლი, ჰლეკიანი ძმა, დედა და ობოლი ძმისშვილები, გუშინ კიდევ „დირექტორობა“ და ვილაციის კარიერისათვის ხინჯის მოსაშორებლად გამოტანებული „რუსულის მასწავლებელი“ ისევ იმ (ახლა უფრო აზვირთებულ, ვინემ ოდესმე) მდინარეს ატანდა, რომელსაც ორმოცდაათი წელიწადია მიჰქონდა.

კაცმა რომ თქვას, მასწავლებელი რამდენი მოსულა და წასულა გულზოდის სკოლაში, რატომ უნდა ყოფილიყო ეს ქალი დირექტორის ტვირთი და სადავიდარაბო? მაგრამ თუ ეს ასე არ იყო, ხომ შეეძლოთ იგი ისე გამოეგზავნათ და გაეწვიათ, როგორც სხვა მრავალი. ამ ქვეყნის დაქვევაში თბილისში გამოძახება და ახალაქესთან მოლაპარაკება, კომისრის „გარიგება“ და „გულახდილობა“ მაინც რას ნიშნავდა?..

ახალაქეს პირველი მოადგილეობა უნდა და რა ჰქნას, ყოველწლიურად ცდილობს უფროსის გულის მოგებას... კიკიმელიას — კომისრობა, და კომის-

რის გულის მოგება, აქ საქმეს არ უშველის. ნაამები კომისარი თანამდებობიდან ვერ გადადგება და მაამებელს თავის რბილ სკამზე არ დასვაძს. მლიქვნელობა ახალაძისათვისაა ხელსაყრელი და სწორი. იმიტომ კი არა, რომ კიკიმელია ახალაძეზე უარესია ან უკეთესი, ძირგამომთხრელ გზას უნდა დაადგეს, რაკი ეს ერთადერთი საშუალებაა მიზნის მისაღწევად და გულიც რომ დაეთუთქოს, თავიც ათასგზის შეიჩვენოს, ამას რას ჩავდივარო, მაინც უნდა ჩაიდინოს...

მაგრამ ნუთუ ეს პატარა, გზაბნეული ქალი ეყოფა პირველ მოადგილეს და მის მომხრეებს ასე ღონიერი ტახტის დასამზობად და ამის თავიდან მოშორება იხსნის კომისარს და ახალაძეს? თუ ეს სავსე ფილის ერთი წვეთია, ან ერთი ყლუპი და გადმოდენაზე მისულ „შხამს“ მოაკლდება? და ასე „წვეთწვეთად“ უპირებენ ფილას დაცლას?

რაიონის სადგურის მოედანზე წვიმის ტბორი იდგა, ქარიშხალი სახეში უშენდათ და ცხვირჩამოშვებული „მასწავლებელი“ თავისი გაფხვილი პალტოს კურდღლის თეთრ საყელოში ჩაძვრა. იკადრა და დედის შავი, სქელი თავსაფარიც თავზე მოიხვია, ფარნაში მამაკაცის აღმოჩენის შემდეგ ვითომ რომ ეკრძალოდა. სველი ბოცვერით, უსიამოვნებას და უგუნებობას თეთრი საყელოდან ამოყოფილი, ოდნე მოგრძო ცხვირის ცმაცუნით და სახის იმ ნაწილის შექმუხვით თუ გამოხატავდა, რომელიც უჩანდა და ქარწვიმისაგან ვერ დაეფარა. მაგრამ გვერდჩახეული ბოტიანი ცალი ფეხი წყალ-ტალახით მოსწორებულ ორმოში რომ ჩაუვარდა და მოულოდნელობით შეცბუნებულმა მეორე მუხლითაც შიგ ჩაიჩოქა, ისე აწიწმატდა, გვეგონებოდა დირექტორს ასი ჰირი მოეკამოს და სრა-სასახლეებს შეპირებოდეს.

— დედას გეფიცები, არ მინდა, არაფერი არ მინდა!

ფარნამ გაქვქილი ჩემოდანი მუხ-

ლებს შორის მოიქცია, ხელი გაინთავისუფლა და წამოაყენა. ჭრელი ჩითის ჩანთა გამოართვა. ვითომ დამშვიდება და დაყვავება უნდოდა, მაგრამ თუ ამის გავუიოლე და თავზე ხელი ვუსვი, იფიქრებს: გამიდის და ვტირიო.

— ასეთია ქალბატონო, სოფლის მასწავლებლის ბედი...

— არ მინდა, არ მინდა, არ მინდა! — დაიჩემა გაქინძვლებული დედისერთა ბავშვივით.

— ვინ ოჯახამოწყვეტილია, რომ გაძალებთ? — კბილით უღვაში გაწიწკნა ფარნამ: ასე უქნია, ახლავე უკან გაბრუნებულა და ჩემი „დირექტორობაც“ ზედ მიუყოლებიაო.

— თქვენი ძალიან კი იცით... — შელურჯებული ცხვირი ჩამოუშვა და სახე მიიბრუნა.

— არც მინდა ვიცოდე...

— რა თქმა უნდა, არ გინდათ. ახლა უკვე არაფრის ცოდნა არ გინდათ!

— რაკი დირექტორობა ხელში ჩავიგდე!..

ქალმა უცებ მოხედა, ზედა წამწამზე ცრემლებივით დანამული წვეთების ქვევიდან გაკვირვებული და შეცბუნებული შეაჩერდა, იმდენად მუქი წაბლისფერი თვალებით, უკან ოთხი ნაბიჯით რომ დაგებია, შავი გვეგონებოდა, პირზე მომდგარი სათქმელი: „ვითომ არა“, გაცრეცილ შინდისფერ ტუჩებზე შეახმა.

— მაშინ რატომ...

— რა, რატომ?

— რატომ თქვენ და არა სხვას... ან სხვაგან...

— ვიაროთ... თუ რა თქმა უნდა... აქედან ოთხი-ხუთი კილომეტრია... ეს ჭერჭერობით უკეთესი გზაა.

— რატომ ოთხი-ხუთი კილომეტრი და არა ოთხი ან ხუთი?

— აი, სოფლის გზას რომ დავადგებოთ, იქიდან ოთხი კილომეტრია, გადასახვევამდე ერთი ან ნაკლები.

— ასეთ ამინდს, დედას გეფიცები თოვლი ჯობია! — ამოიწუწუტუნა ისევ, როცა ქარ-წვიმა თეთრი საყელოს სო-

როში ჩაუძვრა და კისერთან ერთმანეთზე გადადებული საყელო მოუღელდა.

— ერთი იმიტომ, რომ... — ფარნა წელანდელ უპასუხოდ დატოვებულ კითხვას წიუბრუნდა, — მათ ასე სურდათ...

— ვის? პანტელეიმონს?

— დიახ, იმ თქვენს ძმას, თუ დედაშვილს.

— დედაშვილს კი არა, მის ცოლს... საღ დატრიშინობს, თვითონაც რომ არ იცის და დედაჩემი საკუთარ მოახლედ სჭირდება...

— თქვენ ხელს უშლიდით?

— დიახაც. რატომ არ უნდა შემეშალა ხელი თქვენი აზრით?

— მე არ ვიცი, თუ ხელისშემშლელი იყო, უნდა შეგეშალათ.

— დედაჩემის მოვლას მე დედაჩემს ვერც ავუკრძალავ და ვერც ვერაფერი... მაგრამ ნუცია.., ნინო ჰქვია და ნუცია დაირქვა, ვითომ თექვსმეტი წლის მყავდეს... რატომ უნდა უჯდეს ნუციას მოახლედ... მოკვდა ის დრო.

— მოახლეობისა და მოჯამაგირეობის დრო თითქოს წავიდა.

— მიდი და გააგებინე დედაჩემს. მოყვება ქადაგებას, შვილო, უდემამიშვილო ხარ, ქმარი შენ არ გამოგადგა... გააჩნია, რა გუნებაზეა, ზოჯჯერ ქმრისათვის და ოჯახისათვის შენ არ გამოდგევი, პანტეა ჩვენი პატრონი და მფარველო.

„ამან რა უნდა ასწავლოს ბავშვებს, რა ენაზე ელაპარაკოს...“

— პანტე, ეს განათლების კომისარი?

— არ ვიცი! — გაწყრა „მასწავლებელი“ ფარნას გაქირდავზე, — თქვენთვისაა ის კომისარი და ბლალოჩინი, ჩემთვის პანტეა და მეტი არაფერი... არ მინდა მე არავის მფარველობა და პატრონობა, ვეუბნები გამოჩურჩულებულ დედაჩემს, მაგრამ ესმის? რაღაცა ბედს ხომ უნდა ეწიოთ... პანტე მწევს ბედს? თავის ბედს ეწიოს და თავის ექვსი წლით უფროს ნუციას მოუაროს, თავზე რომ აზის... მე არ მინდა მაგის ნაწივი ბედი. არა მაქვს მე ბედი.

— რატომ, სოფელში...

— რა გითხრათ იცით? თქვენ იქნებ ჰქვიანი კაცი ხართ და არც კარგიაზე დახარბებული, მაგრამ მე სოფელში ბედის საძიებლად არ მივდივარ... არც თქვენს სოფელში...

— ვიცი, საღაც მთაში. მიყრუებულ, მიყარგულ...

— ვიცი, ვიცი, იქ უფრო დიდი ორმოები იქნება, ყინვა და ქარბუქი, მაგრამ იქ მიჩრჩენია. გამიჭირდება, ვიწუწუნებ, ვიტირებ, მაგრამ იქ მიჩრჩენია...

— ახალგაზრდობა რომანტიკაა...

— არა ვარ მე ისეთი ახალგაზრდა, არ ვიცოდე ლამაზი მთისა და კლდის... რაა კიდევ მთაში?... ხულ ერთია, არ მინდა მათთან ახლოს, იმ თქვენი ახალაძის კლდის ქიციანის და თვალების ბლეტვას, ნუციას რომ ტლგკავს და მას რომ გაიფულებს, მე მეღაცეცება, და მარტო ახალაძის?... ვა, დამანებეთ თავი...

— მაგრამ ბავშვები უჯვარხო, თქვენზე თქვენს...

— ძლივს, როგორ წამოგცდათ. მე ვუქცევ ნუცას ოჯახს, ვჭრი თავს ნათესავებს, დედაჩემს დისშვილების სიყვარულს ვუშლი, არ ვიცი თავდაპირა, მათსავით არ ვბირფერობ...

— ესე იგი, მართალი უთქვამთ, არა?

— მიყვარს, მიყვარს ბავშვები, მე მაგათი ბავშვებიც მიყვარდა, სანამ პატარები იყვნენ, სანამ მაგათ დაემგვინებოდნენ და ვუვლიდი, ვეფერებოდი იმიტომ კი არა, ნუციას და პანტეს შვილები რომ იყვნენ, ბავშვები იყვნენ და იმიტომ. იმ მთაში და დასაკარგავშიც თუ წავალ, ბავშვები იქ უკეთესები არიან. დიდების არავისი არაფერი მწამს, ყველა მატყუარა და ცბიერია... დედაჩემმა, პანტემ იქნება ინსტიტუტში აღვადგინოსო და ნუციას ლამის ფეხის გულები დაფხანოს... არ მინდა ნუციას აღდგენილი და მერე მთელი ცხოვრება წამოსაძახებელი... მაქვს მე სწავლების უფლება. ნაკლებს ავიღებ? ნაკლებს დავჯერდები. ნუციას წავის საყელოს

ჩემი კურდღლის გაქუცული ბეწვი მი-
რჩევნია, თუ მონად გავჩერდებოდი და
მის საყურღებზე თვალს დავხუჭავდი,
ქმარიც არ გამომაგდებდა და მერე კი-
დეც სხვაც წამოყვანდა...

— დედათქვენი?..

— დედაჩემი... საცოდავი... რა ჰქნას
დედაჩემმა. მას ხომ ცალი ფეხი არა
აქვს, რა შეუძლია... დედაჩემი რომ
არა... ეჰ, თქვენ რა იცით...

სადღაცედან საბარგოს ხრივინი მო-
ისმა. ფარნამ ხმაზე იცნო პავლე ბოჭო-
რიშვილის „ზისი“ არც ომში „გასაწ-
ვევად“ რომ არ გამოდგა და ვერც
გადასაგდებად შეეღოენ. მოტროშინებ-
და წყლით სავსე ორმოებში და გზის
მთელ სივანეზე ყვითელი შადრევნის
ფრთებს ისხამდა. გეგონებოდა ცალ-
თვალა ტარტაროში აფრენას აპირებო.

როგორც იქნა შეაჩერა. არც ფარნა
რომ არ ელოდა და არც თვითონ პავ-
ლე.

— რას იტყვით ჩემს ემადინზე? —
იკითხა კაბინის კარში ჩაყენებული,
ასატყეად გამობერილი ფირფიცარის
ზემოთ დარჩენილ კრილში მძღოლის
თვალემა.

— რას ვიტყვით, ვითომ მტკიცებდა
— მაგი ჯერ კაცს არ უთქვამს და
თქვენისთანა ჭკუაღამჭდარი კაცი...

— მაქეთ რაგვა საქმე? — ჰკითხა
ფარნამ, კაბინაში თუა ადგილიო.

— ფქვილიანი ტომრებით მაქვს სავ-
სე!

ფარნა ძარას გვერდიდან მიადგა და
ხელით მოსინჯა, ძარა ლერწამივით
დაჰყვა და გვარიანად რომ გადმოიფერ-
და. თავი მერე ძლივს შეიკავა.

ფარნამ დაცვეთილ, ძაფებჩამოჩა-
ჩულ საბურავზე ფეხი შედგა, გადმო-
ბრეცილ ფარდს ცალი ხელით მოეჭი-
და, ჩემოდნები და ჩანთები მონაგვი-
ნებულ ძარაზე დაჰყარა, მაღლა ავიდა,
ხელემაბოტოტებულ მასწავლებელს
თვალჩავარდნილ, შავ ხელთათმანში, სი-
ცივისაგან გალურჯებული ხელის კი-
ნი წუხანდელივით ფირუხის თვალი-
ვით რომ უჩანდა, დაწვდა და მაღლა
აიტაცა.

მანქანა რომ დაიძრა და ყვითელი
ფრთები გამოისხა, ქალი კაბინასთან
მიმდგარ ფარნას ზურგს აეფარა და წა-
ლურჯებული ცხვირიც თავის გაქუ-
ცულ კურდღლის საყელოში ჩამალა.

თავი მესამე

I

მამუკას ომში გაწვევამ და ისე მოუ-
ლოდნელმა ვაუჩინარებამ, თუკლას გო-
ნება ისე დაუბინდა და დაარეტიანა,
ვედარც ტირილი მოახერხა, ვერც თა-
ვში ხელის ცემა, ვერც გაჯაერება და
გაცოფება. რამდენიმე დღე გაურკვევ-
ლობისაგან ისე გამოდუნჩებული და-
დიოდა, ქვედა ტუჩიც კი ჩამოუვარდა,
პირში მომდგარი ნერწყვი ზედ ვერცხ-
ლის წყლის დილივით ეკიდა და გაწუ-
ვეტილი, წვრილი ყელსაბაბის მძივები-
ვით გულისპირზე უცვივოდა. თითქოს
არც გრძობა დაუქარგავს, არც გული

სტკენია და არც ერთ დროს ქვაფენი-
ლზე დაკრული კვინიხთან ჩატეხილი
თავის ქალა იქცა მთლიან, ყრუ გმინ-
ვად, ყველაფერი რომ სტკიოდა და არც
სტკიოდა. სამაგიეროდ, ბებია ელპიტემ
დაღვარა ორივეს დასალერეელი ზღვა
ცრემლი, ყოველდღე აბასთუმანში
ქალიშვილთან დეპემის გაგზავნას რომ
აპირებდა და ზეზეურად ჰკნობაშეპა-
რულ შვილიშვილის მაყურებელს, ვერც
ეს მოემოქმედა.

მესამე დღესვე გამოჩნდა მამუკას
პირველი წერილი, სქლად, სამკუთხად
გაკეცილი ფურცლები, სამკუთხა ბე-
ჭედლასმული. ბებიათ თუკლას უკვდავე-

ბის წყალივით ტირილით და ცეკვით მოურბენინა.

თეკლამ ბარათს უხალისოდ და უნდოდ შეხედა, მრგვალ მაგიდაზე დადო, არც კი წაიკითხა. მაგიდას დიდხანს შორი-შორ უვლიდა, პალოზე მიბმულ ხბოსავით, უკან-უკან რომ იქაჩება და კისერში წაჭერილ ბაწრიდან კი თავი ვერ დაუხსნია. საღამოს, თითქოს პალო მოეთხაროს და საბელოთ თან გაეტაცებინოს, წერილი მოიტაცა, ლოგინში შეიტანა და გულში ჩაიკრა.

მეორე დღით ორი სამკუთხა ბარათი ერთად რომ მოვიდა, მაგიდაზე ისინი დააწყო, წინაღობით მასთან დამეგათულის და ნალოლიაგებ-ნაფერების კითხვა მერე დაიწყო. ბედნიერება იყო, რომ იქ თითქმის არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა და ყოველი სიტყვის ამოკითხვას დიდი დრო სჭირდებოდა. მისი გადაკითხვა რომ თვალის ერთი გადავლებით ყოფილიყო შესაძლებელი, ეს აუტანელი, არაფრისმთქმელი იქნებოდა. ეს მიბრეცილ-მიბრეცილი, დაჩხანილი ქალაღი შეეძლო ეკითხა, რამდენსაც მოისურვებდა და ამოეცნო ის, რაც ალბათ იქ არც ეწერა. ორი კიდევ წინ ედო ხელუხლებელი, როგორც უდაბნოში მიტოვებულსთვის ორი დოჭი ცივი, მაცოცხლებელი წყალი. ოაზისი არ ჩანდა, მაგრამ სულის მოთქმა შეიძლებოდა, და თეკლამ ქვედა ტუჩი კბილებით დაიჭირა.

ერთ დღეს ხუთი წერილი მოუვიდა. ორი მათგანი ისე იყო დაჩხანილი, თითქოს დამწვრისათვის ვინმეს იდაყვზე გამოუღმებით მუშტები ერთყა, მაგრამ თეკლას ეს დაჯდაბნილი ბარათი ქვეყნად ყველა ბარათზე უკეთესად მიაჩნდა.

ყოველდღე მოფრინავდნენ ცხელი, სამკუთხა, უამრავი ბარათები. იმედებით, მალე, შეხვედრების რწმენით, რომ ეს უთუოდ საჭიროა, რომ ეს ალბათ ასე უნდა მომხდარიყო. ერთად ყოფნისას ზოგჯერ ხდებოდა. რომ მამუკას ფიქრი სადღაც გაეცეოდა. ახლა არა, ახლა

სულ თეკლაზე ფიქრობს. ახლამზაფხულისად იდ მას დასტრიალებს მამუკას გონება, და თვალწინ უდგას არა მარტო საყვარელი არსება, არამედ ყველაფერი, ყველა ნივთიც კი, თეკლასათვის საჭირო და აუცილებელი კი არა, ძველი, მტვრიანი, გადასაყარი და დაფიწყებული: «კარადის ქვეშ, საწოლის ბოლოში, მიდი, დაიხარე და ქვევით, კედელთან სადაც ცოცხი არ მიუწვდება, შენი ოთხი წლის წინანდელი ცალი ქოში აგდია, ახლა ფეხი რომ არ ჩაგივია...»

— ქოში, ქოში, ბებო! — ყვირის თეკლა.

შემოდის ვითომ გონს მოსული ელპიტე.

— სადაა, შენს თავს შემოვევლე, სად მიატოვე შეილო? — დაფაცურობს მოხუცი, იჩოქებს, საწოლისა და მაგიდების ქვეშ აპირებს შეძრომას. — იმე, ავერ არ დაგიყრია შეილოა?!

— ქოში ბებ, ქოში ეს კი არა, ესენი კი არა.. ძველი, ოთხი წლის წინანდელი, კარადის უკან დარჩენილი, ცალი, ახლა რომ აღარ მომერგება!

ელპიტე საწოლის წინ, გაფხვილ მომცრო ნიხზე დაჩოქილი დგას, კერაფერი გაუგია.

— ოთხი წლის... ცალი... გადაგდებული... შენი ჳირის სანაცვლოდ ვიყო?

— ჰო, ბებ, ჰო, ჩემო ბებ! — მორბის, ჳერ მოხუცს დამკნარ სახეს უკოცნის, მერე იატაკზე ისე წვება, ვითომ მწვანე კოინდარში, ან ლურჯ სილაში გორიბდეს და კარადის ქვეშ თავით აპირებს შეძრომას. მიხალის შუბლს, ორივე ხელებს იწვდის, მაგრამ ხელცარიელს მტვრიანი აბლაბუდები გამოაჭვს. ესეც უხარია, ისევე აწყდება, მერე ვვერდით მიუწვება კარადას, ცალ ხელს და მზარს აძვრენს ქვეშ, და გამოაჭვს ძველისძველი, პატარა, მომაღლო ქუსლზე ლამნაგდებული, გაყვითლებული, ჩაქანგებული წერილი ლურსმნები. რომ ჩანს ზედ და მტვერდადებულ ქსოვილის საპირზე დაწყვეტილი სიმები რომ ბწყიალებს.

— აი ქოში, ბებ! ეს ქოში!

— კარგი ბებია, კარგი, შემოგვეღე... დარჩენილა, არ გადამიგდია... ახლავე შენ გენაცვალე, ახლავე!

— რა ბებ! უნდა გადაავლო? გადაირიე? დაკარგე ჭკუა, ჩემო ბებო?

— აბა შეილო? აბა, სულის დგმავე?..

— აი აქ, ამ ადგილას, აქ უნდა იდოს...

— მიარბენინებს და მაგიდაზე წიგნებთან, ბანქოს დასტასთან, წრიულად მოლაგებულ წერილებთან დებს, როგორც ხელთუქმნელ განძს, როგორც რელიქვიას.

— მტვერი, მტვერი... შენს ჭირს შეეყარა შენზე მლოცველი ბებიაშენი.

— არა, არა, ბებ! ისე, ისე, როგორცაა... მტვრიანი სწერია აქ!..

— ღმერთო დიდებულო.. — დგება დაჩოქილი ელპიტე, — მამუკა გასახარელის წერილში ქოში სწერია?!

— კი, ბებ, სწერია ბებ!

„კარადის თავზე ტარგატეხილი ქოლგა გდია და დახვეული, შიშკინის ნახატის „დილა ტყეში“-ს რეპროდუქცია“...

გახუნებულმა, შიშკინის ძუ დათემა და მოუსყენარმა ბელეგმა, საწოლთან, კედელზე აკრულ ხალზე ვადმოინაცვლეს და აღმოსავლური, ცინცხალი ჭრელი ორნამენტები გაახუნეს.

„...ჭერში, ზვიდან ჩამონაყონი წვლის ლაქა რომ მედღუხასავით უფორმო გვეგონა, აქედან ვხედავ, ერთი კუთხე ქოსა მონგოლის ნიკაპს და წვერს ჩამოაგავს, ან ხმელი პალმის ნახევარ მარაოს“...

— წვერი ბებ, მონგოლის წვერი! — იძახის ისევ ჭერს მიშტერებული შვილიშვილი და ისევ, დაბნეული და გახარებული ბებიაც, მალა პირ და ხელემაპყრობილი ეძებს უხილავ წვეროსან მონგოლს.

— ღმერთო დიდებულო...

— პალმა, ბებ! პალმის ფოთლები!.. ეს მეორდება ყოველდღე, ყოველი წერილის მიღებისას:

— ბოკერია, ბებ! ავთანდილ ბოკერია!

— ვინაა ბოშო, ბოკერია? ვერაფერია გვარი სულ არ გამიგონია...

— ლადო ცინცაძე, რა უღვაშები აქვს, ბებ!

— დახატულია მაგ გასახარელი, თუ?!

— არადა ბებ! ნოშრევეან არადა რა საცოდავი ბიჭია, აქვე ცხოვრობდა ჩვენ მეზობლად...

... და ეს სიშორე იქცა იმ სიახლოვედ, რითაც მამუკა და თეკლა ცოცხლობდნენ.

შუა ზაფხულს, ივლისის პაპანაქებაში, დედა აბასთუმნიდან თბილისში ჩამოვიდა. ჩამოვიდა ჩალურჯებულ უბეებში სიცოცხლის ამო წყურვილით თვალანთებული და ქალიშვილს გამხდარი ხელის მეტი, მოსაფერებლად არაფერი დაანება.

— არაფერი ისმის?.. — ეს თქვა გულმოსულივით, ხველებსაგან ყელდაჩეხილმა. ეს ორი, თითქოს არაფრის მთქმელი სიტყვა იყო ყოველთვის მისი პირველი სათქმელი, საიდანაც არ უნდა დაბრუნებულიყო — ქმრის ამბავს კითხულობდა.

— ელპიტეს ჩამოუცივდა შესაგებებლად მალა ატაცებული მკლავები.

— ჯერჯერობით არაფერი, დედა...

— ჰო, ვიცი... ახლა, მით უმეტეს...

— რატომ, ასმათ შეილო... იმედი

შენს მტერს და ორგულს გადაუწყდა.

— ჰო, ღმერთმა ჰქნას, — ეს პირში შემოჩერებულ თეკლასთვის ნათქვამი, ვითომ იმედი იყო ყოველთვის პირდაპირი და მიუკიბავ-მოუკიბავად მოლაპარაკე დედისა.

— როგორა ხარ, დედე?... — ამოთქვა ძლივს, ბოლმისაგან ყელში ბურთგაჩრილმა თეკლამ

— წაიყვანეს?..

— წავიდა... — ისევ ამოგლიჯა ხმელ ბურთს თეკლამ კიდევ ერთი სიტყვა და მეორე ოთახში გავარდა.

ყველაფრისაგან გამოქცეული, ატირებული თუ ცრემლგამშრალი, შეშინებული თუ გონდაბნეული გოგო თა-



ვის ოთახში შერბოდა. როგორ უძლე-
ბდნენ ეს ძველი კედლები და ჭერი ამ-
დენ სიმძიმეს და ტკივილს, გასაკვირი
იყო.

ასმათმა პირველ, შემოსასვლელ
ოთახში, სადაც ბებიას ეძინა, სამზა-
რეულოც ის იყო და საუკუნაოც, აივა-
ნზე გამსვლელ ღია კარს ძველი, ზამ-
ბარებჩაცვენილი დივანი მიადგა (კარი
ან ღიად უნდა დაეტოვებინა, ან თუ
საწოლს მიადგამდა, ვალება არ მოხერ-
ხდებოდა), თავისი ლეიბი და საბანი და-
იგო და დაწვა, ვიწრო, ზვატჩამდგარ
ქუჩისკენ პირი ჰქნა და ცის ნაფლეთს,
საპირისპირი სახლის ხავსწყარულ წი-
თად კრამიტის სახურავს ზევით რომ
ჩანდა, ავიზგიზებული თვალები გაუშ-
ტერა.

ოჯახში, ივლისის პაპანაქებაში, სიკ-
ვდილის აჩრდილი დაბინავდა და ავად-
მყოფს, მოხუცს და ახალგაზრდას ერ-
თნაირად შეაერთოლა.

უეცრად მამუკას წერილებიც შეწყ-
და. ერთი-ორი გზაში გაბნეული და
შეჩერებული კიდევ გამოჩნდა და ამის
შემდეგ ამაოდ ელოდა ყოველ დღით
თვალდაშრეტილი გოგო, კისერმოღრე-
ცილ, ელამ ფოსტალიონს, მთელ ჩან-
თას რომ ამოაქოთებდა, ვითომ. აქ ჰე-
გულებოდა და რა ღმერთი უწყრება,
რომ ველარ ეპოულობო, მაგრამ რაც არ
გამოუგზავნიათ რას იპოვიდა.

ერთ დღეს მარგალიტა აღზახიშვი-
ლი მოადგათ კარზე.

ელპიტემ, ეს წარმოსადგვი, თავალე-
რილი ქალი რომ ვერ შეიცნო, აივნი-
საკენ პირმიქცეულ ქალიშვილს დააყუ-
ნა თავზე. ამ შუახნის ქალს თუ აქ სა-
ერთოდ რაიმე ესაჭმებოდა, უთუოდ
ასმათთან უნდა ყოფილიყო მოსული.

— არა, ქალბატონო, — ხვევრდოვანი
ხმით თქვა მოსულმა, — მე თქვენს
შვილიშვილის ნახვა მინდაო.

— ელპიტემ თითი გულზე მიიდო.

— ჩემი?

— დიახ, თეკლა ქადაგიძე.

— თეკლა, ბებია! — მოხუცი ტი-
ხარის კარს მიაწყდა.

უბოდიშოდ მიჰყვა მარგალიტა, რომ
შურგუმოქცეულ მწოლიარესათ-
ვის, სანამ მეორე ოთახში არ გავიდა,
თვალი არ მოუცილებია.

მარგალიტას იმდენად დაეკარგა ის
სიმაყუე და მისი ასაკისთვის მაინც მო-
მაჯადოებელი სილამაზე, თეკლასაც კი
გაუჭირდა მისი ცნობა. კიდევ კარგი,
ცნობილმა მომღერალმა თავი შემოსე-
ლისთანავე შინაურულად იგრძნო და
სკამი თვითონ მოიძებნა, თორემ თავი-
სი დარდით და ამ მოულოდნელი სტუ-
მრობით გაოგნებული გოგო ალბათ
ამასაც ვერ მოიფიქრებდა.

თეკლა ზებირად მოუყვა მამუკას წე-
რილებიდან ყველა ის ადგილი, სადაც
არადაქ იყო ნახსენები, რიცხვებიც ისე
დაუსახელა, მაგიდაზე მორიალებულ
ბარათებზე არ დაუხედავს. ღამით იყო
დაწერილი აქ დღისით, ისიც უთხრა.
სტუმარმა ვერაფერი სანუგეშო ვერ
შეიტყო, მაგრამ რაღაცით, წერილების
სიუხვით, მაგიდაზე ძველისძველი, ბავ-
შვის ქოშით, მეორე ოთახში პირმიბ-
რუნებული ქალის ბალიშიდან იატაკა-
კამდე ჩამოშლილი თმით გაოცებული
და გულმოკლული სკამიდან წამოდგა.

თეკლა ტიხარის კარამდე მიჰყვა, —
ბებია კიბეებამდე და მოხუცის ბოდიშე-
ბისათვის ყური არ უგდია, აღზახიშვი-
ლი თავის დაკვრით გამოეთხოვა.

— ვინაა, ბებია შემოგველოს, ეს რა-
შევით ქალი? — იკითხა უკან მობრუ-
ნებულმა ქლპიტემ, თვალი რომ ისევ
გარეთ რჩებოდა.

— მამუკას ძმის სიდდერია... — ჩა-
ილაპარაკა დედის სასთუმალთან დაყუ-
ლებულმა თეკლამ.

— უიმე, მოგვექრა თავი! ასე რაფა
გავუშვით, მარა ნამეტანი უგუნებოდ
იყო.

— მამუკა და მაგის შვილი იყვნენ
ერთად.

— რომელი?

— არადაქ ბებ, ნოსრევან არადაქ.

— არ ვიცი, მერე თუ იქნებ რაიმე
ამბავიო, არა?

— ჰო, ბებე.. — ამოილაპარაკა და ისევ თავის ოთახს მიაშურა...

— ღმერთო, რას ერჩოდი ამ ქვეყანას. ამოდენა ცოდვა-ბრალი რომ დაატრიალე.. — ესმოდა მოხურულ კარზე ზურგიით მიკრულ თეკლას, ლოგინამდე რომ ფეხი ვერ გადაედგა და დედას მისი უბედურება ეყოფა, ტირილის ხმა არ გაიგონოსო, ცრემლებს უხმოდ ყლაპავდა.

II

თეკლა სანამ პატარა იყო, ბებია ომის შიშით, ბავშვს მეზობლებში არსად წამოცდესო, ძვირფას ნივთებს უმაღავდა. იცოდნენ, გამცემი და დამსმენი იჭვე, სადღაც ამ ეზოში ცხოვრობდა. ამ ოჯახმა ისედაც დაკარგა აუნაზღაურებელი ჯანდი: ელპიტემ — სიძე, ასმათმა — ქმარი და თეკლამ — მამა. ეს შავი დღისათვის, მიხარწილი, წუწურაჭი ქმრისაგან დატოვებული ნივთებიც რომ წაერთმიათ, შავი პურის ფულზე ფიქრიც კი გაჭირდებოდა.

გამზდარი, სახეჩამომკნარი, ერთი შეხედვით კაფანდარა მოხუცი, თავის თავს ოქრომჭედელს რომ ეძახდა, სწორედ მაშინ შემოიბარებოდა ლანდივით, როცა ოჯახში ყურგაზვრეტილი გროშაც აღარ იყო.

შემოძვრებოდა, მოწყენილი, დაბეჩავებული, ძველმანებგადაცმული და წუწუნებდა, ოხრავდა, ლამის ტიროდა, რომ ასეთ დროში ოქრო და სამკაული ვიღას უნდა; მე კიდევ რა გამაჩნია, რომ ოქრო და ბრილიანტი შევიძინო, ეს კი არა, რა ხანია ერთად ორი პერანგი არ მიყიდილი. თუ ელპიტეს ხელისგულზე საფურცეს, ქინძისთავს, ძეწვეს ან მედალონს დაუნახავდა, უემფრი, დიამინებული სახე არა, მაგრამ ცრემლმომდღარი თვალი მაინც გაუცილებდა.

ელპიტეს „ოქრომჭედლის“ გაკირვებაც ესმოდა, მაგრამ თავისიც არ აფიქვდებოდა და შემოძლეულ, ოხრის ფასს ვერ ყაბულდებოდა. მუშტარი ნივთს იღებდა, ხელში წონიდა, აბრუ-

ნებდა, უჭვრიტინებდა, სუნავდა, მხეწდა და ისევ უსან უბრუნებდა, რალაცას წაუმატებდა და ვითომ წამომცდაო, ისევ პირველად შეძლეულს წამოიყვებოდა. ბებია ეხვეწებოდა, ხმადაბლა, ხმადაბლა ილაპარაკეო, რომ გვერდით ოთახში შეილიშვილს არ გაეგონა და კედელს „ქით მეზობლებს. მაგრამ „ოქრომჭედელს“ ეს თავის თავზე წუწუნის დროს ახსოვდა, როგორც კი საქმე ფასზე მიდგებოდა, ავიწყდებოდა...

ელპიტე: ჯანდაბას, ის მაინც წამომცა, რაც წელან წამოცდაო...

ბებიამ იცოდა რა გროშის ფასად მიჰქონდა „გაკირვებულს“ მისი გაუხარელი ახალგაზრდობის საფასურა, მაგრამ სხვამ, ვაი თუ გამცეს, ტყუილად დოკარგვას, ერთ თვეს რომ შეილსა და შეილიშვილს ლუკმა მიქმინოს, ეს მიჯობსო და ასე გადინაცვლა „შევი დღისთვის გადანახლმა“ „ოქრომჭედლის“ ხელში.

ორი დღის წინ კუბოში ჩასატანებელი საყურეებიც ჩალის ფასად წაიღო, რაკი ომი მძვინვარებდა, მტერი წინ მოიწევდა, ბაზარს ცეცხლი წაეციდა და ხალხისთვის პური იყო სამკაული, და არა სამკაული — პური.

სექტემბერი კარზე იყო მომდგარი. თეკლას ლეკციებზე უნდა ევლო. ასმათიც დადნა და დაილია, მაგრამ პირში სული ედგა, ერთი ჭიქა ცხელი რძე რომ არ დაელია და ორი თოზლო კვერცხი მაინც არ გადაეყლაპა, რითი ესულდგმულა, თვითონ ელპიტე, მარიამობისთვის მარხვას ინახავდა და იოლად გადიოდა, მაგრამ იმდენად დასუსტდა, ხელის ზურგზე სისხლისძარღვები დაეჩუტა.

წინა დღეს, უთენია, პურის რიგში. სანამ მალაზია გაიღებოდა, ფეხზე ყურყუტით ჩამოწყდა, როცა პური მოიტანეს და მიესია შიმშილის შიშით დაზაფრული დიდი და პატარა, თავბრუდასხმული მოხუცი ცალ ღია კარში მიესრისათ და ბრბოს გულწასული, ზეზეურად მკვდარი, დაბლთან მიეტანა. ნოქარს, მუშტარი რომ ხელგებს თვალგებში თხრიდა, და ვეება დანით თავს

ძლივს იცავდა, უძრაობით და სიმშვე-
დით შეუნიშნავს გონმობილი, უყვი-
რია, დანით და მუჭლუგუნით გამოუგ-
ლეჯია ხალხისთვის, მერე წყალი მოუმა-
რჯებია და როდის, როდის, მოუსული-
ერებიათ. დახლს შიგნით სკამებზე და-
უწყენიათ სანამ პურს დაიტაცებდნენ
და მერე კი თვითონ ნოქარს სახლამდე
გამოუცილებია: ჩემი წაწყმედა მეყო-
ფა. კაცის ცოდვაჲ არ დამედოს, თო-
რემ ჭოჯობეთშიაც არ შემიშვეებენო. კა-
რებამდე მოჰყოლია, მაგრამ ბებიას პუ-
რი სულს რომ ერჩია, ეს არ გახსენე-
ბია.

იმ დღეს მორწმუნემ, ავადმყოფმა და
ჯანმრთელმა, ერთნაირად იმარხულეს.

მეორე დღემდე ელზიტეს თავი არ
აუწყვია. უთენია, ძვალტყავა ფეხები
რომ ლოგინიდან ჩამოყარა, შიშკინის ნა-
ხატზე გადამსხვრეულ ხეს მობდაუქე-
ბულ ბელივით ბალიშს მოხვეულმა თე-
კლამ, დედის გააგებულნი ხმა გაიგონა:

— თეკლა!

თეკლას არ ახსოვდა, მით უმეტეს,
ქვაფენილზე თავის დარტყმის შემდეგ
იგ ასე ადრე ოდესმე გაეღვიძებინოთ,
დახატრული წამოვარდა:

— დედა, რა ამბავია, დედა! — კარი-
საკუნ პერანგისამარა, ფეხშიშველი გაი-
ქცა, მაგრამ დედის — დაქრილი ძუ და-
თვის ხმამ შეაჩერა:

— ტანზე ჩაიცვი!

თეკლამ კაბა გადაიცვა, თმა ცალი ხე-
ლით ნაუცბათევად შეაგროვა და ერთი
სარკით დაიმაგრა, შიშველი ფეხები ქო-
შებში წაჰყო, ისევ კარს მიაწყდა და
დედის საწოლს მიაშურა...

— დედა, როგორა ხარ?!

— დაიწი უკან! — გულადმა მწოლი-
არემ, ჩალურჯებული უბეები, დილის
ბინდბუნდში შავად რომ ჩანდა და თვო-
ლები თეთრად, ახლოს არ მიიკარა.

— დედა! — სახტად დარჩენილ გო-
გოს იმ წუთას საყვარელი ბებიაჲ კი
არ გახსენებია, გაცრეცილი პერანგისა-
მარა, ლოგინზე ჩამომჯდარი, ღმერთს
შველას რომ თხოვდა.

— წადი... წადი და პური
— თქვა ასმათმა და ქურჩისკენ გადამბრუ-
ნდა: ამაზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ამ
საქმეს სხვა გზა არა აქვსო.

თეკლამ სული მოითქვა. გაუხარდა
კიდევ რომ რაიმე ახალი, დიდი უბე-
დურება კი არ დატრიალებულა. თუ-
რამე ასე უბრალო საქმე ჰქონია გასაყე-
თებელი.

— კი, დედაო, ახლავე... ახლავე
ბებ! — იმ წუთსავე დაკრა ფეხი და ისე,
ქოშებში ფეხწადგმული, პირდაუბანე-
ლი, უფულოდაც კი ამორებდა გაქცევას,
რომ ხელაყრობილ ბებიასათვის
ღმერთს არ ჩაეგონებინა და ბებიას სას-
თუმლიდან გროშები არ გამოედო.

ქუჩაში ქვაფენილი გადაჭრა ფრთხი-
ლად, თორემ ტროტუარზე სულმოუთქ-
მელად გაბოდა. რაღაც უხაროდა კო-
დეც, ზაფხულის, მაგრამ მაინც გრილი
სისხამი დილა: დედა დღეს უკეთ თუ არა,
უარესად არ იყო. ბებიას კი დღეიდან
არ დასჭირდებოდა რიგში დგომა. თვი-
თონაც ერთთავად გამოეცრელი, დაზეპი-
რებული წერილების შეათასვდ კოთხვას
ერთხანს მაინც მოეშვეებოდა. მართალია,
პურის რიგში დიდხანს დააგვიანდებო-
და, მაგრამ კიდევ უკეთესი — ამდენ
ხანში იქნებ რაიმე დავიწყებოდა და
ხელახლა რომ წაიკოთხავდა, იქნებ რა-
ღაც ახალი მოჩვენებოდა... ან, ან ვინ
იცის, ფოსტალიონი ამ დილით ადრე
მოსულიყო და ერთი პატარა... ოთხ და
ხუთ გვერდიანი კი არა, პატარა, რვეუ-
ლის ნახევარი ფურცელი და ზედ დაზ-
ხანხანილი რამდენიმე სიტყვა მოეტანა...
სიტყვაც არა, რაიმე ხაზები, მიბრე-
ცილ-მიბრეცილი, უთავბოლო...

ეგონა, ასე უთენია აღამიანს ქუჩაში
და, მით უმეტეს, მაღაზიაში რა ესაქმე-
ბაო, მინებდალუწილ დუქნის ვიტრინე-
ბის წინ კი ჩაწყაბული ხალხი დაუხვდა
ზედ კართან, ორსაფეხურიან კიბის
თავზე ფაშფაშა, ხანში შესულ ქალს,
სახლიდან მოტანილი ფიანდაზის ნაგლე-
ჯი დაეგდო, ზედ იჭდა, დახლმოხვეული
და კარებზე თავმიბჯენილს ეჩინა. მის
გვერდით მიეჭროდა უფრო ახალგაზრ-

და, მკლე, გახუნებულ ჩითის თავსაფარწყარული ქალი და ჩაცუცქული თვლები და, ეტყობოდა, გათენებამდე მოსულიყვენ და ისედაც მოკლე ღამეში გამოძინება სანახევროდაც ვერ მოესწროთ. ჩითის თავსაფარიანის შემდეგ იმ ფაშფაშა ქალის დასატყვი ადგილი გამოეტოვებინათ და არაერთხელ წვიმასი მოყოლილი ჭილის ქუდიანი, უღვაშა კაცი იღვბა, პაპიროსს ახრჩოლებდა და ახრიწინებდა, მერე ჩია დედაბერი, მიწამდე ათრეულ ნოჭიანი ქვედა წელი კაბის ზევით, მამაკაცის სახამთრო, ნაქსოვი ჯემპირი რომ ეცვა, დედაბერის შემდეგ კიდევ იყო გამოტოვებული ადგილი და თეკლამ იცნო მათი ქუჩის სარდაფში მცხოვრები, თერთმეტი შეილის მამა, ყორნისფერწვერულვაშიანი ქურთი. ქურთი პირდაპირ კედელთან მოკალათებულყო და ხელები, ერთმანეთში გაყრილი თითებით, მუხლის თავებისთვის ასაწევი, მძიმე ტვირთივით შემოეხვიდა.

თეკლა, ერთი გამწლაკული ბიჭის უკან დადგა, კედელზე ბეჭით რომ იყო მიყრდნობილი, კარისაკენ პირმიქცეული და კარგა ხნის ამოუპარსავ კისერზე ქინკლი, თმის ტოლა რომ გაზრდოდა. რაღაც მოტივის დასტვენას აპირებდა და წინ წაშვერილ ტუჩებში პაერის უბერავდა. სტვენას ვერ ბედავდა, მაგრამ ტუჩებში პაერის შუილით გულას ჭიას ახარებდა. „სამი ტანკისტის“ მოტივს უმღეროდა გუნებაში დაგულბულ მსმენელს, ქოშების კახა-ქუნის ხმა რომ მის ზურგს უკან შეჩერდა, თავი მოგვიანებით, ზანტად მოაბრუნა და ქალიშვილს ფეხებზე დახედა. დახედა და მართლა დაუსტვინა, გრძლად, უმოტივოდ.

ურცხვი ბიჭი ჩანდა. ისე იქცეოდა, მამლაყინწა რომ თავის ეზოში მანლის შიშით დაყოვლებას ვერ ბედავს და მეზობლის ღობეში გაძვრება, იქ ვარიას დაინახავს და ვითომ წამოიყვილებს, წაშოსლოკინებას უფრო რომ ჰგავს. თეკლაზე ორი წლით უმცროსი იქნებოდა, მაგრამ მაღალი იყო, თხელი.. უტაროთ

სიმილი რომ სხვებს წააწყდებოდა, კედლობდა რა სიმაღლისაც იყო, ამ დიდთვალბიან, სევდიან გოგოს იმ ხნისად მოჩვენებოდა. ჯიბიდან ტარიანი პაპიროსი ამოაძვრინა. კედელს ზურვით მიუყუდა, მოუკიდა და ერთი მოჭაჩვიანანავე ფერფლი თეკლას მხარეზე დარეკა. ვითომ წინ იხედებოდა, მაგრამ ცალი თვალთ მინც გოგოს დაუღარაჯდა.

ნეტავ ამას რა ყურადღებას ვაქცევო, თეკლამ კედელს მუშტები მიაბჯინა, ზედ ზურვით მიაწევა და ქუჩას უაზროდ მიაჩერდა. ამ დროს ორი ხელიხელ გაუჩილი ქალი მოვიდა, თეკლას გვერდით შეჩერდნენ და გზა-გზა ადევნებული უხალისო საუბარი ჩიფჩიფით გააგრძელეს:

— არა, როგორ არა! — ჩლიფინებდა ოდნავ დაბალი, უთუოდ წინა კბილი რომ აკლდა, — იმის მერეც მივიღე, მაგრამ იმ, ბოლონდელზე ადრე გამოგზავნილი იყო.

— რიცხვი ეწერა, ესე იგი... — ამოხსნა საიდუმლო ოდნავ მაღალმა, ვერცხლის კბილებს რომ აელვებდა და ბუნებრივად ლაპარაკი წასაც უჭირდა.

— აბა როგორ! — დაეთანხმა კბილნაკლული, — მაგრამ რატომ მოხდა ასე, ეს უწინ გამოგზავნილი რომ ბოლოს მივიღე, ვერ გეტყვი...

— ზომ მიიღე და რას დაეძებ, — თქვა ცოტაოდენი ფიჭრის შემდეგ ვერცხლისკბილებიანმა, რაკი ამჯერად ომის ორომტრიალის საიდუმლოს ვერ ჩაწედა.

„შეც მივიღე მამუკას წერილები მოგვიანებით, როცა ბოლოს გამოგზავნილი უკვე მოსული იყო“, — გაიფიქრა თეკლამ და პაპიროსიან, თავქეითა ბიჭს ოდნავ დაშორდა, ქალებისაკენ მიიწია.

— ამის მერე რომ გაწყდა, გაწყდა... რა ვიფიქრო, არაფერი არ ვიცი! — ამოიოხრა ოდნავ დაბალმა.

— ჩვენს ეზოში დაჭრილი დაბრუნდა ერთი, უფებო, რომ გენახა? — სცადა ნუგეშისცემა ოდნავ მაღალმა.

— ვნახე, მაგრამ რა მხარეს იყო, ხომ არ უთქვამს?

— ომში იყო ქალო, ფრონტზე! — როგორ შეკითხებით, გაიკვირვა მომალდლომ.

— ომში იქნებოდა, აბა ფეხს ფაფის ჭამაში ხომ არ დაკარგავდა, მაგრამ დიღია ნამეტანი ეს დასაქცევი ფრონტი.

— ის, პირველად რომ თოფი გავარლა, იქაა დაჭრილი. — მაშინვე მიუხვდა და დაუზუსტა მისამართი ნუგეზისმაცემელმა.

— არა, ჩემი მერე წაიყვანეს, ომში რომ დაიწყო...

„მაშუქასთან ერთად წაუყვანიით...“ კბილნაკლულ ქალს თანაგრძნობით შეხედა თეკლამ.

პურის მანქანა რომ გამოჩნდა, დუქანის წინ ტევა აღარ იყო. რიგი, კედელთან რიგად დარჩა, როცა ხალხი ყოველი მხრიდან მოაწყდა და უკანა კარს მანქანა რომ მიაყენეს, ზოგიერთებმა რქიდან შეძრომა, თუ პურის ჩამოდებაში მიშეეღება სცადეს, რომ თავისი ულუფა სხვაზე ადრე მიედოთ.

ბიჭმა თეკლას თვალით ანიშნა, აქ ვდგავარო და კედელ-კედელ გაძვრა. თეკლამ თავი უფრო თავისუფლად იგრძნო, თუმცა ამ ალღია ხალხს ერთი ხმელი ბიჭი არც მოკლებია. მაღაზიის უკანა კარებიდან ყვირილი მოისმო: „მოშორდით აქედან, ფეხებში ნუ მედებოთ... ხალხი გათენებამდე რიგში დგას, გაეთარიე შე ლაწირაკო“, მაგრამ ბიჭი არ დაბრუნებულა, ვიღაც მწითურულვაშიანი ჩველი აპირებდა მის ადგილას შემოძვრომას, ზურგში მდგარმა ქალებმა თეკლას წინ უბიძგეს და ჩველს ეპვის თვალით ჩაუსაფრდნენ: „შენ თუ დეზერტირი არა ხარ, აქ რა გინდაო“.

ნოქარმა ცალი კარი გააღო, ვითომ რიგში ვინც დგას, სათითაოდ შემოვიდნეს, მაგრამ იმ ფაშვამასა და ჩითის თავსაფრიანს ძლივს აცალეს შიგ შესვლა, რომ აირია ყველაფერი, კარს მიესიენ, ნიაწვენე გარედან, ერთმანეთი მიასრიეს, მოკულატეს და აამღვრიეს წყა-

ლი. ვიღაცა აწივლდა, ვიღაცამ...
 ნა, ვიღაცამ მილიციას მოჭმ...
 ლად, ამ არემარეზე რომ არავის დაუ-
 ნახავს.

თეკლასაც ააბურთავებდნენ, ერთ მხარეზე კედელს რომ არ ყოფილიყო მიჯრული. დინებამ წაიღო, მაგრამ ისე დუნედ, ვინ იცის, თუ ასე ივლიდა, დახლამდე როდის მიადწევდა. ქურთმა კარის წირთხლს როგორღაც ხელი მიუწვდინა, მოუქცია, წინ გადალობებულები გაყარა და რიგში მოყოლილებს გზამისცა, მაგრამ როგორც კი თავისი თავი კარში შერგო, აქედან ისევ მიაწყდნენ და წინ წაწეული თეკლა ისევ კედელზე მიაკრეს.

გაპირდა სულის მოთქმა. ახლა მის წინ ვიღაც დაბალი, ჭაღარა კაცი იდგა და მის ზურგზე ხელმებიხვენილი გოგო მკერდს ძლივს იფარავდა, რაჟო ზურგიდან ვიღაც ისე აწვებოდა და ეტმასნებოდა, არც ერთი იმ ქალთავანი არ უნდა ყოფილიყო, მის შემდეგ რომ მოვიდნენ. და ის, ვინც ეტმასნებოდა და აწვებოდა, აწვებოდა იმაზე უხეშად. ვინემ ხალხის ტალდა, თითქოს თავისი სურვილითაც.

თეკლამ ილღიაში შემოცურებული ვიღაცის ხმელი ხელი იგრძნო, მარჯვენა ძუძუს ჭვევით რომ უფათურებდა. გოგო წინ მდგომს ორივე იდაყვით მიაწვა, რომ უკან მოწეპებული ზურგით უგუეგდო. ამით მოშორების მაგიერ ხმელ, ბაჭურ მკერდს მიეკრა და მისი მეორე ხელი ახლა, მარცხენა ილღიის ჭვეშ შემოუძვრა. გაიბრძოლა, რაც ძალი გააჩნდა და ამ ჭიდაობაში ერთადერთ იმედს — კედელს სულ მოშორდა. მღვრიე ტალამ ნათოტივით აიტაცა ზურგიდან მკერდში მარწუხებით ჩაფრინელ ვიღაცასთან ერთად, წყალწადებულს ფსკერზე ჩათრევას და გაგუღვას რომ გიბირებს. თეკლამ წინ წაწევა მოინდომა, იქნებ როგორმე კარამდე მივადწიოთ, ვერც ეს შებრუნდა. ბოლოს წინა, ჭაღარა კაცს მკერდით მიეკრა. ეს ზურგში მოწეპებულის ხელები მაინც მოვიცილოთ, მაგრამ ვინ

ნოეშვა, პირიქით, მკერდით წინ მიესრისა. ნეკნები ისე ეტყინა, ისედაც შეხუთული ჰაერი ველარ ჩაისუნთქა და რაღაც თავბრუს, თუ ბინდი წაეფარა, გონებაც რომ გაქვს, ვითომ ხედავ, რაც ხდება და კონტროლს კარგავ; გესმის, რასაც გეკითხებიან, პასუხს გუნებაში იმეორებ და ენა ვერ ამოვიდგამს. გრძნობდა, ძალიან მაგრად შემოსალტულ ხელებს, სუნთქვის საშუალებას რომ არ აღუვდენენ და ებრძოდა იმით, რომ იდლიებში ამოყრილ მარწუხებს თავის მკლავებს უპერდა, რაც გვერდებსაც სტყენდა. ნოწყდა და მოიჩივრა, თითქოს ფსკერზე დაეშვა, მაგრამ ფეხებს შორის გამოჩრილ ხმელ ცალ მუხლზე თუ ფეხსზე გარჩა. ქეჩოში კაბის საყულოსთან გრძნობდა ცხელ, პილბილივით ცხვირს, მისი ამონასუნთქი რომ ხერხემალს უწვავდა, ძუძუებზე მტკიცეული, ხმელი თითების მოშორებაღა უნდოდა, ასე უხვმად რომ ქვლეტდა; სრესდა და ძალას აცლიდა.

კარის ბაძოს ჩაფრენილმა ქალარა კაცმა გვერდიდან მოწოლილები ბეჭით მისწია და როცა დუქანში შეაღწია, დინებამ თეკლაც შეისროლა დახლთან მიიტანა, ხარისხზე ჩვარივით გადაკიდა და ამწვარი ხერხემალი, დალორწყილი კისერი, ნატყენი ნეკნები და გაწურული მკერდი ძლივს დაიბრუნა...

„პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“...

111

— შეილო, ძირო, სულის დგმავ!...—
ლოგინზე წამომკდარი, ხელებაპრობილი ელპიტე ლოცვა-კურთხევას აღავლენდა ცათა შინა, რომ მათ სახლში გაჩნდა ოჯახის ერთადერთი იმედის — თეკლას მოტანილი პური. საწოლიდან ასმათმაც გადმოხედა კართან ატუხულ, თმაჩამოშლილ, მკლავებდალიღავებულ, ჩარბჩამოვარდნილ ქალიშვილს და ორი სიტყვა თქვა:

— კარგია, შეილო...

მისი სიტყვები ისევე უაღერსო და

თითქოს უგულო იყო, მკვნიშ-მკვნიშ რება არ ახლდა. „კარგია შეილო, თუ მალე მართოდმართო, ეულად დარჩენილი პურის შოვნას მიინც შეძლებო...“ რაღაც ამდაგვარს თუ ნიშნავდა ის ორი სიტყვა. იმ დღეს ბებიას და დედას ძალიან ეგემრიელათ გულგამოუშრობელი, ქვევის მოტლენილი შავი პური. თეკლასთვის კი მის სიცოცხლეში პირველად იყო პური ძირმწარეში გაღესილი, მძლავრ და რიყის ქვასავით ძნელად მოსანელებელი.

დღეს მის თავზე გრიგალი დატრიალდა. მტერი, რომელიც ამდენხანს სადღაც შორს, ცხრა მთას იქით იყო, ამ დილით თეკლას სულში შემოიჭრა და მწუქას პირველი ტყვია მოარტყა. მტრის ხელმა, რომელიც ამ დილითაც არ დაუნახავს, როგორც მანამდე, ხელპყო ის, რაც მამუკას ეკუთვნოდა, რაც თეთრსა და შავ მდინარეს შუა ციკქნი კუნძულზე ლურჯ სილაში და ვერცხლისფერ ტირიფებში გოგომ თავისი დიდი წადილი ვაყის საყუთრებად აქცია.

გაუცნობიერებელ ქალში გაჩნდა დაუპატივებელი, ხელნაკრავი, უარყოფილი, მიფურთხებული, მაგრამ გრძნობა... სასარცხვინოა, თვით სიტყვა „გრძნობა“ უწოდო იმ გულსისამრევე ბანგს, რომელშიაც კისერზე ქვა ჩაბმული, ძალი-სძალათი გადაგადგეს და დაგათრო, გაგაბრუა, გაბურთავა, გსრისა, გქელიტა და გონიხილი გაგრიყა.

თეკლას ერთგულ, თბილ, მოალერსე სხეულში გაიბრინა ცხელმა, ჯიქურმა, ტლანქმა გრიგალმა, რომლის წინააღმდეგ სათნოების, ერთგულების და სიწმინდის დობე-ჯებირი ირყევა. ის არც გამოჩენილა, როგორც ქარი არ ჩანს, მაგრამ ქალის ტანზე დატოვა ლურჯი ნაკვალევი, როგორც დანაწევებზე ნაცარი, რაც ღრმად ისევ ცხელია და ნაკვერჩხლები თვლემენ, თუ წვიმამ და წყალმა არ ჩააქრო და წალეკა, რომ დიდი ხნის შემდეგ ისევ მწვანე ბალახი წამოიზარდოს, ისევ დაემგვანოს მდელის და კორდი კორდს. ახლა თეკლას მინდორი და ბორცვები ნაომარ ველს ჰვავდა — და-

სახიზრებულს, მონაცრისფრო-მოლურ-
 ჯოდ დატალულს და დალილავეზულს.

ხელნართული ბრძოლა დააწყეთ...

ოჯახში გაჩენილმა პურმა და ამე-
 ზა ბებიას ის სუსტი ძალეუ წაართვა,
 რაც მანამდე აბოგინებდა... დედას და-
 ღვრებაზე ნამბის ძაღზე ვითომბული
 რწმენა ვაუზინა და ხუდადოვის ტყის-
 ენ ლინდივით წალასლასდა. თეკლა იმ
 უჯართ საზღალოვით მარტოდმარტო და-
 რჩა, რომელიც არასაღეს ჭარისკაფი
 ან ყოფილა და ბრძოლას ველი თელით
 ან უნახავს. ცხოვრება — ონი კი მძვი-
 ნივარდებდა და ფრჩხილის ოდენა შეღა-
 ვათს არ აპირებდა.

მეტრე დღისათვის თვალატირებულში,
 განწარებულში ვოგომ ვითომ თვედაც-
 ვის პირველი ზღუდე შეაკოწიწა. უთე-
 ნია ადგა, იმ უახლოეს პურის მალაზი-
 ას შორიდან მოუარა, აღმართი აიარა და
 სლოლოაკში, გზისპირა, ვიწრო ტროტუ-
 ანზე ვამოსულ დუქანს მიადგა და რი-
 გი დაიკავა. კედლისკენ პირმიბრუნებუ-
 ლი იდგა და არავინ დაუნახავს, მაგრამ
 ხალხი რომ მომრავლდა და მით უმეტეს
 პურის სუნი იკრეს, გვერდიდან ხნიერ-
 მა მამაკაცმა მკლავი გადმოუწვდინა და
 ზურგში მოწოლილი ხალხისაგან თეკ-
 ლას დაცვა მოინდომა. მაგრამ ამ კაცის
 ხელიც ზოგჯერ, „მისდაუნებურად“ მარ-
 ცხენა ბეჭის თავზე გუშინდელ ჯაჯუ-
 რში და ტყულებაში მიყენებულ ტყვი-
 ლებს „უამებდა“. მართალია, ხანშესუ-
 ლი სახეს არიდებდა, ხალხს უჯავრდებ-
 ბოდა და ქაქანებდა: აქ მართლა ისე კი
 არაა საქმე, ჩვენისთანა ღონივრები და
 ჭველები კი არ არიან, სუსტი არსებანი
 და მოხუცებია, რომელთაც უნდა გა-
 ვუფრთხილდეთო. მაგრამ თეკლას
 მრგვალ, სალუქ მხარზე, თუ ლურჯ-ნა-
 დრისფერს არა, თითების ცისფერი კვა-
 ლის დატოვების მაინც აპირებდა...

მესამე დღეს თეკლა მალაზიის კედელს
 ზურგით იყრა და ვინც საეკვოდ მი-
 იჩნია, მათგან თავი მამინევე შორს და-
 იქირა. რიგეც კი დაკარგა, ორი კაცით
 უკან გადაინაცვლა და ძლიერი ხორცსა-
 ვსე, ღონიერი ქალის ზურგსუკან მოე-

ქცა. კართან მიხლოებისას, ჯგუფთაში,
 ანოდენა მთა ქალიც შეაჩუყეს და ნა-
 ბიჯით მაინც უკან დაახვეინეს. თეკლას
 ფეხის თითებს დაბალქუსლიანი ფეხსა-
 ცმული დაადგა და წინ მიაწვა, უმწერო
 გოგო აწივლდა, თითქოს საჭაპანო ცხენს
 ფლოტვი დაიღვას, მაგრამ, წივილ-კივი-
 ლი, ოხვრა და გინება ახლა ისე არავის
 უკენდა, ნაგონარც ერთ დროს გულიანი
 მასლაითი და მუსაიფი. ამის შემდეგ
 ორი კერა გააჩებულ ფეხს ქოშზე ზე-
 ვიდან თასმებით დაკრულს დაათრეკდა
 მალაზიებში, ბაზარსა და ლექციებზე.

IV

თეკლა ქადაგიძის ბედი იმდენად მძი-
 ზე და აუტანელი იყო, რამდენადაც იმო-
 დენა წირდნას, მთელ ქვეყანას რომ
 ნთქავდა, მიმუჯასთან განშორების შე-
 მდეგ, მარტოდმარტო შერჩა.

ბებიას, მიხრწნილი ქმრისაგან ასმა-
 თის მეტი შვილი არ ჰყოლია. მამის —
 ლაზარე ქადაგიძის ძმებიდან, ერთი —
 პოლშევიკი, დაღესტანში თეთრგვარდი-
 ელებმა თუ თურქეთის ფაშამ მოკლა,
 როცა რევოლუციონერი ბუნიაკსკი და-
 ხვრიტეს. მეორე მენშევიკებს ემხრობო-
 და და მათთან ერთად საზღვარგარეთ
 გაიქცა. ახლომასლო, ხელმისაწვდომზე
 თეკლას ახლო ნათესავთაგანი არავინ
 ჰყავდა. მგზობლებისაგან კი მათი ოჯა-
 ხი ახალი წყობის დამყარებისთანავე გა-
 ირიყა, როგორც შეძლებულთა ფენა.
 ისინი, ვინც სოლომონ თათვიშვილის
 ამოდენა სახლში დამკვიდრდნენ, ორ
 ოთახში შეუქმულ ძველ შეპატრონეებს
 ამრეზილ-ჩასაფრებულნი უთვალთვალე-
 ბდნენ, რაკი მდიდარ თათვიშვილის ქო-
 ნება მთლიანად ვერ დაისაკუთრეს. ორი
 მორჩილა ოთახი, ძველი დივან-სავარძ-
 ლები, კამოდი (წინა ოთახში რომ იდგა)
 და კარადა, კედლის ხალი და ქვრივის
 სამკაულები პატრონებს მაინც შერჩათ
 და ქუჩაში ხელგაწვდილი არ დამათხო-
 ვრობდნენ. ამ ამბავს იმასაც აბრალებ-
 ბდნენ, რომ რევოლუციონერი ქადაგიძე
 ჩაისიძეს. დამაშვრალთათვის თავდაღე-

ბული თვით ლაზარეც არ ეხატებოდით გულზე.

ბავშვები მაინც ბავშვებია. თეკლას შეიძლება მით შორისაც ეპოვნა მეგობარი, მაგრამ თათვეშვილ-ქადაგებიძის ახლანდელ ბინას ეზოში ჩასასვლელი არ ჰქონდა. მისი ერთადერთი კიბე პირდაპირ ფიქრო ქუჩაში გადიოდა. ეზოში შეხვლა ილაყაფის დიდი, ოცნის კინკრადან შეიძლებოდა, სადაც მუდამ დაძრწოდნენ უჯიშო ძაღლები და რაკი ეზო არავის საკუთრება არ იყო, თავს არაფერ იტყობდა „გაენაწყენებინა“ „უხახლკარო“ მაწანწალები. ისინიც ირეოდნენ და წაგვეკავებდნენ, უყუფავდნენ ყველას, სტუმარს და მასპინძელს. ვინც კინკრასში ფეხს შემოადგამდა, მაგრამ საკმარისი იყო მათგან არ მიგეხედა, ან ფეხი დაგებაკუნებინა, რომ მაშინვე ხმას ჩაიკმენდნენ, კუდის ქოცინს და ლაქტულს დაგიწყებდნენ. თუ ვინმეს დაიბრაუყებდნენ, როგორც მაწანწალებს ზევით, ხოლო მიეკოდნენ. კარუსული და საქანელა სოლონობი თათიშვილს არ დაუტოვებია, ამოდენა ეზოს ბავშვებთანათვის ხმელა ფაჩინც კი არსად იყო, რომ ცხენ-ჯოხებზე ამხედრებულყოვნენ, მთელი გასართობი და თავშესაქცევი ძაღლები იყო, რომლებსაც კატებს, სხვი ეზოს ძაღლებსა და ბავშვებს, განსაკუთრებით გოგონებს, მიუჭსევდნენ.

თეკლა პატარაობისას მათი ეზოს გარეთ დარჩა და სკოლაშიც, რაკი უამბანაგოდ და უმეგობროდ მოვიდა, გარეგნულ უშუალობასა და სიხალისეს მოკლებულმა თავიდან ვერც იქ იპოვა გულის სწორი. მერე ბავშვები დაჯგუფდნენ. ღარიბების შვილები, თუ ხასიათითაც შეეწყვენ ერთმანეთს, ცალკე გადგნენ, უფრო ცოტა „საშუალოები“ ცალკე და ორიოდ „მდიდარი“ სულ ცალ-ცალკე, უერთმანეთოდაც კი. „მდიდრების“ მეგობრობა საეჭვო იყო, როგორც რაიმე კავშირი ღარიბების წინააღმდეგ ხდებოდა მათი „ღარბეაც“ — რვეულების, ფანქრების და კალმების შიტაკება; „მდიდრების“ შევიწროე-

ბა და ატირება „ცოდვად“ ბავშვების ბოდა. თეკლას, როგორც ბავშვების უმრავლესობას, სიძულვილი არ შეეძლო და ისევე ეძებდა მეგობარს, როგორც ყველა მისი თანაკლასელი, მაგრამ თუ ვინმე „ღარიბი“ ამას გაბედავდა, იგი „მოღალატედ“ ჩაითვლებოდა, თუ „საშუალო“ დაუახლოვდებოდა, მაშინვე „მდიდრად“ მოინათლებოდა და „ღარბებისა“ და „გაჩანაგების“ მსხვერპლი გახდებოდა. თვით მასწავლებლებიც იმას გაიძახოდნენ. მდიდრები და მწაგვრელები დავამხეთო (თითქოს მასწავლებელს დაემხოს), წურბელები და ექსპლოატატორები (ბავშვებს მხოლოდ წურბელები ესმოდათ, ეგონათ, მდიდრები პირდაპირ სისხლს სვამდნენ) გავსრისეთ და დაიწყო ახალი ერა — ექსპლოატირებულთა, პროლეტართა დიქტატურით. მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, არ ესმოდათ არც „ერა“, არც ექსპლოატირებული პროლეტარი და არც დიქტატორი, მაგრამ შედაგოგი ამას უბრალო, ჩვილისათვის ვასაგებ ენაზე არ თარგმნიდა, რომ მოსწავლეს მისი რიდი და პატივისცემა არ დაეკარგა.

ბავშვებს, რა თქმა უნდა, წლების მანძილზე მოსწყინდათ ეს „კლასობანას“ თამაში და ახალ — კეთილ, მეგობრულ, ნაკითხ, გულდრძო და უზღიან „ფუნებად“ დაიყვნენ. მათ იმდენა შორისმჭურტელობა ჯერ კიდევ არ გაჩინდათ, გარეგნულად თვალში ააცემის გარდა, ეულის სიღრმეშიც ჩაეხედათ... ამას დაემთხვა თეკლას მამის ამბებიც და იგი ისევ „საეჭვო“ და მასთან მეგობრობა ისევ „საჩოთირო“ ვახდა. თანატოლებს ამორებდა ბებიაც. თითქმის საშუალოს დასრულებამდე, გაკვეთილების შემდეგ, სკოლის კარებთან უცდიდი და შვილიშვილს მკლავში ჩაფრენილი სახლში გულისკანკალით მიარბენინებდა, თითქოს ყოველი მანქანა და ეტლი ქუჩებში იმიტომ დარბოდა, მხოლოდ მისი ერთადერთი იმედი და ნუგეში რომ გაესრისათ და გაეთქორათ.

ინსტიტუტში მისვლისთანავე ჯერ მერხნეც არ დამჯდარიყო, რომ მამუკა

გამოჩნდა და რაც ამ ქვეყნად მოსვლის დღიდან, მეზობელი, მეგობარი და გულის აწორი აკლდა, ერთად აღნაზღაურა. არაფრის მქონებელი და არავის მყოლებელი, ქვეყნის პატრონი და „დედოფალი“ გახდა. მარტოობით და „დევნით“ უნდობელ და თავკერძა თეკლას, ასეთი დამთმობი და გულალალი ვინმე რომ არ შეხვედროდა, ვისაც ქვეყანა ვარდისფერი ეგონა და ადამიანები — ანგელოზები, პირველი მიხსლოვება გაუჭირდებოდა. ძლივს გაუმართლა — ვაჟის გულის კარები დაღებულნი დახვდა, იმშვა თავი ამდენმა სიმარტოვემ და მეორე უკიდურესობაში გადავარდა — ყველასადმი ნდობა და სიყვარული ერთბაშად დაიბრუნა.

დაიწყო ომი. გაქრა მამუკა და ისევ სრულიად მარტოდმარტო, ერთი კაკალა, დარჩა ისევ ბებოს კალთას ჩაფრენილი და დღე-დღეზე ხელიდან გამოსაცლელი დედის შემყურე.

ლექციები დაიწყო. გოგოების ამარა დარჩენილი აუდიტორიები ძველებურ, ქალთა გიმნაზიებს დაემსგავსა, სადაც თეკლას ისევ არცერთი მეგობარი არ ჰყავდა. შარშან მათთვის არ ეცალა და არც სურვილი ჰქონდა, რაკი ისინი ერთნაირად უყვარდა და ყველა ახლობლად მიაჩნდა. სხვაგვარად არც სჭირდებოდნენ და მათზე არც უფიქრია. აქ კი ისევ „ნოესწროთ“ დამეგობრება და დაახლოება. თეკლა თურმე ისევ „უცხო“ და „მდიდარი“ ყოფილა, როგორც პირველ კლასში დაემართა და ახლა, მართალია, მას არავინ „არბევდა“ და „ავიწროებდა“, მაგრამ არც მისი სიმარტოვის „ხელყოფას“ აპირებდნენ. შით უმეტეს, ამ გაჭირვებასა და სევდა-ტოვილში თავისი ახლობელის და ძველი მეგობრის მოვლისა და „პატრონობისათვისაც“ აღარავის ეცალა. დღეს მართოსულ გოგოს მათი რცხვენოდა, ერიღებოდა და ეკრძალოდა, რომ შარშან მთელი წელიწადი ბედნიერმა, ისინი ვერ დაინახა, თავისი სიხარული და სიმდიდრე ვერ გაუნაწილა და ახლა, არას მქონებელი, ხელგაწვდილი ვერ მიადგებო-

და. იქნებ გუშინ მათაც უჭირდოდა, იქნებ ისინიც ეძებდნენ თეკლაში მეგობარს, ხელგაწვდილი უკან დასდევდნენ და „მდიდარმა“ გროშები არ გაიმეტა?... იჯდა ახლა მათ შორის და სინდისი ქენჯნიდა, მარტოობისათვის განწირულს.

სწორედ ამ დროს, მან უნივერსიტეტში მიიღო მაგრად დაწებებული და დაბეჭდილი ბარათი. რა თქმა უნდა, ერთი წამითაც არ უფიქრია, რომ ბარათი რაიმეხნო მამუკასთან იყო დაკავშირებული.

კონვერტზე შავი მელნით, ბეჭდურიდან ძნელად გამოარჩევდი, ისე შეაკრად და ზუსტად იწერა მისამართი, მაგრამ ვისგან ან საიდან, არაფერი ამის თაობაზე ნახსენები არ იყო. თვით ეს თერთი ბარათი საიდან გაჩნდა თეკლას ხელში, ვერაფერი გაეგო. არ ახსოვს რომ ვინმეს მოეცა, ამ დღითაც მტვრიან შავ მერხზეც არაფერი იღო. უჭრაში, მართალია, არ შეუხედავს, მაგრამ თუ იქ უნდა ყოფილიყო, იქ არც მანამდე უძებნია რაიმე. ამ შუა ლექციის დროს საიდან გაჩნდა ეს ოთხკუთხა, ქათქათა, საგანგებოდ დაწებებული კონვერტი, რომელსაც, თავისი საიდუმლო მოფრენით და სისუფთავით, არც ემჩნეოდა თუ ვინმეს მისთვის ხელი ეხლო, თითქოს რაღაც სხვანაირ მოკრძალებულობას და სისათუთეს მოითხოვდა, ცნობისმოყვარე ავ თვალთაგან კრძალებს და საიდუმლო, სუფთა სამოსელს. იგი არ იწვევდა სიხარულს, არც სურვილს ჩქარა გაეგო შიგ რა ეწერა, რაკი არაფრით არ ჰგავდა იმ წერილებს, რომლებსაც საყვარელი ადამიანი, მეგობარი, ნათესავი ან ნაცნობი გამოგიგზავნიდა. მისი განსაკუთრებული სიწმინდე, სითეთრე თუ უბიწობა, არასტანდარტულობა და არავითარი საფოსტო ნიშანი, შინაწარე გაურკვეველობას და ბუნებრივ სურვილს — გაეგო შიგ რა ეწერა, ახლდა სურვილი, როგორმე შეცდომა ყოფილიყო, შინაარსი გაეგო, მაგრამ ბარათი სხვისი გამომდგარიყო.

ლექციას ქართულ გრამატიკაში,

მკლე, მაღალი, მაგრამ მხრებში წინ წასრილი უფროსი მასწავლებელი კითხულობდა, კონსპექტები თუ ჩანაწერები შუა მაგიდაზე ედო და ზევიდან დაჩერებოდა. კითხულობდა მონოტონურად, უხალისოდ, უდიდამოდაც კი, თითქოს სტუდენტებს უნდა მიენიჭებინათ მისთვის საშეცნეო ხარისხი და რაჟი ეს არ მიინდომეს, მსმენელებზე გულაყრილი უფროსი მასწავლებელი, ცოცხალ ორატორულ ლექციებს თავს არიდებდა. აღსაზრდელებს თვალეებში არ უცქეროდა, რომ ამოეცნო ეს რთული შეცნეობა მათთვის გასაგები იყო თუ არა, ისმენდნენ, რწერდნენ, თუ ისინიც ისევე გულგრილნი იყვნენ, როგორც აღმზარდელი.

თეკლამ თეთრი კონვერტის გახსნა რომ დააპირა, ირგვლივ ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს ხელი სხვის ჯიბეში ჩაეყო.

„ცოდეთა და ტანჯვით შობილი, შვილო უფლისა თეკლა“ — ეწერა უხაზო, თეთრ ქაღალდზე, რომელიც მხოლოდ ორად და ზუსტად იყო გაკეცილი, თითქოს ცხელი უთოაი.

თეკლას შეაყრთოლა, რომ ეს ცოდეთა და ტანჯვით შობილი შვილი უფლისა სხვა ენაზე კი არ იყო, ან სხვათაოდ აღამიანი, თითონ ყოფილა. ბოლოში სასვენნი ნიშანიც კი არ ეხვია. ამითად არ ჰგავდა იგი ჩვეულებრივ წერილს. ყოველი წინადადება აბზაცით იწყებოდა და უწყერტილოდ თავდებოდა.

„კეთილსა სძლია ბოროტნან, ღეთის ხელთქმნილ სოფელს ეშმაკეული დაეპატრონა.“

იღამის ძენი განუდგნენ ძმასა თვისისა არა თუ ილოცვიდეს მტრისა თფისსა მტრად ექნა მოყვასა თფისსა

„თაფნი თეაი და ცხოვრება თვისნი ნატანასა და მაცდურს ხელთ უპყრეა ურწმუნობითა უწმინდურობითა, ფოლისწამებითა, შურითა, ძალმომრეობითა“

„ცილისწამებითა, ძალმომრეობითა“ — გაიმეორა თეკლამ უხმოდ, ისევ გაყრთოლა.

„თრგუნება ბოროტისაგან წაიხრება, შეპირებული, ივისაგან კეთილი, დევნილია ბიწიერთაგან უბიწო, იუდის მსახურთაგან ღეთის მოსაგნი, სრულიად წარწყდა სასუფეველი უფლისა“

იღამის შეიღოა წარღვნა ელის არა წყლითა, რათა ნოემ კადობანითა იხსნას მოღვმა კაციც ცხოველისა და სულღვმულია.

მეორედ მოსვლა ცეცხლითა მმუსე-რელი ძე ხორციელთა უკუნიით უკუნი-სამდე“

„ომი?!“ — ენიშნა თეკლას და ცეცხლწაიკედებული მუყაოს გლობუსი დაუდგა თვალწინ, სადაც ზედ მიწებებული კალის ჭარისკაცი — თოფიანი მამუკა ნელ-ნელა დნებოდა.

„შვილო უფლისა თეკლა“...

თეკლასათვის თვით ცეცხლით წარღვნა არ იყო ისე შემამარწუნებელი, როგორც სასიკვდილო განაჩენივით „შვილო უფლისა თეკლა“... მერხზე მოკუნტული გოგო თანდათან კი აღარ კითხულობდა, კარგად, გარკვევით, მკაცრად გამოყვანილ ქათქათა თეთრზე ძალიან შავ ასოებს, თითქოს ისმენდა, როგორც მლოცველივით დაბრილი თეთრთმიანი ლექტორის წაკითხულს.

„...ქადაგიქათა გვარ-ტომისა ისმინე ჩვენი მავედრებელთა უფლისა სიკეთი-ხი შენთა“

ღეთის წმინდა ტაძარი გელის რომ აღავლინოს ლოცვა უზენესთა მორჩი-ლთა თვისთა და შენდობა და შეწყალე-ბა შეაუდროს

განატყიე სულითა შენითა უკეთი-ლნსახურესა მონა ღეთისა და იქმნიდე ეშმაკისგან

განამრავლე სიტყვა ესე შთავონებუ-ლი ცითა ცხრად და განავრცე ცოდ-ვათა წილ

არა ეკრძაღვოდე ცოდვათა შენთა გამო ღეთისმოსაობას რამეთუ მაღალ არს უფალი

არა ეკრძაღვოდე კეთილმსახურებასა სიმცირითა შენითა რამეთუ ღმერთმა მოყვასი ჰყო თვინიერ სახისა მისისა.

თავნი ჩვენნი და ცხოვრება ჩვენი ქრისტესა ღმერთსა მივანდოთ ამინ“...

«ცით შთავგონებულ“ ბარათში არ იყო დაშვებული არც ერთი შეცდომა, არ იყო გამრუდებული სტრიქონები, რაც ჩვეულებრივ ხდება უხაზო ქაღალდზე, ან დაუმთავრებელი ასოები...

იქნებ ეს მაინც სასაცილოდ მოჩვენებოდა, იქ რომ ნათქვამი ყოფილიყო — ამ საქმეში ადამიანის ხელი არ ურევია, ზეცილიან პირდაპირ ანგელოზებმა ჩამოიტანესო. აქ თითქოს ისიც იყო ნათქვამი, ამ საქმეს შენი — ადამიანთა სიკეთისათვის მავედრებელი პირები აკეთებდნენ, ღმერთით — სიკეთით შთავგონებულნი, რაკი ქვეყანას წარღვნა მოადგა, რაკი კეთილს ბოროტმა სძლია და ცილისწამება და ძალმომრეობა — ომი მძვინვარებს...

თეკლა ლექციის შემდეგ შინისაკენ გზას მარტოღმარტო, ფეხით დაადგა.

«ღმერთი ჩვენგან ლოცვა-კურთხევას, ეკლესიაში — ღვთის ტაძარში დანოქილ დალადს და გუნდრუკის კმევას მოითხოვს, რომ ადამის მოდგმა წარღვნისაგან იხსნას? თუ ამას არ გავაკეთებთ, ცეცხლს მისცემს მის გაჩენილ ქვეყანას?» — ტროტუარზე მიმავალ გოგონებულ გოგოს წინ შემოფეთებულმა გაოფლილმა მგზავრმა მუხლზე ფირფიცრის ჩემოდნის, თუ ყუთის მახვილი კუთხე მტკივნეულად მიარტყა და გზა უბოდიშოდ განაგრძო. თეკლას მისკენ არც მიუხედავს, იდგა და ელოდა ტკივილი როდის გაუვლიდა. „არ უნდა შეფიქრა: თუ ამას არ გავაკეთებ, ღმერთი მის გაჩენილ ქვეყანას ცეცხლს მისცემს-მეთქი? ის, ვინც ის ყუთი მომარტყა, არაფერ შუაშია? მით უმეტეს, როცა ტროტუარზე თითო-ოროლა გამვლელია?“

მე თუ ღვთის მოსავი და კეთილმსახური გავხდები, ცეცხლგამძლე კიდობანს ავუგებ მამუკას და წარღვნისაგან დაეფარავ? მე შემწვევს ამის ძალა? ბოროტისაგან ძლეული სიკეთე ვი-

ხსნა? თუ, ეს რომ არ შეფიქრა, მამუკას მადრთობილებს: არა ეკრძალებიდე კეთილმსახურებასა სიმციროთა შენითა, ანებეთ ღმერთმა მოყვასი... ესე იგი ადამიანი? — მე, თავისი მსგავსი ჰყო?

თეკლას არასოდეს, მამუკას გაცნობამდე არ დასჭირებია ვინმე ახლობელი ადამიანი, ჰკუადამჯდარი, მოაზროვნე, რომელთანაც ყველაფრის თქმა შეეძლებოდა და ყველაფერზე გარკვეულ, გასაგებ პასუხს მიიღებდა. ასეთი ვინმე ალბათ მამა იქნებოდა, როგორც ფარნა იყო მამუკასათვის; თეკლას სანამ მამა ახლოს ჰყავდა, ასეთი კითხვები თავში არ მოსდიოდა. ახსოვს, ერთხელ ჰკითხბა:

— რატომ ლოცულობს ბებია და არ ლოცულობს შენ და დედა?

მამამ ღიმილით, თითქოს თავის დანაშაულში გამოტყუაო, უთხრა:

— კი მაგრამ, შენ რომ პატარა ხარ?

თეკლას გაუკვირდა პატარა რომ იყო, ამიტომ კამოდს მარტოღმარტო გადაედგამო ხომ არ უთქვამს.

ლაზარე მიხედა თავისი პასუხის არადამაჯერებლობას და გაელშია, თითქოს უხერხულობის გასაფანტავად.

— ბებია ლოცულობს იმიტომ, რომ მოხუცია.

— როცა შენ და დედა მოხუცდებით, ილოცებთ? — ჰკითხა თეკლამ.

მამას აღარ გაპლიმებია. ეს გულუბრყვილო კითხვა მისმა ზერელე პასუხმა დაბადა და სცადა აეხსნა ისე, როგორმე ბავშვისათვის გასაგები და სარწმუნო გაეხსნა, მაგრამ როგორც თეკლა ახლა გრძნობს, მამას მაინც გაუჭირდა, რაკი ბებიას რწმენის აბუჩად აგდებ არ უნდოდა, თან თავისი ურწმუნოებაც ხელს უშლიდა, რომ ბავშვს ისევე არ დაბადებოდა მისი პასუხით გამოწვეული საპირისპირო შეკითხვა.

— ბებია ლოცულობს, რაკი მას სწამს და ჰგონია ღმერთი არსებობს. მე და დედაშენს გვგონია, რომ არ არსებობს და ის რაც არ არსებობს, არც გვექმს...

დასრულდა... ბანრამდნა იქნება თეკლა და მამა და დედა —

რეპან მიხველამი

მოთხრობები

ფ ა თ უ შ ა

კიბე ჯეირანივით მოხდენილმა ქალმა ჩამორბინა. მიწას ფეხი დაადგა თუ არა, თითქოს ბალახის სირბილემ შეაერთო, შედგა. დარაია ნიკაპქვეშ ამოიყვია. ეშმაკებითა და სიხარულით სავსე თვალეშში სიმკაცრე ჩაიგუბა და ისე ნელა, ღირსეულად გააბიჯა, თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, წუთის წინ კიბეზე კისრისტეხით რომ ჩამორბოდა.

აივანზე კლუბის გამგე ვანო აბაკელია გადმოდგა და კისმარში გასულს დაადევნა:

— ფათუშა, მოიწი ერთი აქეთ.

ქალი შედგა. თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ერთწამს გაუნძრევლად იდგა შემკრთალი შველივით. მერე მობრუნდა და აივანისაკენ წელმოწყვეტილივით წამოვიდა. კიბეზე არ ასულა. კლუბის გამგეს ეხოდანვე ჰკითხა.

— რა იყო, ვანო?

— სულ დამეიწყედა მეკითხა, შენმა ქმარმა თუ იცის ეს ამბავი?

ფათუშას გაეცინა. ანგელოზის უცოდველი და სუფთა სიცილით.

— იცის.

— მერე?

— არაა. მერე?

— შარში არაფერში გადამაგლო,

თუ ქალი ხარ. ზომ იცი შალიკო ვაწაძის ფხუკიანი თავის ამბავი.

— ასე გეშინია?

— შეშო რა შუაშოა, — ხმა დაიბოხა კლუბის გამგემ — არ ეწყინოს კაცს. ეს ჩემი ცოლი კონცერტზე რომ გამოგყავს, ეგება არ მსიამოვნებს მეო. ზომ იცი, კაცია და გუნება.

— შენ მაგის ჯაფრი ნუ გაქვს, პატარაზე ჰე ასტა პირველად მარა, რომ აღარ მოვეშვი, ჩათრევას ჩაყოლა არჩია.

— აბა, ხვალ რვა საათზე, რავარც მოვილაპარაკეთ.

— კი, ბატონო.

— ბავშვებს ვის უტოვებ? — აშკარად ფეხს ითრევდა კლუბის გამგე, თორემ, კაცმა რომ თქვას, რაში აინტერესებდა, ვის დაუტოვებდა, ხვალ საღამოს ბავშვებს ფათუშა ვაწაძე.

— დედამთილს. არაფერი უჭირს. ერთ საღამოს მიხედოს თავის შვილიშვილებს. მე ცხრა წელიწადია სახლიდან ფეხი არ გამომიდგამს.

— უმცროსი რა ხნის გყავს?

— წლის არაა ჯერ.

— მერე გოგო? — მოიღუშა კლუბის გამგე.

— შეიღ საათზე ვაქმევ და დავაძი-

ნებ. ნეტავი მაგაზე ადვილი მოსაელელი ის დიდი ვირები იყვნენ.

— ძუძუზე გყავს?

— აბა რას იზამს, სამ-სამი წელიწადი სწოვდნენ მაგის უფროსი ძმები. სისხლი გამიშრეს. ჯიში აქვთ ასეთი თურმე.

— კაი აბა. კარგად იყავი, — ვანო აბაეელია მოაჯირს მოშორდა.

— კარგად, ჩემო ბატონო.

— ერთი სიტყვით, შალიკოს მხრიდან ყველაფერი გარკვეულია.

— რაეა გეკადრება. აბა შალიკოს უმისოდ გავებდავდი კონცერტზე გამოსვლას?

ვანო აბაეელის წასვლა მაინც არ უნდოდა.

— კი მარა, შენს დედამთილს რომ ტოვებ ბავშვებთან, თვითონ არ უნდა კონცერტზე წამოსვლა?

— გადაირიე ჩემი მტერი? საწყალი ჩემი მამამთილის მერე აგერ ოცი წელი გავიდა, შვეები არ გაუხდია.

— აბა მშვიდობით ახლა, ხვალამდე. ფათუშა ვაწაქემ შეატყო, რომ გამგე უსაქმოდ ენას ისველებდა და ისე გაშორდა კლუბის ეზოს, როგორც ლამაზმა ქალებმა იციან ხოლმე, როცა თავიანთი მოხდენილი ტანისა თან ეამყებათ და რცხენიათ კიდევ, რადგანაც მათარაზივით გრძნობენ ზურგში დამიზნებულ უტიფარ მზერას.

იქნებ სისულელეს სჩადის? რალადროს ფათუშას სიმღერაა, ოთხი შვილის დედამ კონცერტისთვის და ხალხის გასართობად სად მოიცალაო, ხომ არ იტყვის ხალხი? ჭორიკანა დედაკაცების ყბაში არ ჩავარდეს. შალიკოს ვინმემ აღმაცერად არ შეხედოს, თორემ რალად უნდა მერე სიცოცხლე. ბევრი ებრძოლა თავს ფათუშა. ათასჯერ გადაწყვიტა და დაიშალა, მაგრამ წლების მანძილზე გულის კუნჭულში მიძინებულ და ამ ბოლო დროს საბედისწეროდ ახმურებულ სურვილს ველარ მოერია. ხელოვნების სამსახურის დაუოკებელი გრძნობაა ეს თუ შინაგანი მოწოდება — ამ ქვეყნად თავისი

სათქმელი მარტო დედობურ საქონელს თქვას, სიმღერთააც გააოცოს დღეს სოფელი.

ცხრა წლის წინათ დაამთავრა ფათუშამ კულტმასობრივი სასწავლებელი. სასწავლებლის დამთავრება და გათხოვება ერთი იყო. სანამ ოჯახის უღელს შეიდგამდა, ხვალინდელი დღე სულ სხვანაირად ესახებოდა. აბსოლუტური სმენა, რბილი, ხავერდოვანი ხმა და ესტრადის ცნობილ მომღერალთა მიზაძვის არაჩვეულებრივი უნარი მჭკონდა. სასწავლებელი ყველაზე მტკ იმედს ფათუშაზე ამყარებდა. გავამხელ და ხშირად დასიზმრებია თავი გრძელ კაბაში გაჩახჩახებულ უზარმაზარ სცენაზე „ორერას“ ბიჭებს შორის. მურმან ნიკუშაქემ გიტარაზე დაკვრაც ასწავლა და საქალაქო კონცერტებზე (დეპუტატთან შეხვედრა, საზეიმო სხდომა, ტუნგოს პლანტიციების ვეტერან მუშებთან შეხვედრა, ქალთა ემანსიპაციის დღე) ხშირად გამოდიოდა. ფათუშას ყველა იცნობდა. ყველა აფასებდა მის ნიჭს და უფრო მეტად მის ლამაზ ყვავილობას.

ფათუშას გათხოვება ქალაქში მეხის გავარდნასავით გაისმა. შეიქმნა ერთი მითქმა-მოთქმა. ზოგი ამბობდა — მოიტაცეს და ცხრაკლიტულში ჰყავთო, სხვანი ამტიციებდნენ, ამხანაგმა გოგომ უღალატა, ვილაც შოფერს შეატოვა ხელში და დაღუპა საწყალი გოგოო. ქალაქს პირს ვერ აუკრავ. არცაა გასამტყუნარი. ქუთაისის თვალი — ლამაზი ფათუშა გასათხოვრად და დასაკარგავად არავის ემეტებოდა. მერე ვილაცამ ამბავი მოიტანა, ოკრიბელ ვაწაქეს გაყოლია თავისი სურვილით, სიმღერას თავი დაანება და აკვანს უნისო. ეს უკანასკნელი ჰმა მართალი იყო. თუმცა ფათუშა თავისი შემოქმედებითი კარიერის ასე უცხად დამთავრებას არ ელოდა, მაგრამ ჭკვიანმა და მრისხანე ქმარმა ჭორწინების მესამე დღესვე გაუცხადა — სცენობია და ჯღანაობა არ დამიწყო აქანა, ფილარმონია სადაცაა, იქ შეზარება, მე

ბოვშევები მინდა და ცოლი მინდაო. აწი სხვის კონცერტზე ვიაროთ, შენი კონცერტი შენი სახლიაო, დაჯდები სოფელში და კერას მიმიხედავო.

რა მეტი გზა ჰქონდა. ხელოვნების ნაკვეთრები კარგა ხანს ღვიოდა ფათუშას გულში, მაგრამ როგორც ეიღედა ვახდა, არტისტობის ეინი ნელნელა მიიწილა მის არსებაში. კედელზე ჩამოკიდებულ ფოჩიან გიტარას, თვე გავიდოდა, ზედაც არ შეხედავდა.

ცხრა წელიწადმა ცხრა დღესავით გაიარა. ფათუშამ ოთხი ბიჭი აჩუქა ვაწაძეების ოჯახს. მუყაითი, გამრჩე, შვილებზე გადამკვდარი დედა შეიქნა. სოფლის თვლით რომ იტყვიან, სწორედ რომ ფათუშაზე იყო ზედგამოჭრილი. ღმერთო შეგკოდე, ვახოვებამდე რომ ვინმეს ეოქვა, ოთხი შვილი გეყოლებათ, თავს მოიკლავდა. ათვი ხელოვნებისათვის შეწირულ არსებად წარმოედგინა და მრავალშვილიანი დედის როლი პროვინციული ქალების საქმედ მიაჩნდა.

ოთხივე ერთმანეთს მიჰყვა. ოთხი სიცოცხლე, ოთხი სისარული. უნეტარესი წლები იყო ფათუშასათვის ეს ცხრა წელიწადი. მისი თვალეები, მისი სისხლი, მისი პატარა ანგელოზები, მათი პირველი სიტყვა, პირველი ნაბიჯები, დედოქოს ჩასახუტებლად გამოშვერილი პატარა ხელები. დამეებს როგორ არ გაათენებდა, გულს როგორ არ ამოიღლევდა თავისი ბიჭებისათვის.

ეს რამდენიმე თვეა ავი ფიქრები მოეჯარა. წონასწორობას კარგავს, სცენა ეძახის. ტაში მოენატრა. რისთვის მინდოდა ან ეს სიმღერის ნიჭი, ან ეს დობლომი, თუ სახლში უნდა ემჯდარიყავი მთელი ჩემი ცხოვრებაო. სადღაც გამოქევა — ლოლიტა ტორეზსაც ოთხი შვილი ჰყოლია, მაგრამ სიმღერისთვის თავი არ დაუნებებიაო. რაღა მე შევიქენი ასეთი უიღბლო. ათასში ერთხელ კონცერტზე ჩემი გამოსვლა ვის შეუშლის ხელსო. იქნება, რა ნიჭს ვმარხავ ჩემი ნებით, მაქვს ამის უფლება მეო?

იმდენი უნიჩინა ქმარს უნდა ჰქონდეს ორც იქნა დაიყოლია და ხვალ საღამოს რვა საათზე მოსავლის უდანაკარგოდ აღების აღსანიშნავ კონცერტზე, ხანგრძლივი შემოქმედებითი შესვენების შემდეგ, ფათუშას ნიჭის თავიანისმცემლები კვლავ იხილავენ თავიანთ საყვარელ მომღერალს. ვანო აბაკელიას პროგრამაში სამი სიმღერა ჩააწერინა — „ციცინათელა“, „ბოშური რომანსი“, და „ავემარია“.

* * *

კონცერტი კარგა ხანია დაიწყო.

მამალაძის პანტომიმაზე ხალხმა ტაშით ჰერი კინდამ ჩამოანგრია, თვით ფათუშასაც კი ეცინებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პანტომიმა (კაცი რომ ქლიავის კურკას გადაყლაბავს და კუჭი რომ აეშლებს) სცენის უფრო გამოჩენილი ოსტატების შესრულებით ათასჯერ ჰქონდა ნანახი სხვადასხვა კულტურის სახლის სცენაზე.

ხანდახან ფარდას გასწევს და „პარტერს“ ათვლიერებს.

შალიკო მესამე რიგში ზის გაქვევებული, დანა პირს არ უხსნის. არც იცინის და არც ტაშს უკავს.

„რა ექნა, ჩემო შალიკო. ათასში ერთხელ ჩემიც უნდა გაიგონო. ჩემი ახირებაც უნდა იტანო. ოთხ ვაჟეკეს ხომ გიზრდი. თავს მირჩვენებარ და შენს ლალატს სიზმარშიაც კი არ გავიფიქრებ. რა მოხდა ასეთი? არ გაქმევე სირცხვილს, ნუ გეშინია. სიმღერისათვის ვარ გაჩენილი. ნიჭის დაკარგვა ღმერთის წინაშე ცოდვად ითვლება. ათასში ერთხელ გამოვალ ასე კონცერტზე და ჩემს ჭიას გავახარებ. ვახსენი წარბი, ნუ იღრუბლები, თუ კაცი ხარ“.

ახლა დღისაძე და ქვეთარაძე იცეკვებენ ქართულს, მერე ვაჟა ალხაზი-შვილი წაიკითხავს „ბაკურს“ და ფათუშას ჯერია.

რა ემართება ამ ვიტარას. გაიტანს დერეფანში ააწყობს, შემოიტანს და მესამე სიმი ისევ აშლილია.

ეტყობა ხრახნია მოყანგული და ნელ-ნელა იშვებს.

ღმერთო გადამარჩინე!

რა ღმერთი გამიწყრება, ამით მოსაწონს როგორ ვერ ვიმღერებ. რა ესმის ახლა ამით „ავე მარის“ და „ბოშური რომანის“. აჲ, ძირითადად, სკენის მოყვარულები არიან. რა ვქნა ახლა, მე ჩემსას ვეცდები და თუ არ დაუკრავენ ტაშს, ნუ დაუკრავენ.

შუა სიმღერის დროს ვინმემ რომ დაუსტვინოს?

არა, ღმერთმა დამიფაროს. ამას ვინ გაბედავს. შალიკოს შიშით მაინც ვერ გაბედავს ვერავინ.

დს იყო ვაჟა სცენაზე გავიდა, ჩაახველა და რიხით დაიწყო: „გვიამბე ელიზბარო, რა ამბავ მოხდა ელოსაო“, რომ სცენის სიღრმიდან ბავშვის ტირილი გაისმა. დეკლამატორი შეჩერდა, რადგანაც ბავშვის თავგანწირულმა ჰყვირილმა ხალხი გააცინა.

ფათუშამ კულისებიდან გაიჭყიტა. ბავშვი გვირამაძეების იყო. ლეილას დედამთილს გულზე ახებუტებინა ჩვილი და ტუჩებმოკუმული, გაკერპებული არწევდა. ეტყობა მოხუც ქალს თან რცხვენოდა თავისი შვილიშვილის „ხულიანური“ საქციელისა და თან კონცერტის შიტოვებაც ენანებოდა.

„ამ ერთხებ ბავშვის წამოყვანა კონცერტზე გამოგონია? რანაირი ჰქუისაა მაინც ზოგიერთი“ — გაიფიქრა ფათუშამ.

„გვიამბე ელიზბარო, რა ამბავ მოხდა ელოსაო, როგორ დაედინე ლეკვა ბავშრის ცახე ეზოსა.“

ეს ერთი სტროფიც ვერ მოამთავრა ვაჟამ და ისევ ატირდა ბავშვი. დეკლამაციის ოსტატი კვლავ შედგა და კულისებისაკენ გამოიხედა. ამით პირვე-

რამის წამყვანს ანიშნა, „თუ შეგიძლია დაამყარე დარბაზში წესრიგი, თორემ მივანებებ ლეკვის კითხვას თავს და იყავი მარტო ამ უნიკო ცეკვა-სიმღერის და უხეირო სეკჩების იმედზეო“.

ფათუშამ თავისი სახელი რომ გაიგონა, თვალი დახუჭა და ტანზე ბუსუსები დააყარა. გულმა უგრძნო — რაღაც კარგი ამბავი ვერ იყო მის თავს. მოიხედა. ვანო აბაკელიას მუდართით სავსე თვალებს წააწყდა.

— ფათუშა უნდა გვიშველო!

— მერე ჩემი ნომერი?

— გადაეწეე იქით. ვილუბები, კონცერტი მეშლება. ბაბალიკაშვილის სპორტული ნომრის მერე გამოვაცხადებ.

— კაი აბა.

ფათუშამ დერეფანი გაირბინა. მარცხენა კარებიდან შევარდა დარბაზში. ლეილას დედამთილს ბავშვი გამოართვა, გვერდით მიუჯდა, მკერდზე თავსაფარი ჩამოიფარა და აღნაგებულ თითოს ძუძუ ჩასჩარა პირში.

რა შელოცვა გააჩემებდა ისე პატარა გვირამაძეს!

„დისციპლინის დამრღვევი“ დამარცხებულია. კონცერტი გრძელდება.

„მაინც რა ღონიერია ეს გასაზრდელი. ძუძუს პატარა თითები შემოაპლო და სულმოუთქმელად თქლაფავს. არ უჭმევიათ დღეს ნეტავი არაფერი?“

ფათუშამ ორჯერ სცადა მოეშორებინა ბავშვი ძუძუზე და ბეზიამისისათვის დაებრუნებინა, მაგრამ ბავშვმა ისეთი ბლავილი მორთო, რომ მაყურებლების წყრომით სავსე შეძახილები დაიშახტრა და ფათუშამ თავი ჩაჰქინდა.

„არ ვიცოდი ჩემი იღბალი მეე?“

ბაბალიკაშვილმა ბოლო გირი რომ მოისროლა კულისებში, ფათუშა აკანკალდა. „ახლა მე გამოამცხადებენ, გიტარა სად მივჩუროფ ნეტავი?“ ბავშვს ნელა გამოუტურა ძუძუ პირიდან და ის იყო წამოდგომა დააპირა, რომ ღონეზე მოსულმა გვირამაძეების ნაშვირმა იქაურობა გააყრუა.

— სად გეჩქარება ფათუშა, შე ქალო, გააჩუმე ეს ბოვში პატარა ხანს, დმერთი არა გწამს?! — მოესმა ფათუშას ვილაცის უკმაყოფილო ხმა.

უკან არ მოუხედავს.

კონცერტი დასასრულს უახლოვდებოდა.

ესთეტიკურად დამტკბებელი მუსიკა ბელთა დარბაზში ერთადერთი უკმაყოფილო ქალი იქდა.

ფათუშას გულზე აეხუტებინა ჩიუტი გვარამაძე და თავსაფრის ბოლოთი ცრემლებს იწმენდდა.

რა ატირებდა?

3050

ოლასკურას სანაფლავს უკან, სალუქვაძის მინდორზე ბაზრობა გაიხსნა, ოდესღაც ეს მიწები წყალწითელას გაღმა-გამოღმა ვინმე სალუქვაძის ყოფილა. დრონი იცვალნენ, მიწაზე კერძო საკუთრებამ ჭირი მოგვამათ, სახელი კი მინდორს ძველი დარჩა. არ ვიცით ცხოვრებული სალუქვაძე რაში იყენებდა ამ მინდორს. კოლმეურნეობას კი ნამდვილად არაფერს არგია. მოუსავლიანი, წითელი მიწაა. ბალახიც არ ხარობს ხეირიანად.

აღებ-მიცემობამ ხალხი ნამეტანი რომ არ მოაცდინოს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნება დართო ბაზრობა თვის პირველ კვირას გაიმართოს.

ადამიანი? დამანებე თავი თუ კაცი ხარ. თურმე, ნება თუ მიეცი, უდაბნოში ქვიშას დაადებს ფასს.

რას არ იშოვის კაცი აქ. რა არ ჰქონია ჩვენებურს საყიდი და გასაყიდი. კოჭის ძაფიდან დაწყებული წისქვილის მოუკოდავი ქვით გათავებული — ყველაფერს იყიდი ოლასკურას ბაზრობაზე.

დილის ხუთი საათიდან შვის ჩასვლამდე ბუხივით ირევა ხალხი.

მთელი იმერეთი (ზედა და ქვედა) ხომ აქ არის. გარეჭართლიც ამოჰყოლია საჩხერის გადასასვლელს და ხეამლის ვიწროებიდან რაჭველებიც ბლომად ჩამოსულან.

გზატყეცილის გაღმა-გამოღმა ჩამწყრივებული მანქანები ზესტაფონის გადასახვევს უწევს.

ივესტონ კბენია მზე დილიდანვე იმუქრება, მაგრამ მზე კი არა, ცა წყლად რომ ჩამოიქცეს, ისიც ვერ გაანელებს ბაზრობის უკიდევანო ენთუზიაზმს.

თადარიგიან ებრაელებს ბრუნების ნაჭრები წამოუღიათ, ფარღალა კარგები გაუმართავთ და თავი, რომ იტყვიან, ქედში აქვთ... ახალბედა ვაჭრებს კი ოთხკუთხივ განასკვული ცხვირსახოცების იმედი აქვთ.

ჩემნაირად, უქულოდ და უგზო-უკვლოდაც ბევრი დააბიჯებს.

სიმართლე გითხრათ, საყიდი მაინც დამიინც, არაფერი მაქვს და არც ფული მიხევეს ჩიბეებს, მაგრამ ამაზე უკეთეს ადგილას სად წავალ. სად ნახავ შენს ქვეყანას სხვაგან ასე უკლებლივ და ერთსულოვნად შეკრებილს.

მოდი და ათვალთ იერე ეს ხალხი. შენი მიწის სუნთქვა იგრძენი, ტკბილი ქართული გაიგონე. სახეები, სიტყვები, ფრაზები დაიშახსოვრე და ჩაიხატე ადამიანთა უმდიდრესი გამოფენა სწორედ ეს არის.

ამ უსასრულო რიგში ერთიმეორის მიყოლებით ჩამწყრივებული ყველა საეპრო ფარდაგი თავის პატრონს ჰგავს. შეხედავ კაცს და მაშინვე მიხედვით რას გამოიტანდა იგი გასაყიდად. ანდა, პირველად თუ გასაყიდად ხარა-ხურას დაადგი თვალი, როგორც კი გამყიდველს გახედავ, შენივე მიხედვით კმაყოფილი დარჩები, ამ კუხტარული ჩექმების და სახელდახელოდ

შეკრილი, საორდღისო ფოჩიანი წუ-
ლა-მესტების გამყიდველი სწორედ ამ-
ნაირი კაცი უნდა ყოფილიყო.

რა წერილმანი, რა ღვთისაგან დავი-
წყებული ნივთები არ გამოუჩნრეკათ
აღამიანებს, გაუფერთ-გაუპრიალე-
ბიათ და გასაყიდად გამოუტანიათ.

რა ბევრი გაგაგრძელო, დიდი საუ-
ზმის დრო გადასული იყო და ერთი
პირი ბაზრობა მოთავებული გახლდათ,
როცა იმ მოხუცს წაეაწყდი, ვისზედაც
ეს პატარა ნოველა იწერება.

ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნა-
ხავს, სიბერე ღმერთმა ნუ აჩვენოსო,
გენიოსის ნათქვამია.

ცალი ფეხი სამარეში უდგასო, სწო-
რედ ამ მოხუცზე იყო ზედგამოჭრილი.
რომ ეთქვა, ცამეტ სირიელ მამას ჩა-
მოგყვეო, დაუჯერებდნენ.

ჯორჯოზე ფეხმორთხმით იჭდა. წინ ქი-
ლოფის დაგლეჯილი ფარდაგი ეგო და
ზედ დიდი გულმოდგინებით დაელა-
გებინა დაყანგული ცხენის ნალები,
ურმის თვლის საპოხი ქონის ჩასადები
— თხის რქისაგან გაკეთებული ყანწე-
ბი, ტარგაცვეთილი შალაშინი, ძველთა-
ძველი ქანჭიკები და ქანჩები, ორი ლა-
მბის შუშა და თქვენ წარმოიდგინეთ,
დაღუნული ლურსმნებიც კი. მომკლა
მისმა საცოდობამ. ამ ბაზარში ყველა-
ფერი რომ გაყიდულიყო, მოხუცის ძვე-
ლმანების მუშტარი მაინც არ გამოჩ-
ნდებოდა.

კისერში ჩასულ ოფლს ფართუნა იმ-
ერული ქედით იწმენდა, სულისშემ-
ხუთველი სიცხისაგან ძარღვებდაბერი-
ლი ხელები უკანკალებდა და წამდა-
უწუმ ხრინწიანად ახველებდა.

თეთრი წვერ-ულვაში შეულამაზებ-
ლად, ზედ ცხვირ-პირზე ჰქონდა მო-
დებული. ულვაშიც და წვერიც ერთი
ზომისა იყო. ესე იგი, როცა იპარსა-
ვდა (და ეს, აღბათ, იშვიათად ხდებ-
ოდა) წვერ-ულვაშს ერთდროულად
იპარსავდა.

ბადრიჯნისთავიანი, დიდი ცხვირი
ქვედა ტუჩამდე წვდებოდა, წითლად
ჩამოქაჩულ უპეებში დიდრონი, თაფ-

ლისფერი წყლიანი თვალემა მოუჩა-
და. თვალებს მისი ასაკისა და ენერგი-
ისათვის სრულიად შეუფერებლად, ცო-
ცხლად ატრიალებდა იქეთ-აქეთ.

კარგა ხანს თვალმოუშორებლად მი-
ყურა. მერე, თითქოს შემატყო რომ
მყიდველი არ ვიყავი, ჩემდამი ინტე-
რესი ერთბაშად დაკარგა. ყალიონი გა-
აწყო, გააბოლა და გვერდზე გააბურ-
კვა.

— ნალი მინდოდა, კაი ნალი, და ვერ
შეგხვდი ვერსად, — ჩავილაპარაკე მო-
ხუცის გასაგონად და კილოფს ჩავა-
ქერდი.

— რაის ნალი? — უხალისოდ შემ-
ხედა გამყიდველმა.

— ცხენის. ცხენები დაუშვდავი
მყავს — ღმერთო, ოღონდ არ შემატ-
ყოს რომ ამ მოხუცთან გამოლაპარაკე-
ბა მინდა და სხვა არაფერი. რა თავში
ვიხლი ნალს, სადაა ცხენები.

— ცხენის ნალი არაა მაგი, ხელში
რომ გიკავია?

— კია, ჩემო ბიძია, მარა ნახმარი
როა?

— ნახმარიაო? — გაეცინა და მაგა-
ლითებად აქა-იქ შემორჩენილი სარი-
ვით კბილები გამოაჩინა.

— აბა შენ გცოდნია კარგად ნალის
ამბავი. გინდა იყიდე და გინდა ნუ
იყიდი, მარა იცოდე, ჩემო ბიძია, მით უკე-
თესია ცხენისათვის. ა, ეს კბილი არ
ჰქონდეს მოჭმული და სიძველით რა
უჭირს. ეს ახლა მორგებულთა ცხენის
ფეხზე ფლოქეს არ ატყენს და არაფე-
რი.

ამას რომ ამბობდა მის დანაოჭებულ
სახეს დაგავიერდი. ნაოჭები აღარც
ეთქმოდა, მოხუცს დაწვებზე ღრმა
ღარები ჩამოსდევდა და ღარებს კი
წურწურით მოჰყვებოდა ოფლი.

— დიწვა ქვეყანა — სიტყვა შევა-
შველე.

— ჯერ სადა ხარ, ამ კვირაში ისეთი
სიცხე იქნება, დედა შვილს არ ვიყ-
ვანს.

— აბა დავლუბულვართ წრეტულს. ამა

ნაირმა სიტყვებმა სამ დღესაც რომ გასტანოს, დახარშავს ყველაფერს.

— ვენახს ვერაფერს უზამს, პირიქით მოუხდება, შაქარს დაუგროვებს და სიმინდმა მოგვამა ჭირი.

— ვარგა აბა, ეს ნალები, პატივცემულო?

ქული იშვლია და თეთრი, მზედაუხედავი მოპრიალებული თავის კანი დამანახვა.

— კაცის მომლორებელს და მავნებელს ვგავარ ბიძია მე? აგერ ა, ორპირში ვცხოვრობ, გამქცევი ვარ სადმე? წეილე შენ ეს ნალი და რამდენი მლოცო, იმდენი გახარება ჩემს ნაგრამს ამ ქვეყანაზე.

— რა გვარის კაცი ბრძანდებით?

— ხუნდაძე ერთი მოსახლე ვარ ორპირში, ნესტორი-თქვა იკითხე და ყველა მოგასწავლის.

უცნაურმა სურვილმა შემოიპყრო, მოხუცს ხელი დავუცალო და ამ გაგანია სიტყვში, ამ ყიამყრალ ხალხში დგომისაგან გაეანთავისუფლო.

— რას აფასებთ ნალს?

— ათი შაური უნდა თითოს.

— ერთიანად რომ წავიღო?

— რეა შაურად გაგატან, მეტს ვერ დაუვკლებ, ცოდო ვარ, ჩენო ბიძია. წადი თუ გინდა, ნახე, გაიარე. სხვები ამნაირ ნალს მანეთად ჰყიდიან.

ნალები გვერდზე გადავაწიე.

— შალაშინიც ქე მინდა ერთი კაი.

— ა, ბატონო, შალაშინი!

— ივარგებს ეს ვითომ? ნამეტანი გაცვეთილია ბიძია, ამას თავისი დრო მოჰმული აქვს.

მოხუცმა ქვა აიღო, შალაშინს დაუკაუნა, რკინის ენა ამოიღო და მაჩვენა.

— ნახე რა რკინია. ესაა გაცვეთილი? ორჯერ დაუსობ სალეს ქვას და მეტი კი არ უნდა. ზორასნის რკინია. შენ ის არ გეგონოს, კოპერატივში რომ ჰყიდიან. ნახე ენაგის ნასახი თუ სადმე აქვს.

— შალაშინს?

— სამი მანეთი უნდა.

— ბოლო ფასი მითხარი.

— ორად წაიღე. გეტყვამ, შეუტყვევებ კაცი ხარ, არ მინდა ვილაყა უბედურს ჩაუვარდეს ხელში.

რა შემატყო „მეურნეობის“?

— ლამპის შუშა სადღა იშოვე ამ ელექტრონობაში?

— რა ვიცი, ეგდო სახლში. მე არაფერში მარგია. ეგება იყიდოს ვინმემ თქვა და წამევიღე. თუ მუშტარი გამოუჩნდა ზომ კაი, თუ არა და ქე წევილებ უკან. ხომ არ გადავაღებ აბა.

— რა მოგცე ასე, წყვილად?

— გჭირდება თუ?

— თუ მოერგო ჩემს ლამპას. ერთი ნავთის ლამპა მიგდია სამზადში.

— სწორია. უნდა გქონდეს კაცს, აბა რაი. მთლად სადგურის იმედზე დადგომა არ ივარგებს. ხან დენს გამოთიშავენ, ხან დამცველიო, თუ რაცხას ეძახიან, ის გადაიწეება და იყურუბტე მერე სიბნელეში.

— ნესტორ, ბატონო, ყველაფერი დაქირვებაზეა. თუ დაგჭირდა, ოქროს ფასი აქვს მაშინ და თუ არ დაგჭირდა, ფიქრობ კაცი — რათ მინდა, ადგილს მიცდენს ტყუილ-უბრალოდო. რამდენი მოგართვათ?

— რა ვიცი. ლამპის შუშა მიღღემჩი არ გამიყიდილა. კი არ ვიცი მაგის ფასი. მანეთად წაიღე ორივე, თუ ვინაარაღე, ალალი იყოს შენზე. რა ვქნა ახლა.

თხის ყანწებზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, ცოტა არ იყოს შეერთა და ეკვის თვალთ შემომხვდა. მეურნეს ეს არ ჩამოჰგავს, ვინმე აფერისტი ხომ არ არის და საგლაზოდ ხომ არ მემუსაიფებაო, გაიფიქრა ალბათ. რაც შეეხება დაღუნულ ლურსმნებს, როგორც თავდადებულ მუშტარს — უფასოდ დამიმატა. თანაც დამარცხა, გამართე ამ ლურსმნებს და ახალს აჯობებსო. გაზეთილი ლურსმანი ხეს არ იკიდებს, დაქანგული კი ისე საიმედოდ ჯდება, რომ შენი მოწონებულიო.

ნესტორ ხუნდაძის ავლა-დიდებამ სულ თერთმეტ მანეთში გადამაგდო. გასტრონომის ფილიალს მივაკითხე, ტომარა ვიყიდე, ნავაჭრი შიგ დავაბი-

ნავე (ჩალაგებაში მოხუცივ მეხმარე-ბოდა) და ეს საკმაოდ მძიმე და უხერხული ტვირთი ზურგზე რომ მოვიგდე, მოხუცს ისეთი გულიანი მადლობა მოვახსენე, თითქოს ამ წლის სარჩოსაბადებელი გაჩინოს ჩემთვის.

— მერე ვითომ, სხვა საქმეებიც მქონდა, ტომარა იქვე, საბნის გამოიღველს მივაბარე და ნესტორ-პაპა გზამდე გამოვაცილე.

— ღვიწვა ქვეყანა.
— ჯერ სადა ხარ. ამ კვირაში უარესს იხამს — უკან მოუხედავად ჩაილაპარაკა. თბრილს ნელა, ბებრულად გადააბიჯა.

— რით წახვალთ აბლა, ნესტორ, ბატონო?

ჩემი ნამეტანი მზრუნველობა ეხამუშა, შევატყვე ფეხები უკან რჩებოდა.

— გამეივლის რაცხა.

ჩვენდა იბლად წყალტუბოს აეტობუსი დაბარებულევით წინ გაგვიჩერდა.

ასვლაში ვუშველე, დავემშვიდობე და აეტობუსა რომ დაიძრა, ხელიც დავეუქნე.

ესეც ანუ... დღეს ერთი მადლიანი საქმე მაინც გავაკეთე. ტვინი აუღულდებოდა მოხუცს ამ გაგანიაში. ტყუილად მოცდებოდა. ვერც ვერაფერს გაპყილდა და უკანვე სათრევი ექნებოდა თავისი ძველმანები. დროზე მაინც მივა სახლში, ჩრდილში მაინც დაჯდება და შვილიშვილებში გაიხარებს.

• • •

მაინც მომწყინდა ბოლოს.

უთავბოლოდ ხეტილისაგან თავი ამტკივდა, მუხლები დამეღალა და მომშვივდა კიდევ.

ისლით გადახურულ ფარდულში ცხელი ჰაერი, უმარილო ყველი, ჯამით ლობით, ერთი ბოთლი „იმერული“ გვახელით და მზე თავდაღმართზე ეშვებოდა, ბაზრობას რომ ზურგი შევაქციე.

გზისპირას, სიცხეში, მტვერში კარვა

ხანს დგომამ მთელი დღევანდელი სიამოვნება ყელში ამომიყვანა.

ოციოდე მეტრის დაშორებით თვითმცლელი გაჩერდა და მტვერი შემოგვახვია.

ერიპაა, ჩემი მოხუცი!

კაბინიდან დინჯად გადმოვიდა, ძველთაძველი ხის ჩემოდანი გადმოათრია და იმ ვაჭრის ენერგიულობით წამოვიდა, რომელსაც მიზეზის გამო შეაგვიანდა და შიშობს საქონელი გაუსაღებელი არ დარჩეს.

დალამ ერთბაშად გამიარა. შორიხლოს მივეყვი.

ადგილი დიდხანს არ ურჩევია. ჩემოდანი გახსნა, ქილოფის ფარდაგი გამოიღო და ჩვეული სიფაქიზით დაალაგა ზედ გასაყიდი „საქონელი“ — კარ-ფანჯრის ანჯამები, თარაზო, სპილენძის ქვასანაყი, ცხენის სამუნელი, ორშიშო, ჩამოუქნელი თაფლის სანთელი, ხმარებისაგან გამავეებული ხის გობი და ძველთაძველი ჩქიფი.

ცარიელ ჩემოდანზე მოკალათდა, ყალიონი ვააბოლა და ისევ დაემსგავსა ამ სალუქვამის მინდორზე რომელიღაც ათასწლეულიდან ჩამოფრენილ ბებერ ყვავს, აფრენა რომ ეხარება და ფრთებში შემალული ნისკარტით ამ ქვეყნისაგან შეუძნეველად დარჩენას რომ ცდილობს.

ან როგორ არ დაეზარა ხელმეორედ წამოსვლა, ან ასე უცებ სად მოძებნა ოჯახში ეს ჩამოწერილი, ღვთისაგან და კაცისაგან დავიწყებული ნივთები.

არა, ბატონო, ჩვენებურ კაცს შენ ასე ადვილათ ვერაფერს მიუხვდება.

იქნებ ნესტორ ხუნდაძეს თავისი ძველმანების გაყიდვა სულაც არ აინტერესებს, იქნებ მასაც ამ მიღეთის ხალხის ყურება უნდა, თავის შექცევა სურს დარჩენილ ორი დღის წუთისოფელში.

ასლოც როგორ მივალ, როგორ დავენახვები, ისედაც სირცხვილით ვიწვები და ჩემი წელანდელი საქციელი ჩემი თავისთვისაც ვერ მიპატებია.

სიღამონ ხერხადე მანქანის ღმუილ-
მა გამოაღვიძა.

თავი ასწია. ერთხანს მობრუნდა გუ-
გუნს უსმინა და მერე კედლის საათს
შეხედა.

ახალგაღვიძებული კაცი ხომ გინახა-
ვთ, ძილ-ბურანში რომ არის და საგნებს
ყუყუჩივით დიდხანს რომ აკვირდება.

ექვსის ნახევარი იყო.

— გადაგიშენდა გამომგონებელი. ეს
მაკლდა ახლა! დღეს კაცად აღარ ვიგა-
რგებ, მე ვთქვო, წაიძინებ პატარას-
თქვა!

მანქანის ხმა ცოტა ხნით შეწყდა და
მაღე გაორმაგებული ზედ ყურის ძირ-
ში გაისმა.

— ჩემს ეზოშია, მგონი, ეს უპატრო-
ნო!

სიღამონმა თასმები წვივებთან შეიკ-
რა და ფეხშიშველა გამოვიდა აივანზე,
საბარგოს ცხვირს მოჰკრა თვალი და
როდესაც მანქანა შემობრუნებისას ღო-
ბის მესერს მიაწვა, სიღამონი აივნიდან
გადაფრინდა და ყვირილი მორთო.

— ოუ! ოუ! რას შვრები, დაგქეცა
ოჯახი! არ დამღუპა კაცი?! არ ამომაგ-
ლო!

შოფერმა ყვირილი გაიგონა თუ
ლორღონჭივით მოფარფატე კაცი შე-
ნიშნა, ძრავი გამოართო და გადმოხტა.
მონგრეული ღობე და გაგიყვებული მას-
პინძელი რომ დაინახა, ისევე კაბინაში
შეხტა, მანქანა ეზოს მოამოთრა და დამ-
ღურღურ სიღამონს მიუახლოვდა.

თქმით არაფერა უთქვამს. დოანჯშე-
მოყრილი შეჰყურებდა ფეხშიშველი
გლეხს, საბურავის მიერ გასარეილ ყვა-
ვილებსა და ქლიავის ნერგებს ფეხზე
რომ აყენებდა.

დამნაშავე რომ დაინახა, სიღამონმა
რალაც ჩაიბუტბუტა, ორი ნახტომით
შეგარდა სამზადში, იქედან ნამგალ-
მომარჯვებელი გამოვარდა და შოფერს
წაწა დაუდგა.

— არ უნდა წაგაცალოს ახლა ამ
ნამგლით კაცმა თავი?!

სტუმარი მიხედა რომ ნამგლიანი არ
ხუმრობდა და ხელოვნური სიმშვიდით
მიუგო:

— რა მოხდა, შე კაი კაცო, ამ დამ-
პალ ღობისთვის და ორიოდე ნერგის-
თვის მკლავ? ძალით ხომ არ მიქნია,
შემთხვევამ მოიტანა.

— რას პქვია შემთხვევა! — სიღამონს
სიბრაზისაგან აღამის ვაშლი აღმა-დაღმა
უხტოდა და ნამგლიანი მარჯვენა უკან-
კალებდა.

— მითხარი რამდენად გიღირს ეს
ზარალი და ავინაზღაურებ, ბატონო,
ყველაფერს. გამქცევი ხომ არ ვარ!

რას ამინაზღაურებ, ბიჭო შენ? ამ
ქლიავს დამირგავ და გამიხარებ თავი-
დან? იაპონურ გეორგინას დამითესავ
და მომიწყავ დღეში ორჯერ? ზარალი
და ოხრობა არ მოშორდა, ვინც შენ მან-
ქანა განდო. თუ არ იცოდი წაყვანა,
გდებულიყავი სახლში!

პირველმა ელდამ გაიარა. შოფერს
უკვე აღარ ეშინოდა, მაგრამ ყოველ-
შემთხვევისათვის რამდენჯერმე მიიხე-
და უკან, თუ გამოემკიდა, ამ თხრილზე
გადავხტები და გაეიქცევიო.

ჯახზე გამოსული მოზერებივით ერ-
თმანეთის პირისპირ იდგნენ. სიღამონი
პატარა ტანის იყო, სამოცს მიტანებუ-
ლი. ფეხებგაფარჩხული, ნახვისარი-
ვით სრულ პერანგში ჩაქარგული საფ-
რთობელას ჰგავდა. ახალამოწვერილი
მზის სხივი ელამ თვალებში ურტყამდა
და წამწამებს კონტრუსიანივით ახანა-
მებდა. შოფერი ორმოცი წლისა არც
კი იქნებოდა. წაკაბიწებულ სახელოებ-
ქვეშ მსხვილი, ტატლირებული მკლავე-
ბი უჩანდა. შავგვრემან სახეზე უძილო-
ბის კვალი აჩნდა. დოინჯი არც მაშინ
მოუცილებია, გამწარებული სიღამონი
ნამგლიანად რომ მიეახლა და შექმა
დაუპირა.

— რა ეშველება ახლა ამას?! — მის-
პინძელმა ნამგალი წაქცეულ ღობეს და
გადათქერილ ეზოს მიაშვირა.

— შენს ბეტრს დაემართა უსაშველო.
რა იყო, შე კაცო, დავიანგარიშით აგ-
ერ და გავსწორდეთ. შენ რომ დაგმარ-
თოდა ეს ამბავი, რას იზამდი?

— ხარალზე არ მაქვს შე საქმე. სა-
ქმე შენს სიგლაზეა. ვერ მიხვდი, აქ
რომ ვერ მოაბრუნებდი ამხელა მამი-
ნახ?

— ვერ მოგზომე, მომკალი ახლა. —
შოფერმა გაიცინა. — დაუძახე მეზობ-
ლებს, ერთ-ორ კაცს, გავსწორდებით
და წავალ ჩემს გზაზე.

სიღამონმა არ უპასუხა. ამრეზილად
ახედ-დახედა, ხელი ჩაიჭნია, შეტრიალ-
და და ნაღას მიაშურა. ცოტა ხანში
ბოსტნის ალაგესთან გამოჩნდა მისი მე-
ლოტი თავი — ქამარში წალდი გაერტო
და გაშლილ მკლავებში რომ დაეტევა,
იმდენ თხმელას წენელს მოათრევდა.
მონგრეულ ღობეს მიაყარა წენელი და
შოფერი ძველ ადგილზე რომ დაინახა,
უფრო გაბრაზდა.

— კიდევ აქ ხარ, ბიჭო, შენ?! სანამ
ცოდვას არ შემამთხვევ, არ მომშორ-
დები თავიდან?!

შოფერმა კაკლის ხეს ფოთოლი შე-
აწყვიტა და ფოთლის ყუნწი კბილით
გაკეცია.

— მითხარი რამდენია საჭირო და ვი-
ხამ ჩემს ანგარიშს. მერე, შეიძლება,
აქეთ გზა აღარ დამირჩეს.

— წადი ძმაო, გადადი გადაღმა. არ
მინდა შენი არაფერი. — სიღამონმა კუ-
ნტი მოაჩოჩა და ჭოხებს წვერს უთლი-
და.

— არსად არ წავალ. რაღაცა ორი კა-
ბიკის გულსთვის მე შენ მკვდარ დე-
დას არ შეგაგინებინებ, — გაჩიუტდა
შოფერი.

— არ გაგინებ, ძმაო, არაფერს. შარ-
ზე ხომ არა ხარ შენ ამ დილით? ღობე
დამინგრავ და არ ვიყო ნაწყენი? წადი,
მიყვები შენს საქმეს. მოუველი მე ამას
როგორმე!

შოფერი წავიდა კი არა, უფრო მე-
ლოს მოვიდა, წვერწითილი ჭოხები
აიღო და გადათელილ ნერგებს დაურ-
ქო, შემოლობგავიცი წაუყრა მასპინ-
ელს ხელი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში სი-
დამონი სდუმდა, სტუმარს კი ენა არ
გაუჩერებია.

შობელი ვარო, კოლმეურნეობის
შოფრად ვმუშაობო. ქვევრები მაქვსო
გასაყიდად წამოღებული. მამაჩემი ძვე-
ლი მექვევრეა და არ იშლის თავისას,
თორემ გაკეთებდად და წამოღებად არ
ლირს ახლა ეს საქმეო. მე ვოქვი, გავუ-
ყიდი ბერაკაცს ერთ-ორ ქვევრს-მეთქი,
მაგრამ სულ ტყვილად დავალამე ხა-
შურში გუშინო. სადაა ქვევრის მყიდ-
ველი. ვინდა ყრის ახლა ქვევრებს. ფა-
სიკ კი არ უკითხავს არავისო. გამოპა-
რული ვარო, ჩვენი თავმჯდომარე (ერ-
თი თავქარიანი კაცია), იბღღენის ახლა
თმა-წვერს, ალბათ, ჩემს ძებნაშიო.
სად მქონდა ამის დრო, მაგრამ მოხუცი
კაცის ამბავი მოგეხსენება, მოპყვება
წყუწყუნს, არაფრად არ მიგაჩნევარ, თავ-
კერძა კაცი ხარ, ამხელა ამავს წყალში
მიყრიო. წუხელის ღამის თორმეტ სა-
ათზე გადმოვედი ხაშურიდანო. ადრე
შემეძლო წამოსვლა, მაგრამ გზაზე ინ-
სპექცია დამიჭერდა, არც საგზური
მაქვს გამოწერილი და არც ქვევრების
საბუთი მაქვს რამეო. ჩემნაირი კაცი
აღდგომაა ახლა ინსპექტორისთვის,
ერთ ას მანეთს ისე ამაფცქენის, რომ
სიტყვას არ შემაბრუნებინებსო. გომის
გადასასვლელით წამოვედიო, გორისას-
თან წავეძინე ერთი საათი, თვარა
მეტი თვალი არ მომიხუქავსო. ამ
თქვენს სოფელში ადრინადად იმიტომ
შემოვედი, რომ სანამ ხალხი ყანაში გა-
იკრიფებოდეს, ეგება ერთი-ორი ქვევ-
რი მაინც გავყიდოვო. სამი ქვევრი
მაქვს წამოღებული. შვიდ-შვიდ კოკი-
ნებია, ისეთებია, მამა შეილს არ დაუ-
თმობსო, ხუთი თითის დადება მარტო
კედლის სისქე აქვთო. ქვევრის მოხელ-
ეა მამაჩემი და ველირ ძვგენენს, თვარა

მე მილიონი რომ მომცე, ამის გამყეთებელი არ ვარო. რაც იმას თიხის ზეღვა და ჩარხის ტრიალი ჭირდება, სად მაქვს დასაწყვეტი მკლავებიო. ახირებული მამა მყავს, თორემ ორი რეისი ხრემის ფული ღირს თითო ქვევრი, მეტი კი არაო. თუ გნებავთ ქვევრი, აგერ მოტანილი მაქვს ბარელამო. ამ ზარალის ფულს გამოგიბრით და რაც მეტი იქნება, გადამიხადეთ, ჩამოვიღოთ ბარემო. უმადლესი ქვევრებია, სამ შვილს გეფიცები, კაცული შველიძის ქვევრი მთელს იმერეთში ცნობილიაო.

სიღამონი არც ახლა გაეპასუხა. მეურნე კაცისთვის ამდილანდელი მარცხი ასე ადვილი მოსანელეებელი არ იყო. გულს ურევდა ამ უხვირო შოფრის გაუთავებელი ლაქლაქი. „არც ამის მოხმარება მინდა და არც დანახვა, რას მეჩხირება თვალში, ჩაიგდოს მუცელში ენა და გაუტეოს თავის გზასო“.

ნერგები სარებს მიაშვარეს, ეზო სახელდახლოდ შემოღობეს და საქმეს რომ შორჩნენ, ხელების ფერთხვით და აშკარა გაგულისებით უპასუხა სიღამონ ხერხაძემ მექვევრე შველიძის ვაჟის წესდანდელ შეკითხვას:

— რათ მინდა ქვევრი?! რა ჩავასხა შით! — მეტი არაფერი უთქვამს, წალდი და ნამგალი ერთმანეთს გაუხვ-გამოუსვა და აივანზე ააბიჯა.

შოფერი კარგა ხანს იდგა ეზოში. სიღამონის გამოსვლას საშველი რომ არ დაადგა, ჭიშკარი ფრთხილად გაიხურა და მანქანას მიაშურა. ძრავი რომ აათუხთუხა, კიდევ ერთხელ გაიხედა აივნისაკენ, ერთხანს ამაოდ ელოდა მასპინძელს, მერე ნელ-ნელა დაძრა მანქანა და მონაცრისფრო ბული გაიყოლია.

სიღამონმა ჭადი და ყველი წაიტეხა, თიხის დიდი ჯამი წყალღვინით გაავსო, დალია, იმერული ქუდი შუბლზე აიკეცა, შარვალ-ხალათი ჩაიცვა და ეზოში ჩამოვიდა. კიბის ქვევიდან ცელი გამოიტანა, კარგა ხანს ლესა ქლიბით და მხარზე ცელგადებული ჭიშკარამდე რომ

მივიდა, სათიბში წასვლა უნებურად ლოოდ გადაფიქრებული ჰქონდა. „მოვიშალე ნერგებზე. სულ ერთია თიხვას გულს ველარ დაეუღებ დღესო. ბადეს ავიცილებ და მდინარეზე ჩავალ. წუხელის მთებში გრგვინავდა, იწვიმებდა კიდევ, ეგების ჩამოპყვა თევზიო“. ცელი კახაბლის გამხმარ ტოტზე დაპოდა, სამხადის სხვენიდან რეზინის ჩექმები ჩამოიღო, ძველი, გაუქმებული საწნახელიდან ბადე ამოათრია, კონდარზე გაშალა, რათა შლამ-ლორდის მიერ დაწყვეტილი ადგილები ძაფით ამოეეცმსა.

სოფლის ბოლოში, ნაკლოვართან ჩაუხვია და მდინარეზე რომ ჩადიოდა, მანქანა შენიშნა, მძლოლს ძარასთვის ბრეზენტი აეხადა, გზის პირას თავდაღმართში ისე გაეჩერებინა, რომ გამგლევი უსათუოდ ქვევრებს დაინახავდა. თვითონ ცაცხვის ჩრდილში მიწოლილიყო და მუშტარს ელოდა.

* * *

ისე შემოეფიქვნა დღე ხელში, არ გაუგია.

ლაქამებში ღამემ რომ დაიბუდა, მაშინ გაახსენდა, რომ მთელი დღის მშობრივი იყო.

ლილებიანად დამბალ-დასველებული ამოვიდა წყლიდან, ჩექმები გაიხადა, და წყალი გადმოდგარა, შარვალი ტანზევე გაიწურა, ბადე დაფერთხა, მხარზე გადაიგდო და აღმართს შეუყვია.

რა შორს წამოსულა, ამ ჩამოტეხილში მაინც რადამ ჩამოიყვანა. ამ მეჩხერზე რა გააჩერებს თევზს. ახლა თაღას ნასახლარზე აუხვევს და ნაგენახარზე ბლიკს აპყვება, ასე უფრო ახლოა სახლამდე.

ქარაფზე რომ ამობობლდა და ბილიკი მოძებნა, მუხლებს ცოტა ქარი ამოადებინა, ბადეს მხარი შეუნაცვლა და უკან, ნაკლოარისაკენ წამოვიდა.

„ასე მძიმეა ვითომ ეს ბადე და ოციოდენ წვერა, მონადირის დაჩვრეტელ ხანთაში რომ ხვანცალებენ? ამ მუხლებს

რალა წისქვილის ქვა მოეკიდა, ძლივს რომ მივათრევ? არა, არა ვბერდები ნამდვილად, თავს არ ვუტყდები, თორემ ვბერდები. რა იყო აბა, რა ამბავი დავათვი ორი ძირი ნერგისთვის ამ დილით იმ კაცს. იფიქრებდა, ვინაა ეს დამთხვეულიო. რა ჰქნა ნეტავი, ვაყოდა? გამიგონია? ვინ იყიდდა ქვევრს ჩვენს სოფელში. სადაა ქვევრში ჩასახამი ღვინო. ხელში გაქულითავენ ყურძენს. ქაჭამ და წყალ-შაქარმა დაწამლა ხალხი. ამდენ ხანს რას მოუცდიდა, წასულია ალბათ, წავიდოდა, არ უნდა ამას ლაპარაკი“.

სერზე შემდგარს სიხარულისაგან გული აუტოკდა, მანქანის ფარები გაღმა, ჩლაიძის ალვის ხეებს ურტყამდნენ შუქს. შოფერი ძარაზე ასულიყო და ბრეზენტს ჰიშავდა.

სიღამონმა ფეხს აუჩქარა, სანამ ჩავალწევდე, არ გამასწროსო.

— საღამო მშვიდობისა!

მექვევრის ვაჟმა ჩამოხედა და ხელი აუწია.

— იცოცხლე.

— რა ჰქენი?

შოფერი გადმოხტა, კაბინის კარი გამოაღო და ჩერით ხელები გაიწმინდა.

— ვერაფერი, სადაა ქვევრის მუშტარი!

— ხომ გითხარი. — სიღამონმა მხრიდან ბადე ჩამოიღო და ხელში ისე დაიჭირა, რომ ტყვიის გირჩები ბლახს ეხებოდა.

— არის რამე? — შოფერმა ბადეზე ანიშნა,

— ცოტა, რაცა. იმდენი სადაა, რომ იყო. მარა მაინც დავიჭირე პირის გასასველებელი რალაცა. წამლავენ, რომ არ წამლავენ, ქე იქნება. რას იზამ აბა ახლა?

— რა ვქნა, თავს ზევით ძალა არაა. — შოფერმა გაღიმა — წავალ ახლა, ასე, აღმა შევეყვები, ამაღამ ჰალაში გა-

ვათვე დამეს, ყვირილას ჰიროს. თუ ხვალ შუადღემდე ვერაფერი გავაწყე, მეტი მე აღარ მცალია. ჩავუტან ამ ქვევრებს მამაჩემს უკან და რავარცხა უნდა, ისე ჰქნას.

— რას ჰქვია ჰალაში ვათვე, ამოწყვეტილები კი არ ვართ. — სიღამონ ბერხაძემ ბადე ძარაზე მოისროლა და კაბინის კარი გამოაღო.

— მაღლობელი ვარ, ჩემო ბიძია, მარა არ ეწყობა ჩემს საქმეს ეს ამბავი. ხვალ შუადღემდე რალაც უნდა ვიღონო.

— დაჯექი, დაჯექი, ნუ გამამწარებ, მეორეჯერ. აგერ ამ თევზს შევაწვევინებ ოჯახობას. ვივანშმებთ და წახვალ შენს გზაზე, აბა რას იზამ. კი არავინ დაგაკეებს ძალით.

ისე კატეგორიულად იყო ნათქვამი, რომ შოფერი მიხვდა, ახლა აქ თავპატივის გაღების ადგილი არ იყო.

...შუა ღამე კარგა ხნის გადასული იყო, თამიღამ საყოვლათწმინდო რომ დალია და სუფრა დამთავრებულად გამოაცხადა.

სტუმარს სასტუმრო ოთახში გაუშალეს ლოგინი, მაგრამ იუარა; თუ შეიძლება აივანზე დავიძინებ, მიჩვეული ვარო. მთვრალი იყო, მაგრამ იმის აზრი კი ჰქონდა, აივანზე დავწევი, ასე აჯობებს, ნამეტანი დავლიე და არ შევარცხვე ჩემს მასპინძლებთანო.

ბოლო სიმღერა ბერხაძემ და შევლიძემ აივანზე თქვეს ხელიხელგადახვეულებმა. მათ სიმღერას ეტყობოდა, ფხიზლები რომ ყოფილიყვნენ, თქვენს მოსაწონს ვერც მაშინ იმღერებდნენ.

.. დილაუთენია გაბურბუსალებული სიღამონი აივანზე რომ გამოვიდა, სახტად დარჩა: სტუმრის საწოლი ალაგებული იყო, ჰიშკართან მანქანა აღარ იდგა, ეს კიდევ არაფერი — მსხლის ძირში, კოინდარზე უღამაზესი, ნარინჯისფერი, შვიდკოკიანი ქვევრი ეგდო.

„მნათობის“ რედაქცია ულოცავს საპროტა ჯიჟინის ქალვას
დიდ ღღესასწაულს — 8 მარტს!
შურნალის ამ ნომერში ვამკვენებთ ქართული მწერალი ქა-
ლებს ნაწარმოებებს.

მა მამზვარინი

მსოვნა გულისადრე

ჩემი გული პატარაა, და ფერი აქვს თითქოს მარწყვის;
სხვისი ხითბო სითბოდ უჩანს,
სხვისი ცრემლი ცრემლად აწვიშს.
მაგრამ, მაგრამ ასე ნაწი, ზოგჯერ ხდება
ძლიერ ფიცხი,
სიყვარული, ხიბუღილი, შურისგებაც
კარგად იცის!
ხშირად ვფიქრობ: გულო, გულის კვალობაზე
იარ, იარ,
სხვა ვერავინ ვერ გამიგებს ჩემთა ფიქრთა
თანაზიარს.
შენ მალღდები, გულო, ჩემში და არავის
არ ეცნობ, არა,
ეს ხომ ვიცი რა ხარ, გულო, ცხოვრებისთვის
ესეც კმარა!
ნუ ინდომებ, რომ აქციო ოქროს მარცვლად
მწვანე შვრია,
გულო, გულად დარჩი მაინც
სიყვარულშიც, მტრობაშიაც...
გამაღვივე, გამალაღე პატარაო ასე, ჩემო,
სხვისი ცუდი თუ ინდომო, გულობა არ დაიჩემო.
შემახვედრე დილას მუდამ სიკეთით და
სხივით საფესე,
ამტკივდი და ამატირე ხვალაც ასე,
ხვალაც ასე!

ოცნებით დაშვარს შვეხვერონი

განა ჩემი სევდა მთის წყალაია,
განა შენი ნახვა მენატრება!
მე ჩემი ბუნება მიხარია
და მიტომ ფიქრებიც მემატება.

ოცნებით ლაგვარდს შევცქეროდი,
ცაზე მეხატება ვგ თვალები,
განა შენი ნატვრა მიმატოვებს?!
თუ რისთვის, სადღაც მემალები.

მე მთებიც, ველებიც დავიარე,
გულში მზე ჩაღვრილა ჩანჩქერივით,
მე შენი ხიყვარულით დავიღალე,
მზით მოვლუვარე წყაროს მოფერებით.

გინდა გავიფინო, ყინულად დავდნები
ცრემლად დაგედვრები, თუ მზით დავიწვები,
ამ მთებში დაპჭრიან წინაპართ ლანდები,
ხამშობლო უფვარდათ თავდავიწყებით.

და დანგრეული ტაძრები — ბრალაია,
თუ დაღუწილი ხმლები და ხელები,
ჩურჩულით გვეტყვიან, რომ წლები გარბიან,
იბრძოდნენ, არ ეღიროსათ ჟილდო, არც მედღები.

და ჟილდო — ეს მთები, ეს ტყე და ველები
ჩვენთვის შეინახეს, ასე აამწვანეს,
ასე ჩამოღინდა ამ წყაროს ცრემლები,
რომ ჩვენც მოვინათლოთ, ვიყოთ წმინდა ასე...

ფფიცაგ კაგეასიონი, მე არ დაგეუფმი,
კიდევ აწმალდებო, კოდც ავენთები,
მხოლოდ ჩვენი ღიწით, მხოლოდ ჩვენი ვრით
და მუდამ ვიწნები ასე მშვენიერი.

და ჩვენც საკეთილთვის და შეგობრობისთვის
ვთვსოთ და ვაპაროთ ვარდი და იანი,
გოყვარდეთ, ვუღლიდეთ და ვენდოთ ერთმანეთს
გახსოვდეთ! ვინ? ია მაჭავარაიანი.

სინათლე მგზს სამხრეთში

უფრცხნი და უნათლესი
 ცა სხივებით იფურება.
 გადმოდინდეს დროა ლექსიც,
 ხიფოცხლედ და სიმღერებად.
 გადახედვ: სივრცე ბნელი
 რა სინათლით ანთებულა,
 დგას ბელადი აწედილ ხელით
 და უკრთება ფერი ბურანს.
 მისი მშურა მტკვარს არ აცდა,
 მშვიდად ისმენს ხმაურს დიადს,
 ლენინის თვალს ატკალასთან
 დამე შუქით გაუდენია.
 ფრიალებენ ელვის ფრთები,
 თავს იყრიან ზვირთნი ერთად,
 ჩქრიალებენ ჩანჩქერები
 და ტალღები მდინარეთა.
 რა ვიფავეთ ჟურაც გუმინ,
 ის ხმა, განა უკმაღ გვესმია?!

ატკალიდან დაძრულ შუქში
 მხრებს იმალღებს ენგურკესი.
 ჩაიბუდა სულში ღუნამ
 ალალ გულის გაბურებით,
 ჩვენ გვახარებს ის, რომ ჩვენაც
 ვართ სინათლის მსახურები.
 ჩვენი ღონით ველ-მინდვრებში
 ქვად ნაყარი ბულტიც მოღბა,
 ჩვენ ვათენებთ დილას ბნელში
 და ვაბრუნებთ ქვეყნის ბორბალს.
 ოქროდ ადგას სახლს და ოდას
 სხვა ჩახჩახი, სხვა სიაღვ,
 და რამდენი ჭრაქიც გვერნდა,
 დღეს იმდენი მზე ბრიალებს.
 გვბიბლაგს ცინცხალ დილის უმში.
 ლამემ გზები ვუღარ თვლოს,
 მილიონი ლამპრით ხელში
 სინათლედ დგას ხაჭირთფლო.

მანა სხმოკია

გზაგადასული და ნაპირგაყოფანი გაგვში

ბავშვი მარტოა დიდ ბინაში,

გარეთ მაისმა

კვლავ თბილისურად

საგანგაშო დასცა ყიფინა,

ფერმკრთალ სახეზე წამწამების ჩრდილქვეშ თვალებმა
 ეშმაკუნების სიმორეში დიდხანს იძინა.

ახლა უხმოზენ, მიშალულნი მწვანე ფოთლებში,

მადლიან თქემში, ოქროსფერი ზადის ბზინვაში,

იასამნებზეც დაუდასეს ნავარდისათვის

და ამოიღეს პაწაწინა გული მიზანში.

მეგობრის ზარმაც ტელეფონით შემოურეკა,

როგორც გვორცედა ჩვენ ოდესღაც ტრამვაის ზარი,

და დასუსტებულ ნასწეულზე პატარა სხეულს

ერგო სულსისთვის სისარჯლის თეთრი ტაძარი...

ქერათმიანი, თვალყუქუნა ატლასის სახე
ფანჯრის ჩარჩოში — ვით ციხეში მზეთუნახავი,
უსიტყვოდ აძლევს პასუხს ტოლთა შეხშიანებას
უზოდან — სიღრმე
ბავშვის სულის
დაუნახავი.

სმებებრის სავაჟო

აი, აქ, ამ ადგილას, სექტემბრის საღამოს
შემომხვედი ისეთი გულთბილი ღიმილით,
ყვითელში, რომელშიც უგონოდ მოწონდი,
მოხვედი, რომელიც უღმერთოდ მიყვარდი!

ცხელი აღსარება, დაღვრილი ქუჩებში,
შესმენილ ვედრებად შენგან შენდობილი!
ტანტზე დედოფლურად იჯდა სიყვარული,
მე ვკრეფდი მარგალიტს, შენს წინ დამსობილი.

საკმეველის კვამლივით ტანზე წეგმოდა
შენგან მონაბერი ხიფს მეცხუნვარება,
შენს სულს გვირგვინოსანს, სულს შენსას ოქროსფერს,
ამკობდა მადლივით წმინდა მღვლეარება!

ის თავბრუდამხვევი შენი ხიაბლოფი!
წადილი იწვოდა, წერას აყოლილი!
სუნთქავდა ალერსით თვალთა მწურვალება
და შენი ქოჩორი, შუბლზე ჩამოშლილი.

ხმა შენი ყურებში — მთვრალი მაჭარივით
მიდუღდა — ჰაერის მესმოდა სიცილი!
შენით შემწყვდარიყო ქვეყნის არსებობა,
და მაგ შეხს მკლავებში მინდოდა სიკვდილი!

ჭავდა დღუბასწაულს ჩემი დამარცხება!
ზეციხეცენ მიქროდა ფოთლების გალობა;
გულში მისუტებდა შენი თანაგრძნობა,
და შენი უარი, ნაზი, ვით თანხმობა!

მ. ნუ იხაჟიან!

ხანძარი შენი გამოჩენის
ბრიალებს ისევე!

თუმცა ვერ ხედავ ჩემს სახეზე შენ მის ანარეკლს.
წარმოიდგინე, მე არ ვნატრობ იმ მყუდროებას,
როცა დროება ჩემს სიყვარულს გადააბურებს.

გონებამ შენმა სულ უჩემოდ ვერ გაძლო მაინც,
 მაღალ ლარნაკში დღეს ინათა ისევ იელმა,
 მამ, რად ამბობენ, თითქოს ტრფობა სდევდეს „ჯამთა ცვლას“,
 რატომ ამბობენ, ძველებურად აღარ მიყვარხარ?
 მრავალი დილა მოგონებად დაგათენდება,
 როს სული ჩემი შენს სარკმელთან ყვითლად იყივლებს;
 და თუ ოდესმე დიდხანს, დიდხანს ვეღარ მიხილავ,
 სულ ნუ დამკარგავ, სამუდამოდ ნუ დამივიწყებ!
 ქორბუდა თმებში გაზაფხულმა კვლავაც ისარა —
 თვთრმოსილ მხრებზე ნუშის ტოტი გადმოიყარა.
 მამ, ნუ იტყვიან, პოეზია კვდება ოდესმე,
 ო, ნუ იტყვიან, ძველებურად
 აღარ მიყვარხარ!

გ ე ზ ა

მონვედ ყვილიზე
 ყვითელ აპრილის!
 ტკივილად დატკბი მძიმე ცისკრებზე...
 ზამთრით დამაზრალ ხის ტოტებიდან
 უსუსურ ბარტყად გამოიხსენი.

ოყავ — სიწითლე
 გარეჯის მთების —
 ზაფხულის დანდვს გადაქვევლი,
 თვალები გქონდა — ერთ აღსარების,
 და ერთადერთი შეყვარებულას...

მე მოგელოდი, —
 ვით ურჩ საყვარელს;
 კლდოვან მეტეხთან ჩემად გახსენე...
 და გორგასალა, გაცოცხლებულმა,
 ამიტაცა და შემისვა ცხენზე!..

მე შეგ კავშიან
 გიშრის მძივებად
 მადლობის ნიშნად ისევ ავისხამ,
 რადგან მსგავსია შებვედრა შენთან
 ულამაზესი პემანისა!..

ყინვართა ზეგად
 რამ მოგიყვანა! —
 თვით სიყვარულის დამაძლეველად.
 ჭართულ ჩუქურთმად გეხატა შუბლზე
 ნარინჯისფერი ცის აღმადრენა!

მოდე —
 მაშინაც,
 ჩემს სასთუმალთან,
 როცა სიკვდილში
 ღრუბლად ვიშეები!...
 და განვქარდები, უჩინარკმნილი,
 შენს მარადიულ სივარდისფერში...

ზამთრის საღებავი

გვირილობაზე
 მოთქვამს ყვითლად
 რკალი გვირგვინის,
 სიწითლით სკდება რქები ირმის
 ყვირილობაზე...
 შემოდგომაზე სისხლი ხდება ფერის ყვითელის,

ხმაურობს წითლად გაზაფხულის დილის მოსვლაზე...

ნეტავ გაგუძლოთ გვირილების ყაყაღოფრობას,
 როცა აპრილი წაჭრილ ჭადრებს
 კვირტებს უშრავლებს;
 რქაწითელივით ენთოს სევდა შემოდგომისა,
 და შეგვჩრქეს ძალა, ძალა...
 მყვირალ გაზაფხულამდე!

ბელა ზალვაშვილი

ქინვალთან არაგვი

ვინვალთან არაგვი — ლომი გალიაში,
 ვაიმე, ლომი და გალია?!.
 სჯობს მოკვდეს ვატყავი თუ ვინმეს წინაშე
 ტყვევქმნილა და... შესაბრალოა.

მაგრამ თუ ტყვეობა მზრდელინავე ლომისა
 სინათლის მიზეზიც კი ხდება...
 ტყვეობას ამნაირს შევებდები ნდომითა
 და ჩავთვლი არსთ-არსების ნებად.

ღ ა მ ე ნ ა ნ ე ბ ა

მზე მეტ სითბოს და სინათლეს ბარდნის,
 ფერადოვნებას აჩენს მაისი,
 და მეჩვენება აღარ მაქვს დარდი,
 არავისი და არარაისი.
 გადავიზამთრე. არემიდამომ
 გამიბატონა ხახხასა მწვანე,
 და სარდიონის ფერით მდიდარმა
 ყვავილმა ცეცხლი წაქიდა ყანებს.
 ამ სიმწვანით და სულში უშქარი
 ჩიტბატონებით აფრთოვანება
 ახლა ვიდაცას თუ არ ვუთხარი,
 მერე... ძალიან დამენანება.
 დამენანება, ამოხშიანი,
 გულში ნამღერი ოდა მაისის
 თუ არ გავხადე თანაზიარი,
 არავისი და არარაისი.

პოეტი რა ძნელია...

პოეტი, რა ადვილია ლექსების წერა,
 როცა ამ დემონის არ დაგდევს მხერა.

პოეტი, რა ძნელია ლექსების წერა, —
 თუ გრძნობ ამ გრძნეულის გამჭოლავ მხერას,

წამით ჩამითრია ლექსმა და... წამილო
 და ყურში ჩამესმა: ლექსსა წერ ძამიკო?!

ბ ა ნ შ ო რ ი ე ბ ა

თქვენ ღრმად დაფიქრდით, მეტიხმეტად დაფიქრდით
 ერთხანს,

დაფიქრება კი სიყვარულის დიდი მტერია...
 ტრფობას, მახარე, ძალზე მოკლე დღე უწერია,
 იქ, სადაც გულზე მოჭარბებით გონება ფეთქავს.

დამძიმებული მიედით ხელში იებით,
 ამჩატებული მომყვებოდა უაზრო ქარი...
 სიმშვიდე, ჩემი ძლიერი და ერთგული ფარი
 უცებ დამისხლტა და... შემომრწა მღვდის ფარი.

ჯების ველურად აწყდებოდა მეტებთან მტკვარი,
 გამოვერიდე... შევეფარე იდუმალ სიონს,
 სიონის კართან ჩამომცილდა ჩერჩეტა ქარი...

საკმეულის სუნი მიმოქონდა სიონში სიონს, —
 ნეტარ დედასთან ვიდევქ ფრთხილი, გაუბჭდავი...
 თეთრ ცხენზე მჯდარი მამშვიდებდა წმინდა მხედარი.

ნ ა ნ ა ლ მ ი ნ ე შ ა მ ა

ს ი მ ლ ე რ ა

მთაო, რა შვირე ყოფილხარ, —
 გადმოგლაზა და მოგაგნო!
 მზეო, რა ხუსტი ყოფილხარ, —
 შევეცილა და თვით მზეობს!
 ზღვაო, — ფირუსად გაქცია,
 ბეჭდად გატარებ თითხეო!..
 მთაო, აქლემად გაქცია,

დაგაჩოქა და გატარა!
 მართლა ყოფილა მიჯნური,
 მართლა სცოდნია გატანა!
 ცაო, შენც უნდა იწამო,
 კვერი დაუკრა ფიცხეო,
 ზღვა აღმასებდა აქცია,
 ბეჭდად გატარებ თითხეო.



ცისარტყელებით მოზატა
შენი მალალი თავანი,
ღმერთივით მონანიეა,
შესხავეთ მხნე და თამამი.

მზეო — ნუ მიწყენ, ბატონო,
შვევეცილა და თვით მზეობს;
ზღვაო, ფირუზად გაქცია,
ბეჭდად გატარებ თითზეო!..

მოდოლინი ქვაბი, ანუ რაღი

ვახტანგ ონიანის „მოდოლინის“ გამო

შევაჩერდი, შევავედრე სული, —
როგორც ვითინს!..
ვერ დავფარე სატკივარი,
ვერ ვიკავებ ქვითინს...

დგას სიცოცხლის დასასრული
და საწყისი მითის...
შევავედრე სული ჩემი
როგორც ლაშხურ ვითინს...

ღ ა გ ე

მე ღამე მიყვარს ოცნება,
გაშაირება მუზასთან....

მე ღამე მიყვარს ფიქრებში
გათეთრებული, ძლეული;
ღმერთამდე ლექსის მიგზავნა,
წუთები საგვს გრძნეული.

მე ღამე მიყვარს მოსმენა
ვარსკვლავთა წყნარი სიმღერის;
შენამდე ფიქრის მოგზავნა,
*შენამდე გაბზა სიმების...

მე ღამე მიყვარს ოცნების
აკინძვა ლექსთა რვეულად,
მე ღამე მიყვარს მთვარეზე
გასეირნება ვულად...

მე ღამე მიყვარს მთვარეზე
გასეირნება ვულად;
დილაზე ნაფიქრ-ნამღერის
აკინძვა ცისფერ რვეულად...

მე ღამე მიყვარს ოცნება
გაშაირება მუზასთან...

ფ ი ქ რ ე ბ ი

ქერწავ და ქერწავ
და მცხ გავეჭვავდი...
ახე დაღლილა ბევრი მოდელი.
ვიდრე ჩემს ნიღაბს
გამოქერწავდე,
შორი ფიქრების
ფარას მოვდენი.
ვიდრე ეგ თიხა
დამუმსგავსება,
მკლავებს ჩამოყვრი
ვითარცა ძეწნა;

და ნერვიული შენი ზელები
შეზინდებამდე ქერწავს
და ქერწავს.
ვიდრე ეგ თიხა
დამემსგავსება,
შავი ფიქრების ფარას
მოვდენი...
— რა ვარ მე შენთვის?
რა ვარ მე შენთვის?!
— მხოლოდ მოდელი?!

მეოთხეანე ბილაზხოლი

ფეხადგმულა

მოთხრობა

ბინდბუნდში ფარების ბრდღვიალით შემოქანდა ავტობუსი სოფელში; სანამ გაჩერდა, უკანა თვალი თბრილში ჩაპკრა, ერთმანეთზე მიაწვინ-მოაწვინა მთვლემარე მგზავრები, ერთი შეჯანჯლარდა და ადგილს დაეკრო.

— დამიჭი, შაქრო! — ხელები გაშალა წინაქარში ჩახერგილ ბარგი-ბარხანზე გადაქცეულმა ქალმა.

— დედაკაცო, შენთვისა მცხელა, ფეხი მომეჭეკეყა, — სიმწრისაგან იმანქუბიდა შაქრო.

— ჰაი, გაიწით, ხალხო...

— კაცო, რას გახილულხარ, ან მიდექან მოდექ..

— შოფერ, უკანა კარი გახსენ, — ყუყანებდნენ მგზავრები და ერთმანეთის კუთის სწავლებლაში ძვრა არა ჰქონდათ.

— ე კობილა მაკლდა? — სიმწრისაგან კეთას იფხანდა ზემოუბნელი გიგოლა.

— მა, გლვიძება არ გინდოდა? შენმა ხვრინვამ ყურები გამომიჭედა, — სავარძელზე გადაიხშორა მძღოლი.

— მეხი კი დაგეცეს, კინლამ ჩაგეხოცა და კიდევ ქილიკობს, — მურმურით ჩადიოდნენ სოფლის მანდილოსნები და ლმერთს მადლობას სწირავდნენ, რაკი მშვიდობით გადარჩნენ.

მძღოლისათვის ასეთი კრიამული უც-

ხო არ იყო, მშვიდად ელოდა ავტობუსის დაცლას.

— თქვენ სოფელს „ფეხადგმულა“ უნდა ერქვას, დედაბუდიანად გზაზე ხართ გაკიდულა, საყვედურზე თუ მიდგა, ზოგი მეცა მკითხეთ, ათგზას ავდი-ჩავდივარ და მგზავრი ვერ გამოვლიე.

— მართალი ხარ, შოფერ! ერთი მგლისკენ, ერთი ცხვრისკენ, ესეც ავტობუსია აშწე კრანი ხომ არ არის! — ბეჭებზე ხელი დაპკრა ანდიამ „კარგად იყავით“, და ხვნეშა-ხვნეშით ჩაბოზდდა.

დაცლილი ავტობუსი სიბნელეში, გაჭრა, აღმა-დაღმა ბილიკებზე შემდგარი მგზავრების კანტი-კუნტი ლაპარაკი კი ერთხანს ფერდობიდან ფერდობზე გადაჰქონდა ნიავს, მალე ისევე ჩაჩუმდა გარემო.

მაკა მდუმარედ მიიჩქაროდა შინისაკენ, ტყვიასავით მოხედა მძღოლის ნათქვამი, კაცის უთქმელი არაფერია, „ფეხადგმულა“ საიდანა მოადგა ენის წვერზეო. ისედაც თვალს ვერ უსწორებდა თანასოფლელებს, სახე ჰალტოს საყველოში ჰქონდა ჩამალული და ამ სიტყვის გაგონებამ ხომ მთლად აური გუნება.

მაკამ ჰიშკარს ფრთხილად შეხსნა ბოქლომი და თვალი დაება კარმიდა-

მოზე. — „ფოთოლიც არ შეარხიეს ხეხილთ“ — ჩაიხურჩულა, ღობეს მიეყრდნო, ბიძის სახლიდან უხვად იფრქვეოდა სინათლე, ვეება ჩრდილები ეფინა ირგვლივ.

— მემდღერი, ჩემო კარმიდამოვ? გული გადაგელია არა, ჩემი მოლოდინით? გაზაფხულზე ალბათ, ავი თვალთ არ ინახებოდით, ისე იყავით დაპენტილი ჩითჩუთა ყვავილებით... განა დამაგიწყდა როგორ შრიალებენ თქვენი ახლად გამობუსკნული ხასხასა ფოთლები. ჭერაც არ დამკარგვია გემო თქვენი დახისლული ქლიავებისა...

საღდაც შაშვმა დაიჭახჭახა, ალებლები შეირხნენ.

— რათ, კუნწულებიანებო, დიდხანს ღლოდით? მერე ჩადვინდით, ჩემს მოლოდინში ჩაჰკნით და ჩიტების მადლიდა მოისხით... შენა, თუთავ? — შემოეხვია მაკა ხეს და მის ძირში მორზე ჩამოჯდა. — არ მოგენატრე შენი ჭინკა გოგო, ვახსოვს წვერზე რომ მოგეკეცოდით ჩაგეკონებოდი და ერთად ვირწყოდით ნიაგქარზე? „არ ჩამოვარდე, გოგოვ“... შიშით ქრებოდა დედა.

„დაეხსენ, უფრო არ წათამამდეს“ — ბუტბუტებდა ჩემი ჰკვიანი მამა. ექ! აღარ არიან და რა გქნა... შენ თვალწინ დალიეს თავისი დღენი.

„დათამ რომ ჩაგჩურჩულა, მიყვარხარო!“ — შეიშრიალა თუთამ. „იმ ბიჭისათვის გაიკალ თავი ქალაქში, იმას გვანაცვალე“.

„ჰოო“... შეჰკვნესა მაკას გულმა, თვალეზი დაენამა. სამი საფეხური აიარა და ახლა ოთახს შესხნა კლიტე.

მძიმე ჰაერი ეცა, შემობრუნდა — განიავდესო.

ღამის სილურჩეში მკრთალად ციავობდა ფილანთქობის დერეფანში ჩამოკონწიალებული ნათურა. რაფებზე კვლავინდებურად ჰყვოდნენ თუნუქის ქილებში პატარძალას პირისფერი ყვავილები. დერეფნის კუთხეში გოლიათი კოკა მიწოლილიყო.

— ჩანს უოჩაღად არიან ფილანთ რძლები ანა და სოფიო! ღმერთმა კა-

რგად ამყოფოს... — ბუტბუტებდა გულში მაკა და უნებურად თვალი მგალობლიანთ ნასახლარისკენ გაექცა. კარგა ხანია შრომით დაფასებული ეს ოჯახი მალაქვერქვეშ ცხოვრობს, გამრავლდა, სოფლის თვალსაჩინო გახდა, მაგრამ მაკას ხსოვნაში ტაძარივით დგას მათი ხუნულა, — სარჩო-საბადებელით ღარიბი, ბინადარებით კი — მალალი და წმინდა. ოჯახის მამა ფრონტზე იყო, დედა წელეზე ფეხსიდგამდა და ვაცრეცილი ჩითის კაბის კალთას აწვდენდა უმწეო კერძას, მზისჩასვლისას კოლმეურნეობის მინდვრებიდან წისქვილში ჩქაროდა, აკვიდებდა თავის უფროს ვაჟს დათას ჩამოფევილ ერთმუჟა ხან ხორბალს, ხან სიმინდს და იმედიანი ეგებებოდა გზაზე მყუჟრებელ წვრილშვილს.

ღარიბის ლუკმა გემრიელიაო — შეილებში არ არჩევდა მაკას დიასახლისი, ჭერ იმას წაუტეხდა ხოლმე სახელდახელოდ თუნუქის ღუმელზე აღანძულ ხშიადს, სანამ რუსწყალში საგულდაგულოდ გაღვრეჭილი ქიქმატი კარტოფილი მოიხარშებოდა...

ჰაწია, გამხდარ ხელებში გორობენ წენიკი კარტოფილები, თან სულს უბერავენ, თან გაფაციცებით ფტკენიან...

— ნეტავ იმ დროს! — ამოიხორა მაკამ და გაფრენილი ბავშვობის მოგონებამ გაიტაცა...

— მოხვედი, გოგო? — ფანჯარა გამოაღეს ბიძაანთა.

— მოვედი, ძალო!

— მერე, შე კი ქალო, მანდ რას უდგეხარ? — შალში გამოეხვია პელო და მახლიშვილთან ვადმოვიდა.

— როგორ მოხდა, ნავსი გატეხე? — პელომ საჩვენებელი და ცერათითებით ტუჩები მოიწმინდა და ოჯახის სტუმარი გადაკოცნა.

— ბარემ ფიქრი სულ აქეთ მაქვს, მაგრამ...

— მაგარი რაღაა, აღარ უნდა მოხედო შენს კარმიდამოს? ამ ფუქის გაქიც შენა ხარ და ქალიც, ეს ამოდენა ხილი ისე შემოდის და ისე იღუპა,

